619
1990/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დროშა

ივნისი
№ 6 1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თქვენი ჭირიმე

ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!..
ვიცინი, აღარ ვსტირი მე!
ახალგაზრდებო, ან კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჭირიმე!..

ბევრი რამ მითქვამს... რომ მეთქვა,
დავიმახინჯე პირი მე!..
ახლა არ გვგლეჯენ ენასა —
სთქვით რამე, თქვენი ჭირიმე!

„ასჯერ გაზომეთ და ერთჯერ
გამოსჭერთ“, ახლაც ვყვირი მე,
ნუ აჩქარდებით! ნურც შიშობთ,
განმტკიცდით, თქვენი ჭირიმე!

ბევრი ვეცადე, ძირმწარეს
ვერ გავუთხარე ძირი მე,
ახლა კი თქვენი ჯერია,
დაჰბარეთ, თქვენი ჭირიმე!

კუბოს კარამდე მისული
რაღა ვარ, განაწირი მე?
მაგრამ თან თქვენი იმედი
მიმყვება, თქვენი ჭირიმე!

ნუ გამიმტყუნებთ იმედსა,
ხომ ხედავთ, აღარ ვსტირი მე!
დრო მოდის! ერთად ვიცინოთ!
ვიცინოთ, თქვენი ჭირიმე!

აკაკი

გრიგოლ როგაძიძე

დაიწვა შთაგონების ფრთა, დაიფერფლა გული: უკანასკნელი მისი ფეთქვა კიდევ ტურფა ასულს უხმობდა. რით ვეზიაროთ აკაკის ხსოვნას? აქ ამბობდნენ: ქართველებს მრავალი მტერი ჰყავსო. შესაძლოა. მე კი სხვა რამ მაფიქრებს: ქართველ ერს მხოლოდ ერთი მტერი ჰყავს. ეს არის თვითონ ქართველი ერი. პირველყოფილი ცოდო ქართველი ერის ისტორიისა: დაუნდობლობა, გაუტანლობა, შური, ღვარძლი ერთიმეორეში. უნდა მოისპოს ეს ცოდო... რით? სწორედ იმ ნიჭის გაღრმავებით, რომელიც აკაკის აცოცხლებდა... ამ ნიჭს ორი ცეცხლი აქვს: გენიის ცეცხლი, რომელიც შემოქმედებით შეიყვანს ქართველობას მსოფლიოში, და გულის ცეცხლი, სიყვარულის ცეცხლი, რომელიც განწმინდავს ქართველთა დაბერებულ თვისებას... ვიწვოდეთ ამ ორი ცეცხლით... და მაშინ ივერიის ასული პირქუში და თმა-გაწეწილი კი არ მოგვევლინება, არამედ როგორც მხიარული ქალწული, ტყის უტეხი ტევრით გამოსული, რომელიც ცეცხლის რგოლებს ისვრის ზღვის მკერდზე და ზღვის გული იწვის...

სიტყვიდან აკაკის სამგლოვიარო დილაზე
1915 წლის 8 მარტს

განთიადი

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.

დადუმებულა მთაწმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა:
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა...

მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს.

მგოსანი გრძნობამორევით
თვალს ავლებს არემარესა
და გულის-პასუხს ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!..

„ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო,
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.

„წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.

„გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუვყარეო,
ია და ვარდი დამჭკნარი,
ხელახლად გამიხარეო!..

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!..

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო...
და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:

„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო
ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“

ჩანგური

მ ე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმინდით ახურებდეს.

ერთი ჰქონდეს მას საგანი:
ჰარმონია მისი ხმების,
ცხოვრებაში იყოს ბანი
ხან ლხენის, ხან მწუხარების.

აღტაცებით სიმთა ჟღერა
გამოსცემდეს მაგნიტის ხმას
და მაზედაც ჩემი მღერა
ორხმოვანად გამოისმას.

რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს.

მაშინ მხოლოდ ამ ჩემს ჩანგურს
აშორდება უქმად გდება,
და, ვინც გრძნობით დაუგდებს ყურს,
ვფიცავ, არც ის მოსტყუვდება.

გამიქვავდეს მაშინ ენა,
თუ რომ ვისმეს მოვეფერო
და გამიხმეს ეს მარჯვენა,
თუ სიმრუდით სიმთ ვაჟღერო!..

რაგინდ ბედით ვიყო კრული,
საშინელი მექნეს ბოლო,
არ შედრკება ჩემი გული,
გინდა ქვითაც ჩავიქოლო!

სხვისი ლხენით ხომ ვიხარებ,
თუ რომ ჩემ თავს დავრჩი ავად,
და მაინც არ აღვიარებ
შავს თეთრად და თეთრსა შავად.

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა
და გულს წრფელად ახურებდეს!

19376

მამულო, საყვარელო!

დროშა

№ 6 ივნისი. (402). 1990

ჟურნალი გამოდის 1926 წლიდან

ნ ო მ ე რ შ ი ა:

ოთარ ჭინჭლაძე. აკაკი.

გალაკტიონ ტაბიძე. შეხვედრები აკაკისთან.

რაუდენ გვეტაძე. „ბაში-აჩუკი“.

დომენტი კილაძე. ღვთიური პორტრეტი.

ნათია გეგიაშვილი. „კაცად კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს“...

თამარ გოგმართელი. იზარდე მწვანე ჯეჯილო...

რევაზ გოცირიძე. დიდი სტუმარი.

ალექსანდრე გუაჩიძე. აკაკი და რუსულენოვანი პრესა.

ბოდერძი ტალახაძე. „სამშობლო, სამშობლო, ჩემო ლამაზო“...

ვლადიმერ სოლოუხინი. კენჭები ხელისგულზე.

გრანი ქავთარია. „ღმერთებთან სიახლოვით ნეტარებს“.

შალვა მარკოზაშვილი. რაფიელ ერისთავის საფლავთან.

პანორამა.

კროსვორდი.

● „დროშა“, 1990 წ.

მ თ ა ვ ა რ ი რ ე დ ა ქ ტ ო რ ი

ოთარ ჭინჭლაძე

●

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვახილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, ვახტანგ ესვანჯია, ჯემალ მეხრიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ რედაქტორი), თენგიზ სამსონაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი

ტევადი სახელია აკაკი.

ძალიან.

და არც ამ სახელის მატარებელ სხვა ვინმეს იგულისხმებ, როცა გაიგონებ — აკაკი. სხვას არავის. მხოლოდ იმას, ვინც ნამდვილად უნდა იგულისხმო: აკაკი წერეთელი.

პოეტური სახელია აკაკი.

მუსიკალურიც.

სევდიანიც და იმედიანიც.

მომავლის იმედიანი მომღერალია აკაკი.

განთიადის წინამორბედი.

ჩემთვის ასეა, ყოველ შემთხვევაში.

მაგრამ...

არ ყოფილა აკაკი, მე რომ მეგონა, მარტოოდენ პოეტი — საქართველოს ბულბული.

პოეტი რომაა და პოეზიის მიუვალ მწვერვალზე მდგომი საოცრებაც, ეს საყოველთაოდაა ცნობილი და აღიარებულიც.

მე ახლა, მის დიდებულ პოეზიასთან და პროზასთან ერთად, აკაკი, თავისი დროის მოაზროვნე და მოღვაწე უფრო მაინტერესებს და ამიტომ მინდა იმდროინდელ საქართველოსთან მისი შესიტყვება აღვიქვა, როგორც ჩემი და ჩემი შვილებისათვის დატოვებული ანდერძი.

150 წლის აკაკი დღეს, ჩემთვის, ჩემი ერისა და „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი“ სამშობლოსათვის.

ქართველი ერისა და საქართველოსათვის, რომლის უკვდავი შვილი მან წყეული 1907 წლის 9 სექტემბერს დაიტირა და რომელსაც უთხრა:

— თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენ სიკვდილით წინ-უსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავ!

არ მომკვდარა საქართველო.

— „არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს!..“

გაიღვიძა.

ხოლო, გამოღვიძებულმა საქართველომ საჭიროა აკაკი გადაფურცლოს.

დინჯად, აუჩქარებლად, დღევანდელობის თვალსაწიერიდან.

აკაკი დღეს, ჩვენს გვერდით, ჩვენთან ერთად.

„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!..
ვიცინი, აღარ ვსტირი მე!
ახალგაზრდებო, აწ-კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჭირიმე!..“

გამოვედით.

განვაგრძოთ კითხვა და ჩავფიქრდეთ. ნუ ავჩქარდებით. არ შეიძლება აკაკის იმედი გავამტყუნოთ.

ამიტომ:

„ასჯერ გაზომეთ და ერთჯერ
გამოსჭერთ“, ახლაც ვყვირი მე,
ნუ აჩქარდებით! ნურც შიშობთ,
განმტკიცდით, თქვენი ჭირიმე!“

ახლაც ყვირის 150 წლის აკაკი. ყვირის და გვაფრთხილებს, არ აჩქარდეთო, ასჯერ გაზომეთო და ერთხელ გამოსჭერითო. არ კი შეშინდეთ, განმტკიცდით, მაგრამ ნუ აჩქარდებითო.

აჩქარებითა, სოფელი არავის აუშენებია.

„ნუ გამიმტყუნებთ იმედსა,
ხომ ხედავთ, აღარ ვსტირი მე!
დრო მოდის! ერთად ვიცინოთ!
ვიცინოთ, თქვენი ჭირიმე!“

დრო მიდის, მაგრამ დრო მოდის კიდეც.

რა ჰქმნა და გააკეთა აკაკიმ მაშინ, იმ დროს, რომელიც გავიდა?

აკაკი და:

— ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

— ქართული თეატრი.

— ჟურნალი „კრებული“.

— ჭიათურის შავი ქვა და ტყიბულის ქვანახშირი.

არ ყოფილა აკაკი კარჩაკეტილი მგოსანი და არც თავისუფლად მოსეირნე დროის გამტარებელი კაცი. სულ ასეც არ არის საქმე. არ იყო იგი მოწყვეტილი იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. აკაკი მუდამ ხალხში იყო და ხალხთან ერთად.

— მოგზაურობა მშობლიური მიწა-წყლის სხვადასხვა კუთხეებში.

— საჯარო ლექციების ციკლი „ვეფხისტყაოსანზე“ ჯერ ქართულად, მერე რუსულ ენაზეც.

— სიტყვა, წარმოთქმული გორის საზოგადოებაში.

— სიტყვა, თქმული თელავში.

— აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში.

გულმოდგინედ, კეთილსინდისიერად, უანგარო სიჩუმითა და სიყვარულით აკეთა აკაკიმ თავისი საკეთებელი საქმე. ამიტომაც იყო იგი ესოდენ პოპულარული, საყვარელი, დაფასებული.

ახლა სხვა დრო მოვიდა.

ჩვენ რა ვაკეთოთ?

აი, თუნდაც ეს.

აკაკი:

— ყოველი კაცი უნდა აწმყოს მისდევდეს და აწმყოს კეთებაში იქნება მომავლის სამსახურიც იმდენად, რამდენადაც ეს ორი დრო ერთმანეთზედ დაკავშირებულია. საქმეს ვინც წინ უსწრებს, ის ნაყოფს ვერ მოიტანს.

არადა, ჩვენ ნაყოფი გვინდა.

ხოლო, ნაყოფი შრომით მოიპოვება. ოფლისმღვრელი შრომით, რომელიც ვერც ცუღლუტობას მოითმენს და მით უფრო, ვერც ღალატს.

მართალია, რომ „მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!..“; ისიც მართალია, რომ როცა ეს მოხდება, მაშინ „სიხარულით შეგეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი“; მაგრამ, მართალია ისიც, რომ ყოველივე ეს თავისთავად არ ხდება და არც შეიძლება მოხდეს. უბრალოდ, არ მოხდება.

აკაკი:

— სამშობლოსადმი ერთგულება და მისთვის თავგანწირულად ბრძოლის ველზე სისხლით დაწურვა, დიდსულოვნობის ნიშანია და თანაც საჩინო ბეჭედი ერთგვარ მამულიშვილობისა. არის მეორე გვარის ნიშანიც იმავე მამულისშვილობისა, თუ არ მეტი, არა ნაკლები, როდესაც კი სიყვარულით, დაუღალავად, ხანგრძლივად, გულგაუტეხლად შრომობს სამშობლოსათვის და ოფლსა და ცრემლს ერთმანეთში არეულს, ჰღვრის მისი გულისათვის.

ცრემლი ჩვენ არ გვაკლია და არც ლოცვა-კურთხევა, მაგრამ ოფლის ღვრით და სამშობლოსათვის დაუღალავი შრომით კი მაინცა და მაინც ვერ დავიკვეხნით.

მე ამაზე ბევრი მიფიქრია და ამ ბოლო დროს მომრავლებულ სხვადასხვა კონცეფციებს, პროგრამებს და პლატფორმებსაც ყურადღებით გავეცანი, მაგრამ შიშველი დეკლარაციულობის გარდა, ვერსად ამოვიკითხე ვერც ნაყოფიერ შრომაზე გულაცრუებულობისა და მისი გამომწვევი მიზეზების ახსნა და ვერც წიგნიერად ჩამოყალიბებული ისეთი სამოქმედო პროგრამის თუნდაც მონახაზი დავინახე, რომელიც მდგომარეობიდან გამოსვლის რეალურ იმედს მომცემდა.

საქმე ის არის, რომ არც ის შრომობს ჯეროვანი მონდომებითა და საქმის ცოდნით, ვინც საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის წანამძღვრები უნდა განსაზღვროს, აგრეთვე ეროვნულ ინტერესებთან შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს უხეიროდ ჩამოყალიბებული სახალხო მეურნეობის არსებული სტრუქტურა და არც ის, ვიზედაც უშუალოდაა დამოკიდებული იმ სახისა და ისეთი ხარისხის სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შექმნა, რომელსაც გასაღების ფართე ბაზარი ექნება.

ახლა, როცა მე დაუღალავი, ხანგრძლივი და, რაც მთავარია, გულგაუტეხელი შრომისაკენ მოწოდების აკაკისეულ სტრიქონებს ვკითხულობ, უმალ უკვე კანონით დადგენილი საკუთრების ამჟამინდელი ფორმები მაგონდება და გულგატეხილი ვფიქრობ იმის თაობაზე, რომ მათ შორის არ არის კერძო საკუთრება, რომელიც ადამიანის თავისუფლებისა და მისი უფლებების დაცვის ყველაზე უფრო რეალური გარანტიაა.

აკაკის დროს იგი იყო.

ხოლო, შრომისადმი დამოკიდებულება და გაწეული შრომის ანაზღაურება, დღეს ჩვენთვის საკითხთა საკითხის რანგშია ასული. ამავე დროს, ისიც სათქმელია, რომ სწორედ ამასთან არის დაკავშირებული ე. წ. ჩრდილოვანი ეკონომიკით გამოწვეული მრავალი სატკივარი, რომელიც არანაირ მკურნალობას არ ექვემდებარება. ჩვენს გაჭირვებას არ შველის არც გაუთავებელი და უშედეგო ბრძოლა სამეურნეო ქურდობის, მითვისების, მიწერების, ტექნოლოგიური ფალსიფიკაციისა და სხვადასხვა მაქინაციების წინააღმდეგ, არც მოწოდებები პატიოსნებისა და კეთილშობილებისაკენ, და არც იმის ღაღადი, რომ ქართველ კაცს ეს არ ეკადრებაო.

მიუხედავად ამისა, მართლაც არ ეკადრება.

იმას მაინც, ვინც თუნდაც უბრალოდ თანაუგრძნობს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის იღვწის.

აკაკი:

— ქართველი მხოლოდ მაშინ არის საყვარელი, როდესაც მისი ქართველობა არ დაჰკარგვია... აბა, რაღა ქართველია ის, რომელიც დამპალ საქონელს დაუწყებს გასაღებას და ღვინოს წყლითა სწყებდავს, რომ ორი გროში მოპარვით ჩამოვრჩეო. არა, ჯერ კიდევ იმდენზედ არ მივსულვართ, რომ წურბელაობა დავიწყოთ სხვებივით და სხვების მოტყუებით ვისაზრდოოთ!..

ჯერ არ მივსულვართო.

ეს მაშინ.

ახლა?

სულ არც ახლა ჯერ, მაგრამ თითქმის მისულები ვართ და თუ ასე გაგრძელდა, მივალთ კიდეც.

ეჰ!

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო“.

ერთი რამ მაინც არის სათქმელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ აღზევების ხანაში.

ზნეობრივი სრულყოფის უებარი წამალია უშუალო მონაწილეობა მექრთამეობის, ქურდობის, უსამართლობისა და ზნეობრივი დაცემულობის სხვა გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ადამიანის ზნეობრივი სრულყოფა ანტისაზოგადოებრივი ხასიათის გამოვლინებათა და მათ გამომწვევ 'მიზეზთა დაძლევაში მისი უშუალო მონაწილეობის პროცესში ხორციელდება. ვინც განზე დგას და ამ ბრძოლაში არ მონაწილეობს, ის ვერ მიაღწევს ზნეობრივ სრულყოფას და ვერც მაღალი ზნეობის მატარებელი იქნება. მაღალი ზნეობის ადამიანი ვერ დარჩება გულგრილი ამორალური ქცევის იმ გამოვლინებათა მიმართ, რომელთა მოწმეც იგი არის.

აკაკი:

— ჩვენი ახალგაზრდობა ვალდებულია, როდესაც ხალხში ჰხედავს უსინდისო და მაშასადამე უკანონო საქმეს, ვითარცა საზოგადოების და სახელმწიფოს წევრმა, იყვიროს დაუფარავად.

ჩვენს დღევანდელობას არ აკლია არც დაუფარავი ყვირილი და არც ხმამაღალი მოწოდებები ჩვენი ეროვნული თავისთავადობისათვის მიუღებელი ზედნაშენის უარყოფისაკენ. არც ზოგიერთი სხვა რამ გვაკლია — გამოსაფხიზლებელი. ერთი რამ კი ნამდვილად დასანანია და ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ბევრს კარგავს ამის გამო ხალხის თვალში. კერძოდ. მომეტებული უსინდისობისა და უკანონობის წინააღმდეგ კონკრეტული, საგნობრივი, პერსონიფიცირებული ბრძოლა. ეს მაშინ, როცა ყოველივე ამის გამო თავად ახალგაზრდობაა ვალდებული „იყვიროს დაუფარავად“.

არ უყვირიათ.

რატომ?

მე მეჩვენება, რომ სულ მთლად უსაფუძვლოც არ უნდა იყოს ამ ბოლო ხანს გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაღალ იდეალებს ეტმასნებიან უღირსი თანამგზავრები, რომლებიც სარგებლობენ ამ მოძრაობის საერთო მაღალი ავტორიტეტით და არ ერიდებიან შანტაჟს, დაშინებას, გამოძალვასაც კი, რაც ფართო საზოგადოების სამართლიან აღშფოთებას იწვევს.

ეს ფრიად სამწუხარო, მეტიც, საგანგაშო მოვლენაა და ამიტომ აქ საქმე სწორედ იმ შემთხვევასთან გვაქვს, როცა, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ახალგაზრდობა ვალდებულია „იყვიროს დაუფარავად“.

და კიდევ.

სამშობლოსათვის დაუღალავი, ხანგრძლივი, გულგაუტეხელი შრომა მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვს საქმიანობის ნებისმიერ დარგსა და სფეროში: აგრონომი, ინჟინერი, ექიმი, მასწავლებელი, მეცნიერი, მწერალი, მხატვარი, მუსიკოსი, მსახიობი, სპორტსმენი... და, რაღა თქმა უნდა, მუშაც, გლეხიც. ყველა. უკლებლივ ყველა დარგი, სფერო, პროფესია.

დღეს მაინც და განსაკუთრებით სწორედ დღეს, როცა გვინდა, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოს“.

აკაკი:

— ვინ არ იცის, რომ ყოველი ბედნიერება ხალხისა არის დამოკიდებული მის გონებით მდგომარეობაზე, რომ უსწავლელად და გაუნათლებლად შეუძლებელია მისი ცხოვრების გაუმჯობესება, განვითარება და ერთი სიტყვით, მისი წინსვლა ანუ პროგრესი.

ჩვენ კი წინსვლა გვინდა, პროგრესიც, მაგრამ არ გვინდა იმის ცოდნა, რომ ყოველი ბედნიერება ხალხისა არის დამოკიდებული მის გონებით მდგომარეობაზე.

ამის არცოდნა კი ნამდვილად დიდი ცოდვაა.

იმდენად დიდი, რომ იგი ეროვნული ტრაგედიის ტოლფასია.

ამ საქმეს შველა უნდა და თანაც დროული.

ამ სრულიად განსაკუთრებულ შემთხვევაშიც „ჩვენი ახალგაზრდობა ვალდებულია... იყვიროს დაუფარავად“.

არ ყვირის.

რატომ?

შესაძლოა იმიტომაც, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყვირილი საქმეს ვერ უშველის.

უბრალოდ საჭიროა ისწავლოს იმან, ვისაც უნდა და შეუძლია, ვისაც ესმის, რომ „ყოველი ბედნიერება ხალხისა არის დამოკიდებული მის გონებით მდგომარეობაზე“ და რომ, ამის აღქმის, გაგებისა და გააზრების გარეშე ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ვერ შეძლებს თავისი მაღალი მისიის შესრულებას. იგი დაზარალდება. და, მაშასადამე, დავზარალდებით ჩვენ ყველანი. მთელი ერი.

მე ისევ და ისევ ვუბრუნდები მომავლის იმედიანი მომღერლის ნააზრევს და თავადაც იმედის გრძნობა მეუფლება. იმედი იმის გამო, რომ ჩვენი განთიადის დიდი წინამორბედი დღესაც ჩვენთან არის, მხარში გვიდგას და გვეხმარება კიდეც, რათა განვმტკიცდეთ და ბოროტებას გონების ძალამ სძლიოს, ხოლო გამოღვიძებული საქართველოს ახალგაზრდობას უნარი და შეძლება ექნეს ხმამაღლა თქვას: „ვინც შენატრის იმის სიკვდილს, უმალ მასვე დაამიწებს“.

არ მომკვდარა საქართველო.

ეძინა და გაიღვიძა.

ახლა ჩვენ, ამ გამოღვიძების ჟამს, არც გაზმორების, არც თვალების ფშვნეტის და არც მთქნარების დრო აღარ დაგვრჩა.

დაყოვნება დამღუპველია ჩვენთვის.

დაყოვნება საფუძვლიანი სწავლა-განათლების მიღებაში.

დაყოვნება შრომის ნაყოფიერების ზრდაში.

დაყოვნება პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში.

დამოუკიდებლობა სხვაზე დამოკიდებულების, სხვისი მოიმედეობის დაძლევას ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა.

დამოუკიდებლობა გასაღების ბაზარზე ღირსეულ კონკურენტუნარიანობას გულისხმობს.

დამოუკიდებლობა ერის მაღალი კულტურის დონეს მოითხოვს.

გაუნათლებელი, უკულტურო და ეკონომიკურად სუსტი საქართველო ვერ გახდება და ვერც იქნება დამოუკიდებელი.

ჩვენ გვწადია დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე და მფარველი.

მაგრამ...

მარტოოდენ შემწეობა და მფარველობა არ იკმარებს.

საქმემან ჩვენმან, უწინარეს ყოვლისა, გამოაჩინოს და წარმოაჩინოს სურვილი ჩვენი, მისწრაფება და მზადყოფნა, მივაღწიოთ საწადელს ძნელად სავალ ეკლიან გზაზე.

დღეს ამ გზაზე 150 წლის ჭაღარა აკაკი გვეგებება და გვმოძღვრავს, გვეფერება და გვაიმედებს, გვაფრთხილებს და გვემუდარება: „ნუ გამიმტყუნებთ იმედსა“.

არ გაგიმტყუნებთ.

მადლობელი ვართ ყველაფრისათვის.

დაილოცოს შენი დაბადების დღე და ადგილი:

სხვიტორი.

1940 წელი.

21 ივნისი.

ამინ!

ოთარ ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონ ტაბიძე

ოქტომბრები აკაკისთან

აკაკის იუბილე იყო, ბევრმა პირველად დაინახა ამ დღეს აკაკი.

მე ერთი კვირის წინეთ ვიკითხე სახაზინო თეატრის კასაში ბილეთი, მაგრამ სრულიად გაყიდულიყო ბილეთები.

დავრჩი ისე, რომ აკაკი ვერ ვნახე, უკვე თხუთმეტი წლის ვიყავი, სემინარიაში ვსწავლობდი, ლექსებსაც ვსწერდი, ვბაძავდი აკაკის... „სირცხვილი არ არის, რომ აკაკი ვერ ვნახო?“ — ვფიქრობდი, მაგრამ შემთხვევა არ მომეცა. სიონის ტაძრიდან აკაკი ეტლით წამოიყვანეს, მინდოდა დამენახა, მაგრამ ჩემს წინ ჩემზე მაღალი ხალხი დადგა. ეტლმა ჩაიარა კიდეც... შემდეგ სახაზინო თეატრის წინ ვიცდიდი, ხალხი ბუზივით ირეოდა... გათავდა საიუბილეო ზეიმი, აკაკი კი არ სჩანდა. ხალხი მოუთმენლად ელოდა მის გამოსვლას.

— რაზოიდიტეს! — გაისმა პოლიციელების ხმა, — აკაკი უკე უეხალ.

— აკაკი წავიდა.

გულდაწყვეტილი გვიან დავბრუნდი ბურსაში, სადაც სემინარიელები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს აკაკიზე.

გავიდა რამდენიმე წელი...

მე უკვე სემინარიაში აღარ ვსწავლობდი. როდესაც სემინარიიდან გამოვედი, სადგურ ხორაგაულის ახალ, ერთ პატარა სოფელში მასწავლებლის ადგილი მომცეს.

კვირა-უქმე დღეებში სოფლიდან სადგურზე ჩამოვდიოდი, აქ თავს იყრიდნენ ჩემი ამხანაგი მასწავლებლები... საღამოობით თფილისიდან მატარებელი ჩამოივლიდა და ესეც ერთგვარ სიამოვნებას გვგვრიდა. სრულიად მოულოდნელად რომელიმე ნაცნობი გადმოვიდოდა მატარებლიდან... მოგვიტანდა თბილისის ამბებს. გვეტყოდა რამეს ნაცნობების შესახებ...

ერთხელ დიდხანს ვიდექით სადგურზე... ვსაუბრობდით, ვიცინოდით... მატარებელიც მოვიდა. ჯგუფი ახალგაზრდა ქალების იდგა და მგზავრებს ათვალიერებდა.

ამ დროს მატარებლის მეორე კლასის ფანჯარა ჩამოიწია. კუპედან ღმერთივით გადმოიხედა ბამბის ქულასავით ჭაღარამ, ოლიმპიურად ამაყი სახის მქონე მოხუცმა...

— აკაკი! — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

ელექტრონის ძალასავით იმოქმედა ამ სიტყვამ ყველაზე. ერთხანათ გაშეშებული ვიდექით. მე თვალებით ვეჭამდი ამ სახეს. აკაკიმ წაიკითხა სადგურის შენობაზე მიკრული სახელწოდება და ფანჯარა ისევ დახურა. ვხედავდი, რომ იგი დინჯათ გადაეშვა სავარძელში.

ყველანი ამ კუპესკენ გაექანენ... ბევრმა მატარებელში შესვლაც მოინდომა. დაჰკივლა ამ დროს მატარებელმა, მისცეს მესამე ზარი და მატარებელი გუგუნით გაექანა სიპივით გალესილ რელსებზე.

დიდხანს დაყრუებულივით ვიდექი.

ორი წლის შემდეგ ქუთაისში ვცხოვრობდი.

არასდროს არ დამავიწყდება სალიტერატურო საღამო, რომელშიდაც პირველად გამოვდიოდი. ხუმრობა იყო? სცენაზე ლექსი უნდა წამეკითხა!

დილიდანვე რაღაც საშინელების გრძნობამ შემიპყრო... შიშმა სრულიად დამიმონა...

ერთიც ვნახოთ, დამავიწყდა ლექსი! მაშინ?.. საზოგადოება დაინტერესებულია „ახალგაზრდა მგოსნით“, იგი გაფაციცებით თვალყურს გადევნებს, მაგრამ იგი სრულიადაც არ შესწუხდება თუ შენ ლექსი დაგავიწყდა და შუა ადგილას გაყინდი... რომელიმე დაურიდებელი პირი შემდეგ საყვედურით გეტყვის:

— პუბლიკა სტრადალა იზ-ზა ვას!

მე ძალზე გავიზეპირე ლექსი...

ამ დღეს სალიტერატურო საღამოში მონაწილეობას იღებდნენ: აკაკი, პეტრე გელეიშვილი, პ. ცახელი, იასონ ნიკოლაიშვილი, ვარლამ რუხაძე. იყვნენ სხვებიც. საღამო გელეიშვილის ლექციით დაიწყო, იგი მუსრს ავლებდა ახალგაზრდა მწერლებს. ახალგაზრდა მწერლები კი იქვე ისხდნენ აკაკის ირგვლივ. დათიკო მესხმა მეორე დღესვე ამ თემაზე იუმორისტული შენიშვნა დასწერა. ლექციის შემდეგ აკაკიმ თავისი კლასიკური ლექსები წაიკითხა, აკაკის შემდეგ კი ჩემი რიგი იყო.

მე დავიწყე. მაგრამ ხმა მიკანკალებდა,

უეცრად აკაკის დაეინებული შემოხედვა ვიგრძენი... აკაკი მიცქეროდა და...

ლექსი დამავიწყდა, უნდა გავჩერებულიყავი...

ციგმა ოფლმა დამასხა...

ბედათ, იმ რითმაზე, რომელზედაც გავჩერდი, მომაგონდა სრულიად ახალი რითმა, ექსპრომტათ, ავადმყოფური თავგანწირულობით ვქმნიდი ახალ სიტყვებს, ახალ აზრებს, რომელშიდაც საერთოდ არა იყო რა, მაგრამ მე მსურდა სიტყვების კორიანტელით ამეხვია თვალი მაყურებლებისთვის. ცდა საუკეთესოდ დაგვირგვინდა. არც ერთს დამსწრეს არ შეუტყვია და არ უგრძვნია ჩემი კრიტიკული მდგომარეობა.

საღამო გათავდა. მე დავიფიცე, რომ ამ დღიდან სალიტერატურო საღამოში არ გამოვალ.

„რა სიბრიყვეა, უკითხო ხალხს ლექსები. თუ ასე ძალიანა სურთ, იკითხონ გაზეთებში“, — ვფიქრობდი მე.

აკაკის შემოვერტყით გარშემო. აკაკი საუბრობდა ნიკო ნიკოლაძის გაზეთზე — „ნოვოე ობოზრენიეზე“, სადაც მუდმივ თანამშრომლათ ითვლებოდნენ აკაკი და გ. თუმანიშვილი. შემდეგ საუბარი საღამოს ირგვლივ ტრიალებდა...

ილია ბახტაძემ, რომელმაც იმ საღამოს მერეკოვსკის „საკიამუნი“ წაიკითხა, აკაკის უთხრა:

— არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, ბ. აკაკი, მე თქვენ იუბილეზე ლექსი ვთქვი.

აკაკის, ალბათ ეგონა, რომ ილ. ბახტაძე ლექსებსაცა სწერს და ოდნავი ღიმილით სთქვა:

— მე ილია ბახტაძე მახსოვს... იგი პუბლიცისტი იყო, მაგრამ ილია ბახტაძე, რომ ლექსებსაც სწერდა, ეგ კი აღარ ვიცოდიო!

●

... ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა წაუშლელი კვალი დააჩნიეს ქართველი ინტელიგენციის ისტორიაში. საზოგადოდ ქართველი ინტელიგენციის ისტორია ამ ორი პიროვნების გამოსვლით იწყება. ჩვენს წინ ცოცხლად სდგას ერთი მხრით დაუღალავი მშრომელი და ძლიერი სულიერი ნების პატრონი ილია ჭავჭავაძე, მეორე მხრით დაუმონებლად ამაყი და ციური ნიჭით დაჯილდოებული ნამდვილი პოეტი აკაკი...

აკაკი წერეთელი ჩვენი სამოქალაქო ლირიკის ყველაზე ძლიერი წინამორბედია. ეს იყო მგოსანი, რომელიც ცოცხლობდა თავისი დროის პროგრესულ მოთხოვნილებათა შთაგონებით. ეს იყო მგოსანი, რომელიც ჰკაფავდა გზას წარსულისაგან მომავლისაკენ. თავისი ცხოვრებით და გაბედული ლიტერატურული გამოსვლებით მან უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ერის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. აკაკის ჩანგის მომხიბვლელობა გამოიხატებოდა იმ ზნეობრივ სიძლიერეში, რომელიც შეადგენდა პოეტის პიროვნებას. მან შესწირა თავისი თავი ერთს წმინდათაწმინდას — სამშობლოს. აი, რანაირად ისახება ჩემს წარმოდგენაში მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტის ისტორიული მდგომარეობა და პიროვნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის ანდერძი

დაწერილი 1912 წლის 7 ნოემბერს ქუთაისის ნოტარიუს აბდუშელიშვილთან

მე, თავადი აკაკი როსტომის ძე წერეთელი, რომელიც ვარ სრულ ჭკუასა და მტკიცე მეხსიერებაზე, საჭიროდ ვთვლი სიკვდილის შემდეგ დავტოვო შემდეგი ანდერძი:

მთელს ჩემს შენაძენ უძრავ მამულს, რომელიც დარჩება ჩემს შემდეგ და, რომელიც სადაც უნდა იმყოფებოდეს და რასაც უნდა შეიცავდეს, ვუტოვებ ჩემს მეუღლე კნეინა ნატალია პეტრე ბაზილევსკის ასულს წერეთლისას და ჩემს შვილს თავად ალექსი წერეთელს, რომ უფლობდნენ მას და სარგებლობდნენ მთელის სიცოცხლის განმავლობაში ამ მამულიდან. სამოსახლო ადგილს შენობებით და კარის ეკლესიით სოფელ სხვიტორში, შორაპნის მაზრაში, საკუთრებად უტოვებ ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ იქ გაიხსნას დედათა სკოლა ჩემის სახელობისა. ვენახსა და დანარჩენს ჩემს მამულს ვუტოვებ საკუთრებად საქართველოს საისტორიო და საერთოდ ზეპირ თქმულებათა შესაკრებად და გამოსაცემად. უფლება ჩემის ნაწერების გამოცემისა უნდა მიეცეს ზემოხსენებულ საეთნოგრაფიო საზოგადოებას აღნიშნულ მიზნისათვის. დანარჩენ ჩემს მოძრავ ქონებას ვუტოვებ ჩემს მეუღლეს და შვილს, რადგან ზემოხსენებულ სამოსახლო ადგილთან დაკავშირებულია ჩემთვის ფრიად ძვირფასი მოგონებანი. ამიტომ ვთხოულობ, როცა უფალი თავისთან გამიწვევს, დამასაფლაოთ კარის ეკლესიის გვერდით სოფელ სხვიტორში. გთხოვთ დამასაფლაოთ უბრალოდ და უგვირგვინოდ. გვირგვინის მსურველს ვსთხოვ, გვირგვინის ფასი გადასცეს ზემოხსენებულ საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

ზემო აღნიშნულ მიზნისათვის ამ ანდერძში გამოთქმულ ჩემის ნების აღმსრულებლად ვნიშნავ: თავადს გრიგოლ ნიკოლოზის ძე დიასამიძეს, სერგო ლუკას ძე ბახტაძეს, კონსტანტინე იოსების ძე აბდუშელიშვილს და ექიმს ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილს.

●

აკაკის ანდერძი დაიბეჭდა „სახალხო ფურცელში“ 1915 წლის 8 თებერვალს, № 205.

ხელმოწერა არა აქვს. თან ახლავს სარედაქციო შენიშვნა:

„რედაქცია საჭიროდ სთვლის აღნიშნოს, რომ განსვენებულმა პოეტმა გარდაცვალების წინ თავის ნათესავებსა და ახლობლებს განუცხადა, იქ დამასაფლავეთ, სადაც ჩემი ერი მოისურვებსო“.

ანდერძი გამოაქვეყნა გაზეთმა „ახალმა აზრმაც“ 1915 წლის 8 თებერვალს. თანაც დაურთო შენიშვნა: „თ. გრ. დიასამიძის სიტყვით აკაკის ნათესავ-მახლობელთათვის განუცხადებია, რომ თუ ხალხი სხვაგან დასაფლავებას მოისურვებს, ასეთი სურვილის საწინააღმდეგო ნურაფერი გექნებათო“.

●

ცხადია, მკითხველს აინტერესებს იმ პირთა ვინაობა, რომელთაც აკაკიმ თავისი ანდერძის აღსრულება მიანდო. ვინ იყვნენ ისინი?

გრიგოლ დიასამიძე დიდი პოეტის მეგობარი გახლდათ, გაზეთ „ერის“ რედაქტორი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. სერგო ბახტაძის ოჯახში ქუთაისში ყოფნის დროს, ხრიშად ცხოვრობდა აკაკი და მასთან ახლო მეგობრობა აკავშირებდა. კონსტანტინე აბდუშელიშვილი ქუთაისის ნოტარიუსად მუშაობდა. ექიმი ივანე ელიაშვილი კი ცნობილია, როგორც საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჟდენ გვეტაძე

შუა მაისი იყო.

თბილი, მზიანი ამინდი იდგა.

მთელი ქუთაისი ამწვანებულ ბაღს ჰგავდა.

სახლები ხეებს დაეფარათ, ეზოებში კოინდარი ბიბინებდა. ვარდები ჰყვაოდნენ.

აკაკის ნირად ჰქონდა — ამ დროს ქუთაისს უთუოდ სწვეოდა.

მაისის ერთ დილას მატარებლიდან აკაკი გადმოვიდა. ხელში ტყავის მომცრო ჩემოდანი ეჭირა.

— ბატონ აკაკის სიცოცხლე! ეს რა ბედნიერი კვირა გაგვთენებია ქუთათურებს! გაბრწყინებული სახით უთხრა პოეტს სასტუმრო „კოლხიდის“ პატრონმა ჭელიძემ, და ჩემოდანი თითქმის ძალით გამოართვა ხელიდან.

აკაკის არაფრად ეჭაშნიკა მისი ნახვა.

— რომელი სადგურის უფროსი შენ ხარ, ყოველ მატარებელს რომ ხვდები, ა,? — ცალყბად უთხრა აკაკიმ ჭელიძეს, თანაც შეეცადა, მოეგონებია, თუ რამდენი ემართა მისი.

აკაკი, როცა ხელმოკლედ იყო, ჭელიძის სასტუმროში ჩერდებოდა. ქუთაისიდან გამგზავრებისას, ფულის მიცემის ნაცვლად, სასტუმროს პატრონს დავთარში ხელს მოუწერდა მხოლოდ და ღიმილით ეტყოდა:

— ესეც ძველს მიემატოს, ერთად გადაგიხდი.

— შენი ხელისმოწერა თამასუქზე უფრო ძვირფასია. ნეტავი მილიონი გემარრთოს, — ღიმილითვე უპასუხებდა ჭელიძე, თანაც ჩემოდანს თავისი ხელით გაუტანდა სადგურზე.

ჭელიძე აკაკისაგან დიდ სარფას არ გამოელოდა, მაგრამ მაინც ყოველთვის უხაროდა, როცა მის სასტუმროში პოეტი ფეხს შედგამდა. დარწმუნებული იყო, აკაკის სტუმრობით, „კოლხიდას“ სახელი მოემატებოდა, სახელთან ერთად — მგზავრები და ამიტომაც წყალში გადაყრილად არ თვლიდა მასზე გაწეულ ხარჯს. ის კი არა, საამაყოდაც მიაჩნდა, რომ საშუალება ჰქონდა, დახმარება გაეწია პოეტისათვის.

აკაკის ხუმრობის არ იყოს, ჭელიძე მართლაც ყოველ მატარებელს ხვდებოდა, მგზავრებს ათვალიერებდა, როგორც კი შეატყობდა ვინმეს უცხოობას, მაშინვე თავაზიანად მიმართავდა:

— ჩემთან წამობრძანდით. საუკეთესო სასტუმრო მაქვს. აკაკი წერეთელი ყოველთვის ჩემს სასტუმროში ჩამოხტება, როცა ქუთაისი მოენატრება.

ამ დილითაც ჭელიძე ასე ეპატიჟებოდა ვიღაც მგზავრს, მაგრამ მოჰკრა თუ არა თვალი აკაკის, სიტყვა შეწყვიტა და პოეტისაკენ გაეშურა.

— ა, სადგურის უფროსი ხომ არა ხარ? — გაუმეორა აკაკიმ.

— სადგურის უფროსი კი არა, ნასილჩიკი ვარ, ბატონო ჩემო, ნასილჩიკი, — სიცილით უპასუხა ჭელიძემ და მკერდზე ქალის თმის ღერი ააცალა, — მატარებელშიც არ გასვენებენ წყეულები? — სიცილითვე დაუმატა და უკან ფეხაკრეფით გაჰყვა პოეტს.

სადგურის დარბაზიდან ქუჩაში გასასვლელ კიბის თავზე აკაკი შედგა. ქალაქს გახედა. ბაგრატის ტაძრის ნანგრევებზე შეაჩერა მზერა.

ახლადამოსული მზის შუქით სივრცე ციაგებდა.

ჭელიძე უკვე ქუჩაში იყო. ეტლი დაეჭირა. აკაკის ელოდებოდა.

სადგურის კიბეზე ამავალ-ჩამავალნი წუთით დაყოვნდებოდნენ, პოეტს მოწიწებით შეაჩერდებოდნენ და ისევ განაგრძობდნენ გზას.

აკაკიმ ერთხელ კიდევ მოავლო ქალაქს თვალი და კიბეზე თავადებით იწყო ჩასვლა.

— რად გინდა ეტლი, შენი სასტუმრო ორ ნაბიჯზეა. ფეხით წავიდეთ, — უთხრა მიახლოებისას ჭელიძეს.

ჭელიძემ ჯერ შეჩერებულ მგზავრებს გადახედა, შემდეგ წელში მოხრით თქვა:

— როგორ გეკადრებათ! დაღლილი იქნებით. ჩაბრძანდით.

აკაკის აღარ გაუწევია წინააღმდეგობა. ეტლში ჩაჯდა. ჭელიძე წინ დაუსკუპდა და პოეტის ჩემოდანი მუხლებზე მოწიწებით დაიდო.

— აგერ დაჯექი, ყმაწვილო, ორივე დაეტევით.

— ასე მირჩევნია, — უყოყმანოდ უპასუხა ჭელიძემ, თანაც თავი ზურგზე ჰკრა მეეტლეს, ანიშნა, წასულიყო.

ეტლი დაიძრა.

აკაკი მშვიდად ირწეოდა. იგონებდა ქუთაისში გატარებულ ბავშვობას, ჭაბუკობას.

ეტლი შეჩერდა. ჭელიძე გადმოხტა. აკაკიმ გადასძახა:

— ქალაქში გავივლი, მანამ ოთახი მომიმზადე. მალე დავბრუნდები.

ეტლი ისევ დაიძრა.

ვიდრე ეტლი მოსახვევში არ მიიმალა, ჭელიძე დასაწყლებული იდგა. ბოლოს, როცა იგრძნო აკაკის ჩემოდანი ხელში ეჭირა, ისევ გახალისდა.

— უთუოდ დაბრუნდება! — ხმამაღლა იმედიანად ჩაილაპარაკა და საჩქაროდ სასტუმროში შევიდა.

ეტლი მიჰქროდა, დილის ნიავი აკაკის შევერცხლილ წვერს საამურად არხევდა.

ქუჩებში ხალხი ცოტა იყო.

საკვირაოდ სუფთად წვერდავარცხნილი და ჩაცმული ხელოსნები ყაფანისაკენ მიეშურებოდნენ. სოფლებიდან მომავალ ქალებსა და ბავშვებს გომიჯებითა და ყველით სავსე კალათები ბაზარში მიჰქონდათ. ზოგს ვარიები მიჰყავდა, ზოგს — ძუძუს გოჭი.

მიახლოებული ეტლის ხმაურზე გლეხები თხმელის შეშით დატვირთულ ჰატარა, ჩოჩიალა ურმებს აჩერებდნენ, რომ ხარები არ დაფეთებულიყვნენ.

ეტლმა ბაღს ჩაუარა.

დახურული მაღაზიების წინ მანეკენებივით გამოწყობილი ნოქრები იდგნენ. ხელში ახალი გაზეთები ეჭირათ. ხმამაღლა ერთმანეთს უკითხავდნენ.

ბაღში ჯერ თითქმის არავინ იყო.

როცა ეტლმა მარჯვნივ გაუხვია, გაისმა საკრებულო ტაძრის ზარის გუგუნი.

ეტლი ჯაჭვის ხიდთან შეჩერდა.

აკაკიმ ვერცხლის ათშაურიანი მისცა მეეტლეს.

— ბატონო აკაკი, საჩხერის მტვერს თვალის დახამხამებაში მოგაშორებ, — გადაუდგა წინ ფეხსაცმლის მწმენდავი ებრაელი ბიჭი და შავი მოგრძო ყუთი ფეხებთან დაუდგა.

აკაკიმ ღიმილით დახედა ჩაცუცქულ ბიჭს, გაშავებულ კვანჩხში შავი ხურდა ფული ჩაუყარა და პირდაპირ სამიკიტნოს მიაშურა. ჯერ გარედან დაათვალიერა სამიკიტნოს ვიტრინა: ახლად შემწვარ გოჭს კვერცხისგულივით ყვითელი კანი დაბზაროდა. ტარხუნაშემოლაგებულ სულგუნებს რძე სდიოდათ. ცალმხარეს, ხარდნებივით აყუდებულ შამფურებზე, შესაწვავად გამზადებული წიწილები წყვილწყვილად წამოეგოთ. მეორე მხარეს ბამბასავით თორნის პურები ეწყო.

აკაკის, როცა ქუთაისში ჩამოვიდოდა, დილა იქნებოდა, ამ სამიკიტნოში უნდა ესაუზმა, შუადღე — აქ უნდა ესადილა, საღამო — ევახშმა. სამიკიტნოს ის ჰაწია ოთახი, სადაც აკაკის ჯდომა უყვარდა, მერცხლის ბუდესავით გადასცქეროდა რიონს.

ნაცნობი მიკიტანი კარებშივე მიეგება სტუმარს.

●

სამიკიტნოდან მოგვიანებით გამოვიდა აკაკი.

საზაფხულოდ ფერადი ტანისამოსით მორთული ხალხი ბაღის ახლომახლო პეპლებივით ირეოდა.

ბაღშიაც ტევა აღარ იყო.

მოკრიალებულ ცაზე მაისის მზე ბრწყინავდა.

აკაკი ნელი ნაბიჯით მიდიოდა.

ბაღში და ბაღის გარეთ მოსეირნეთა

შორის ერთბაშად აღტაცებული ჩურჩუ-ლი ატყდა:

— აკაკი ჩამოსულა!

შემხვდურები მოწიწებით გზას უთმობდნენ, შემდეგ მობრუნდებოდნენ და უკან შორიახლო მისდევდნენ.

მალე აკაკის ირგვლივ ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა წრე გაჩნდა.

ახლონაცნობები მხარდამხარ მიჰყვებოდნენ პოეტს და მორიდებით ემუსაიფებოდნენ.

აკაკიმ იასონის მაღაზიას მიაშურა, სადაც ჟურნალ-გაზეთები იყიდებოდა.

მოწაფეები ცერებზე დგებოდნენ, ან ბაღის მოაჯირებზე ადიოდნენ, რომ უფრო კარგად დაენახათ პოეტი.

იასონი ქუჩაში დახვდა. მხიარულად მიესალმა. სიხარულით სახეგაბადრული და აღელვებული. თავაზიანად შეუძღვა თავის მაღაზიაში. აკაკიმ შიგ შესვლისთანავე იგრძნო ახლადდაბეჭდილი გაზეთებისა და ჟურნალების საამური სურნელება.

აკაკი თავისი მხლებლებით იასონმა მაღაზიის უკანა ოთახში გაიწვია. ოთახის კედლები დაფარული იყო ქართველ მოღვაწეთა და მწერალთა სურათებით. ყველაზე თვალსაჩინო ალაგას მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული აკაკის სურათი ეკიდა.

იასონმა პოეტს თავისი სავარძელი მიართვა, მაშინვე ბატრიალდა და ახალი ჟურნალ-გაზეთები გამოუტანა.

აკაკიმ გაზეთებს დაუწყო თვალიერება, ისე რომ საუბარი არ გაუწყვეტია. ხანდახან საოხუნჯო რასმეს იტყოდა. ზოგს აკაკის ოხუნჯობის აზრი და სიმახვილე კარგად არ ესმოდა, მაგრამ მაინც სხვებთან ერთად იცინოდა.

იასონმა უცებ ოთახში ფოტოგრაფი შემოიყვანა.

— ლამის არის, ამ ფოტოგრაფებმა ქუთაისი შემაძულონ! უმაგათოდ ქუთაისში ნათვლა არ შეიძლება, ქორწილი და ტირილი. ორი კაცი რომ ერთმანეთს შეხვდეს, იქ მესამეც გაჩნდება და ეს მესამე უთუოდ ფოტოგრაფი იქნება... რამ შეგაყვარათ ასე საკუთარი თავი ქუთათურებს, პირდაპირ საოცარია, — ღიმილით უთხრა აკაკიმ იასონს.

— თქვენმა კალამმა, ბატონო აკაკი, — უპასუხა მან.

— ჩემი კალამი გმირებს ხატავს, ქუთაისელი ფოტოგრაფები კი... თქვენთან ბოდიში, და ვირებს. მე არაფერ შუაში ვარ აქ, — ხმამაღალი სიცილით თქვა აკაკიმ. — თუ გიყვარდე, იასონ, მომაშორე თავიდან მაგ კაცი თავისი ეშმაკის ყუთით, — წყენანარევი კილოთი დაუმატა ბოლოს.

ამ ლაპარაკში იასონს აკაკის გარშემო უკვე დაეწყო იქ მყოფნი. თვითონ მათ შუა, აკაკის უკან დამდგარიყო. ფოტოგრაფსაც მოემზადებინა აპარატი და, როგორც კი აკაკიმ ისევ ასწია თავი, სურათი გადაიღო.

— მშვენიერი სურათი იქნება, — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა ფოტოგრაფმა და აპარატი ოთახიდან გაიტანა.

— რად გამალანძღვინე ეს ხალხი ამ კვირა დილით, ა? — შეუტია აკაკიმ იასონს, თანაც გაზეთი დაკეცა.

— არაფერია, ბატონო აკაკი. შეუძლიათ, თავი იმით ინუგეშონ, რომ თქვენც მათთან ერთად იქნებით გადაღებული, — უპასუხა იასონმა, მაგრამ უცებ შეკრთა — ვაი თუ აკაკიმ იწყინოსო.

— მე კი ის მეყოფა ნუგეშად, რომ ენაბრგვილს, ენა გაგატეხინე, — ღიმილით დაჰკრა მხარზე ხელი აკაკიმ იასონს და წასასვლელად მოემზადა. გაზეთების დასტა იღლიაში ამოიდო, ჯოხი ხელში დაიკავა.

— ბატონო აკაკი, დღეს სადილად ჩემთან წამობრძანდით, — მიმართა ერთმა იქ მყოფთაგანმა.

— არა, დღეს არა, ხვალ, სხვა დროს. კარგა ხანს ვაპირებ აქ დარჩენას. ახლა დაღლილი ვარ, წუხანდელი უძილო. პირდაპირ სასტუმროში უნდა წავიდე.

— საღამოს კლუბში მაინც მობრძანდით, თავის შექცევის შემდეგ ერთად ვივახშმოთ, — სთხოვა მეორემ.

—მაგ შეიძლება, მაგრამ იმ პირობით, თუ ცოტა სახარჯოს დამიტოვებთ, სულ არ გამფცქვნით, — იხუმრა მიმავალმა აკაკიმ.

— აკაკი, ქუდი დაგრჩათ! — წამოეწია კარებთან იასონი და ქუდი მიაწოდა.

— მოვხუცდი, იასონ, მოვხუცდი. გულმავიწყობაა ამისი პირველი ნიშანი, — რაღაც გულნაკლულად ჩაილაპარაკა აკაკიმ. ქუდი ჯოხთან ერთად ხელში დაიკავა და კვლავ კარებისაკენ გასწია.

მაღაზიის წინ დიდძალ ხალხს მოეყარა თავი...

აკაკის გამოსვლას ელოდნენ.

გამოჩნდა თუ არა, ვიღაცამ დაიძახა:

— გაუმარჯოს ჩვენს აკაკის!

— გაუმარჯოს! — იგრიალა ქალმა და კაცმა, დიდმა და პატარამ, ამ შეძახილს მხურვალე ტაში მოჰყვა. ქუჩაში ეტლები შეჩერდნენ.

აკაკი არ ელოდა ამას. ერთი შეჩქვიფდა. ტაში ძლიერდებოდა.

აკაკიმ მადლობის ნიშნად ხალხს თავი დაუკრა.

გზა დაუთმეს.

მხცოვანი პოეტი სასტუმროსკენ ფეხით გაემართა.

მთელი ხალხი უკან გაჰყვა.

თეატრის წინ თავმოყრილი მსახიობები მიესალმნენ, თანაც თხოვეს: ამაღამ „პატარა კახის“ წარმოდგენაზე დაგვესწარიო.

აკაკი დაჰპირდათ.

მსახიობებიც შეუერთდნენ ხალხს.

სასტუმრო „ფრანციასთან“ პოეტი შეიდგა. ეტყობოდა, ღელავდა, უნდოდა, ხალხისთვის რაღაცა ეთქვა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა.

კვლავ ატყდა ტაშის გრიალი.

აკაკიმ ერთხელ კიდევ ალერსით მოავლო თვალი ქუთათურებს და სასტუმროში შევიდა.

სასტუმროს პატრონი ფრანგი ქალი თავის ენაზე მიესალმა, მოიკითხა, შემდეგ კეკლუცად წაუძღვა ოთახისაკენ, თვითონ გაუღო ოთახის კარი. მოსამსახურე ქალს უბრძანა, პირსაბანში წყალი გამოეცვალა.

— არავინ შემოუშვთ ჩემთან, თუ ღმერთი გწამთ, დაღლილი ვარ, — ფრანგულ ენაზე სთხოვა აკაკიმ დიასახლისს.

— კეთილი! — ტკბილად უპასუხა დიასახლისმა და, როგორც კი მოსამსახურემ პირსაბანში წყალი ჩაასხა, კარი ეშმაკური ღიმილით გაიხურა.

აკაკიმ ფანჯარა გამოაღო.

ოთახში რიონის ხმაური და სიგრილე შემოვიდა.

სასტუმროს წინ ჯერ კიდევ იდგა ხალხი.

აკაკიმ ყელსახვევი მოიხსნა, პიჯაკი სკამზე მიაკიდა, ცოტა ხანს ოთახში გაიარ-გამოიარა, შემდეგ გაზეთი აიღო და წამოწვა.

ჭელიძე კი ყოველი ეტლის ხმაურზე გარეთ გამორბოდა, მაგრამ აკაკი არსად ჩანდა.

●

უკვე ბნელოდა, როცა აკაკიმ თვალი გაახილა. სახეზე დაფარებული გაზეთი მოიშორა. ადგა. ფანჯრიდან, მზის სხივების ნაცვლად, ახლა მთვარის შუქი იფრქვეოდა, რიონის ხმაურიც მკაფიოდ ისმოდა, ფანჯრის ფარდას ნიავი როგორც ქალის ლეჩაქს, ნელა არხევდა.

აკაკიმ სიცივე იგრძნო. ფანჯარა მიხურა. ელექტრონი აანთო, მაგრამ მისმა მკრთალმა შუქმა ვერ განდევნა ოთახიდან მთვარის ნათელი.

აკაკიმ ხელ-პირი დაიბანა, თმა-წვერი

დაივარცხნა, ყელსახვევი გამოინასკვა, პიჯაკი მოიცვა. შემდეგ მოსამსახურეს დაუძახა, ჩაი მოეტანა.

ჩაი დიასახლისმა შემოუტანა თავისი ხელით.

როგორ მოისვენეთ, ბატონო აკაკი?

— ფანჯარა ღია დამრჩენოდა. ცოტა მაჟრჟოლებს.

— ეგ როგორ მოგვიდათ?! ცუდათ ხომ არა გრძნობთ თავს?

ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.

დიასახლისს წყენა დაეტყო, რომ არ დააცადეს აკაკისთან ყოფნა.

— მობრძანდით! — გასძახა აკაკიმ.

ოთახში შემოვიდა ერთი აზნაური, ჭიათურის შავი ქვის მადნით მოულოდნელად გამდიდრებული. ეტყობოდა, დიდხანს არ უნდა გაევლო, რაც ჩოხა-ახალუხი გაეხადა. როგორც ჩაცმით, ისე ქცევით ცდილობდა, ნამდვილ კომერსანტს მგვანებოდა. თანაც სახელოვან ხალხთან ნაცნობობას ეტანებოდა. მამაპაპური ხმლის მაგივრად ახლა თავმოვერცხლილი ჯოხი ეჭირა ხელში და წარამარა ატრიალებდა. ულვაშები ხარაბუასავით ყურებამდე სწვდებოდა, ხოლო ნიკაპთან დატოვებული პატარა წვერი შავ ბოლოკს უგავდა. კვირაობით ამაყად იცოდა ყელის მოღერება და სიარული. სხვა დროს მოუსვენარი კაცის იერი ჰქონდა.

— სალამი აკაკის, სალამი!

აკაკიმ უსიტყვოდ ჩამოართვა ხელი. იმავე დროს ოთახიდან გამავალ დიასახლისს ფრანგულად უთხრა:

— გეთაყვა, ეტლს დააძახებინეთ.

— ბატონი ბრძანდებით, — უპასუხა დიასახლისმა, ერთი ალმაცერად შეხედა ახლადმოსულს და კარი უმადურად გაიხურა.

— დაბრძანდით... ჩაის ხომ არ მიირთმევთ? — წესად მიმართა სტუმარს აკაკიმ. ეტყობოდა, პოეტს მაინცდამაინც არაფრად უხაროდა მისი ნახვა.

— არა, გმადლობთ, — იუარა მან და მაგიდასთან, სავარძელში მჯდომ აკაკის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დაადგა თავზე. ცოტა ხნის შემდეგ პიჯაკი გაიხსნა, ოქროს საათი ამოიღო, რომელიც ისეთი მსხვილი და გრძელი ოქროსავე ძეწკვით ეკიდა შესუქებულ მუცელზე, რომ ავი ნაგაზის დასაბმელადაც გამოდგებოდა.

შემდეგ მასპინძელს გვერდით მიუჯდა და ტოლივით ჰკითხა, თუ როდის ჩამოვიდა, რამდენ ხანს აპირებს ქუთაისში დარჩენას, რა დაწერა ახალი, თბილისში რამდენი ხანია არ ყოფილა.

აკაკი ნაწყვეტ-ნაწყვეტად პასუხობდა, თან ჩაის სმას განაგრძობდა.

— ნეტავი დარჩენა შემეძლოს, — უთხრა ბოლოს სტუმარმა, — ამაღამ ჭიათურაში მივდივარ, გადაუდებელი საქმე მაქვს. თქვენს უნახავად არ მინდოდა წავსულიყავი, ამიტომ გეახელით. ვეცდები, ჩამოგისწროთ. თქვენთან ქაღალდის თამაში მომენატრა სწორედ.

— რატომაც არ მოგენატრება! უფულოდ ჯდები, ჯიბეგასქელებული დგები, — გაიცინა აკაკიმ.

— ბედის საქმეა.

— ბედის კი არა, თითების, — მოუჭრა აკაკიმ.

ამის შემდეგ სტუმარი დიდხანს აღარ დარჩენილა.

მის წასვლისთანავე აკაკიც გავიდა გარეთ. ეტლში ჩაჯდა. ეტლმა გაჩირაღდნებულ თეატრს აუარა. ეტყობოდა, წარმოდგენა უკვე კარგა ხნის დაწყებული იყო. თეატრის წინ უბილეთოდ დარჩენილი ბავშვები წრიალებდნენ.

ქუჩაში ჟრიამული იდგა.

ეტლი კლუბთან გაჩერდა.

ლაქიამ იცნო თუ არა აკაკი, მაშინვე ცალი ხელით ქუდი მოუხადა, ცალით კარი ფართოდ გაუღო.

აკაკი ღიმილით მიესალმა.

შესვლისთანავე გარს ნაცნობები შემოეხვივნენ.

კლუბში ჩვეულებრივზე მეტი ხალხი იყო დღეს.

— თეატრში მიგელოდნენ, ბატონო აკაკი! — უთხრა ვიღაცამ.

— დავიგვიანე. სხვა დროს ვნახავ, — თქვა აკაკიმ და პირდაპირ ქაღალდის სათამაშო ოთახს მიაშურა.

დიდ, მრგვალ მაგიდას უსხდნენ ქუთაითური ვაჭრები, რამდენიმე ინტელიგენტი, ოფიცერი და ორი-სამი ჩოხიანი თავადი.

აკაკის შესვლისთანავე ყველანი ფეხზე წამოდგნენ.

ერთმა ვაჭარმა აკაკის თავისი ადგილი დაუთმო.

აკაკი თამაშში ჩაერია, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახლაც წააგო.

ქაღალდის თამაშის შემდეგ აკაკის დიდი ვახშამი გაუმართეს.

დანიელა ურია ბულბულივით მღეროდა „სულიკოს“ და „ციცინათელას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

შექვიფიანებული აკაკი სასტუმროში — გვიან დაბრუნდა.

გვიან ადგა.

ახლად წამომდგარს იასონმა კარებზე დაუკაკუნა.

— კლუბში ყოფილხარ, აკაკი, გავიგე, კარგად გიქეიფია, მაგრამ კარგა ბლომადაც წაგიგია, — შესვლისთანავე უთხრა იასონმა.

— რომ მომეგო, ის იქნებოდა გასაკვირი, თორემ წაგება შუბლზე მაწერია, ჩემო იასონ!

ცოტა ხნის შემდეგ აკაკიმ ჩემოდანი მოიძია, მაგრამ რომ ვერ ნახა, შეშფოთებულმა მოსამსახურეს დაუძახა, ჩემი ჩემოდანი ვინ წაიღოო, ჰკითხა.

როცა მოსამსახურემ ვერაფერი უპასუხა, დიასახლისს გამოუძახა, მაგრამ დიასახლისი სასტუმროში არ აღმოჩნდა.

— ნამდვილად იმ გარეწარმა მოიპარა ჩემოდანი, — უცბად იყვირა აკაკიმ. — უთუოდ მან მომპარა და ჭიათურაში გაიქცა. რაღა ვქნა, შიგ ისეთი განძი მქონდა, ათას მანეთად არ შეველეოდი, — ცხარობდა აკაკი.

— ვინ იყო აკაკი? — ჰკითხა შეწუხებულმა იასონმა.

აკაკიმ დაასახელა ქურდის გვარი.

— შეურცხვა იმას თავი! — თქვა იასონმა და სასწრაფოდ გატრიალდა, რომ ეს ამბავი შავი ქვის მრეწველობის საბჭოსათვის ეცნობებინა.

სულ მალე აკაკის ეწვია შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ორი წარმომადგენელი და თავისი წევრის უღირსი ქცევის გამო ბოდიში მოიხადეს. თანაც თხოვეს, ოღონდ ამ ამბავს ნუ გაახმიანებ და იმ ათას მანეთს ჩვენი საბჭო აგინაზღაურებთო.

მართლაც, ერთმა მათგანმა ამოიღო ფული და აკაკის წინ მაგიდაზე დაიწყო თვლა.

უეცრად კარი შემოაღო ჭელიძემ.

— ბატონო აკაკი, ვინაიდან ჩემს სასტუმროში ცხოვრება არ ისურვეთ, ეს ჩემოდანი უკანვე მოგიტანეთ. ვიფიქრე, შეიძლება დაჭირდეს-თქო, — მოკრძალებით მოახსენა მან და ჩემოდანი მაგიდაზე დადო.

აკაკი კარგა ხანს გაოცებული შესცქეროდა ჭელიძეს, მერე ერთბაშად მოაგონდა ყველაფერი.

— სად ქუდი მრჩება, სად ჩემოდანი. დალახვროს ეშმაკმა ჩემი მეხსიერება!.. როგორ ტყუილად დამიწამებია ცილი იმ კაცისათვის, — სინანულით თქვა აკაკიმ, შემდეგ საბჭოს წარმომადგენლებს მიუბრუნდა, — ის საერთოდ არაა პატიოსანი კაცი, სხვისი ქონების მითვისებას ჩვეულია, მაგრამ ამჟამად არაფერ შუაში ყოფილა და ამიტომ ბოდიში, თქვენ კი არა, მე უნდა მოვიხადო.

— გაუგებრობა ყოველთვის შეიძლება მოხდეს. საბოდიშო არც თქვენ გაქვთ რამე, — სიცილით ჩაილაპარაკა ერთმა მათგანმა, რომელიც ფულს უთვლიდა აკაკის, მაგრამ ახლა ისევ ჯიბეში იწყობდა.

— შე ფეხებმოსამტვრევო, ცოტა ხანს მაინც დაგეცადა, რას მოარბენინებდი მაგ ჩემოდანს! — ხუმრობით შეუძახა აკაკიმ გაკვირვებულ ჭელიძეს და ჩემოდანი გახსნა, თან დაუმატა:

— ეს ათასი კი არა, ათი ათასი მანეთი ღირს!

აკაკიმ ჩემოდნიდან ახლად დამთავრებული „ბაში-აჩუკის“ ხელნაწერი ამოიღო.

1940

ღვთიური ჯოჯოხეთი

ეხედავ თუ არა ამ სურათს, უმალვე გაიფიქრებ: დიდი მგოსანი ხმამაღლა ლაპარაკობს არა მარტო იმას, რაც ჩუმად ყველამ იცის, მაგრამ კრინტს ვერავინ ძრავს, არამედ იმასაც, რისი თქმა ჯერ კიდევ აზრადაც არავის მოსვლია. მერე ამჩნევენ, რომ თვალებში მზიანი გულის შუქი ანთია, ხოლო ბაგეებზე ტანჯვა-ნაღველის დამაამებელი ქნარის საამო ჰანგები ირხევიან....

მარტო სურათის მიხედვით ძნელია ამ ბიბლიური სახის იდუმალებათა გამოცნობა, მაგრამ სიბრძნის წყურვილით ანთებული სიჭაბუკის მიმზიდველობა, ჟამთა სვლის სიმკაცრეს რომ ანელებს, თვითონვე მიგვიძღვის ახალ-ახალ სათნოებათა სიღრმისაკენ.

და აი, მგოსნის სახეს თანდათანობით შეეყავხარ შემოქმედებითი საოცრების განუმეორებელ სამყაროში.

ამ სამყაროში ხალასი გრძნობებისა და ფხიზელი ჭკუა-გონების მრავალმხრივი ღირებულებებია, სილამაზის კანონების მიხედვით რომ აწყობილან და ზნეობრივ ნორმებად დალაგებულან.

ცნობილია, რომ ბუნებაში მშვენიერია ის, რაც ხელოვნებას ჰგავს, ხოლო ხელოვნება ესთეტიკურ კმაყოფილებას უფრო მეტად ბუნების მოგვარებით გვანიჭებს. ალბათ, ამით უნდა აიხსნას, რომ აკაკის სახეში მარადიული ბუნების სილამაზე, იმავდროულად, ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ოსტატობითაა გამოვლენილი და ღვთაებრიობამდე მგრძნობიარეა.

შეეხება თუ არა თვალის უჩინარი კვესი მგოსნის სახეს, ამ უკანასკნელის ჰარმონიულად აწყობილი ნაკვთები მყისვე აფეთქდებიან და თავიანთი სილამაზის ნაპერწკლებს გამოასხივებენ.

შემოქმედის წარმომსახველობითი შესაძლებლობა ხომ ჰადრაკის თამაშის კომბინაციებივით ამოუწურავია და ზემორე ნაპერწკლებიც მგოსნის შთაგონების ფანტასტიკურ ენაზე ამეტყველების სიმბოლოებად გვესახება. ამითაც უნდა აიხსნას, რომ ესთეტიკური სიამოვნება, ტკბობა და კმაყოფილება, რასაც აკაკის ტექსტი ... გვაცდევინებს, ისევე განუმეორებელია, როგორც თვითონ აკაკი.

აკაკის სახეში სუფევს მიუწვდომელი სიმართლე... ესთეტიკური ფენომენიც ხომ არ არის პარადოქსისაგან თავისუფალი და სწორედ ეს მიუწვდომელი სიმართლის მშვენიერება, მგოსნის შემოქმედებიდან სურათში ისეა გადმოტანილი, რომ ადამიანს თავის ღირსებას შეაგრძნობინებს.

აკაკის სახეს რომ აკვირდები, ბუნებრივია, მისი შემოქმედებისაკენ მიგიწევს გული და ფიქრობ, მგოსნის შთაგონების დინამიკური „მე“ მისი ერთი რომელიმე ნაწარმოებით ხომ ვერ ამოიწურება? მაგრამ რომელ მათგანში ფეთქავს ყველაზე მეტად ესთეტიკური იდეალის საზეიმო მომავალი? იქნებ „ბაში-აჩუკში!“... ბუნებისა და სულის ამ მხატვრული წიაღიდან თუ შევხედავთ აკაკის სახეს, მასში ამოვიკითხავთ, რას ნიშნავს სიცოცხლის მგოსნის ცხოვრების იდეალურ მსაჯულობამდე ამაღლების საოცრება. ხელოვნების ამ ამაღლებული სილამაზის ესთეტიკური აქტი რომ მართებულად შეაფასო, უნდა წარმოიდგინო „ბაში-აჩუკით“ აღფრთოვანებული გოეთე, მოკრძალებული პატივისცემით ქუდს რომ იხდის აკაკის წინაშე...

შეიძლება იკითხონ, რატომ მაინცდამაინც გოეთე? ცნობილია, რომ „ჰიდრაში“ გოეთე შენატრის საიმპერიო ტახტების მსხვრევას და უცხო მოძალადის დამამხობელი ვაჟკაცობის ქედუხრელობას. ის ანკარა წყარო, რომელმაც „ბაში-აჩუკის“ ლაღი სიჭაბუკე წარმოშვა ერთი ერის ფარგლებში როდი თავსდება. გოეთეს რომ ის შედევრი წაეკითხა, ასე მგონია, იგი მას თავისი მოაზროვნე მუზის დიდებულ მოულოდნელად მიიჩნევდა.

დოვენტი კილაძე

ბაბრიელ ეპისკოპოსი იმ მამულიშვილთა რიცხვს ეკუთვნის, რომლის ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ერთმანეთისგან განუყოფელია, ერთი მეორის გაგრძელებაა და ორივე ერთად აღებული განუწყვეტელი ფიქრია საქართველოს აწმყოსა და მომავალზე.

გაბრიელის ცხოვრების წესი მისსავე ქადაგებებიდან გამომდინარეობდა. ეპისკოპოს გაბრიელის ქადაგებათა ორივე ტომი ძველი და ახალი აღთქმის დამრიგებლობითს მოტივებსა და მამხილებელ იგავებზეა აგებული, მაგრამ მათში საერთო თვალსაზრისით ისეთი მებრძოლი სული ტრიალებს, რომ დღეს სულ სხვაგვარად უნდა იქნეს წაკითხული და შეფასებული.

გაბრიელის ყველა ქადაგების მიღმა კონკრეტულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე და ამ გარემოებათა გათვალისწინებით გაცილებით უფრო საინტერესოა მისი ქადაგებების განხილვა.

გაბრიელ ეპისკოპოსი წარმატებით აგრძელებდა ჩვენში გავრცელებულ დამოძღვრა-დარიგების ტრადიციულ წეს-ჩვეულებას, რაც უმთავრესად სრულდებოდა ქრისტიანულ სამლოცველოში, რომელიც ადამიანის ზნეობრივი აღზრდის კერას წარმოადგენდა. გაბრიელის ქადაგებანი საეკლესიო მრევლისა და ფართო საზოგადოების ზნეობრივ აღზრდას ემსახურებოდა და თავის დროზე გარკვეულ დადებით ნაყოფსაც იძლეოდა. ეს, რა თქმა უნდა, რელიგიური რწმენის ნიადაგზე იყო აღმოცენებული.

გაბრიელი, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი იყო თავისი ერისა. ილიას აზრით, გაბრიელი იმისთვის იყო მოვლენილი ამ ცოდვილს ქვეყანაზე, „რომ ადამიანმა მისის ხედვით და მაგალითით შეიძლოს საკუთარის ზნისა და ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცება“. არადა ეს ხდებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მოძალებული რუსიფიკაციის პირობებში. გაბრიელის მთავარი მიზანი იყო ქართული ეროვნული ინტერესებისა და ინდივიდუალობის დაცვა. გადაავლო თუ არა თვალი იმერეთის ეპარქიას, გაბრიელს სავალალო სანახაობა გადაეშალა: სიღატაკე, უვიცობა, გაუტანლობა, ზნეობრივი დაკნინება. ამ უბედურებათა მიზეზად ეპისკოპოსს ხალხის გაუნათლებლობა და ზნეობრივ ღირებულებათა სიმწირე მიაჩნდა.

პეტერბურგის სასულიერო აკადემიის მაგისტრს, ფილოსოფოსსა და ღვთისმეტყველს გაბრიელ ეპისკოპოსს თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის სახალხო განათლების საქმეში და ამიტომ ხშირად უხდებოდა შებრძოლება „ორთავიან იანუსთან“ ანუ მზრუნველ იანოვსკისთან, რომლის ხელში სკოლა ის იარაღი იყო, რომელიც რუსულ „ცივილიზაციას“ შეიტანდა ქართველ ხალხში.

აღმავალი გზით მიმავალმა ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ იმ მიჯნამდე მიიყვანა ქართული საზოგადოება, რომ ქართველმა თვითვე შეიძულა ყოველივე, რასაც კი ქართული ერქვა. ქართული მოწინავე საზოგადოება წინ აღუდგა გარუსების პოლიტიკას. დიმიტრი ყიფიანი იანოვსკის აგრესიული პოლიტიკის შესახებ წერდა: „ჩინგისხანებმა, ლანგთემურებმა, შაჰ-აბაზმა, ნადირშამ ვერ შემუსრეს ჩვენი ხალხოსნობა და ახლა თქვენ გინდათ შემუსროთ?!“

„ველიკო რუსეთის“ ერთი „შესანიშნავი წარჩინებული“ მინისტრი შესაშური ერთგულებითა და დიპლომატიური ენერგიულობით ახასიათებს დიდებული რუსეთის დიდებულ ცივილიზაციას: „შეიძლება ითქვას, — აღნიშნავს თავის მოგონებებში ს. ვიტტე, — რუსის ხალხი, რომ ის ქრისტიანი და მართლმადიდებელი არ იყოს, ნამდვილი მხეცი იქნებოდა. ერთადერთი, რაც მას მხეცისაგან ანსხვავებს — ეს რელიგიის საფუძვლებია, რომელიც გადაცემული აქვს მას მექანიკურად ან ჩანერგილია მასში სისხლით, რომ ეს არ იყოს, რუსის ხალხი თავისი უმეცრებითა და ელემენტარული განყოფილების უქონლობით ნამდვილი ველური იქნებოდა“.

ამგვარ მდგომარეობაში დაყოვნება დანაშაულს უდრიდა. გაბრიელ ეპისკოპოსმა სწავლა-განათლებაზე ზრუნვა უმთავრეს მოვალეობად მიიჩნია. გაბრიელის მზრუნველობის შედეგად მრავალი სამრევლო სკოლა გაიხსნა იმერეთის ეპარქიაში. იმდროინდელ სწავლა-აღზრდის უღიმღამო სისტემაზე საინტერესო ცნობას გვაწვდის გაზეთი „ივერია“:

„გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობის დასაწყისში სასულიერო სასწავლებლები ბნელით იყო მოცული. სწავლა-განათლების ლამპარი იქ არც კი ბჟუტავდა, არც მასწავლებელი ჰგავდა მასწავლებელს, არც მოწაფე მოწაფეს... გაბრიელმა დავითივით დაამარცხა იმ წყვდიადის მუშაკი გოლიათი და მისი გარდაცვალების დროს ადრინდელთან შედარებით ცათამდე ამაღლებულს, კეთილგანწყობილს, გაფართოებულსა და გაკეთებულს ვხედავთ“.

გაბრიელის ამგვარმა საქციელმა შეაშფოთა ბიუროკრატიული აპარატი. იანოვსკი-ლევიტსკიმ მთელი იერიშები გაბრიელის წინააღმდეგ მიიტანეს და დაჟინებით მოითხოვდნენ მისი, როგორც „ტუზემეცის“, ეპისკოპოსობიდან გადაყენებას. გაბრაზებული იანოვსკი განათლების მინისტრისადმი წარდგენილ მოხსენებაში წერდა: „იმერეთის სამღვდელოება ხელს უშლის სასწავლებელთა დირექციას მისი სკოლების განმტკიცებაში“.

სწორედ ასეთ ვითარებაში უხდებოდა გაბრიელს ერის დარაზმვა რეალური საშიშროების წინააღმდეგ, რაც დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მისი აღსრულება მოითხოვდა ქართველი ხალხის ერთ მთლიან ეროვნულ სხეულად გაერთიანებას, საეკლესიო და საერო მოღვაწეთა თავდადებას.

გაბრიელისთვის სიკეთე ზნეობის იდეენტური მცნებაა, კაცთმოყვარეობა კი — სიკეთისა. ამ თვალსაზრისით გაბრიელი რჩეულია; „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“ (ლუკა, 14, 24). ცხოვრების ასეთი გზის არჩევა მისი ზნეობიდან გამომდინარეობდა. გაბრიელის პრაქტიკული მოღვაწეობა მიმართული იყო იქითკენ, რომ საშიშროება არ დამუქრებოდა ეროვნულ სულს, მომძლავრებულ უკეთურებას არ დაეშალა ის დიდი სიკეთე, რასაც თავის თავში მოიცავდა ზოგადად ადამიანობა. გაბრიელს მტკიცედ ჰქონდა შეგნებული ჭეშმარიტება, „და ნუ გეშინინ, მათგან, რომელთა მოსწყვიდნენ ხორცნი თქუენნი, ხოლო სულსა ვერ ხელ-ეწიფების მოკვლად, არამედ გეშინოდენ მისა უფროის, რომელი შეძლებული არის სულსა და ხორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა“ (მათე. 10, 28).

1888 წლის შემოდგომაზე ალექსანდრე III ჩამოვიდა საქართველოში. ... თბილისს მოვიდა, მოიარა კახეთი და ბოლოს ქუთაისს ეწვია. აქ სადგურიდან ... დაპირ სობოროში გაემართა, სადაც გაბრიელს პარაკლისი უნდა გადაეხადნა.

ეტლი სობოროს კიბესთან გაჩერდა. ხელმწიფემ ამალის თანხლებით აიარა კიბე, შევიდა სობოროში, გაემართა ამბიონისაკენ, როდესაც ეპისკოპოსის ხმა მოესმა:

— შედექ, რუსის ხელმწიფევ...

ხელმწიფე შეყოყმანდაო, ამბობდნენ დამსწრენი. უნდოდა სვლა განეგრძო, მაგრამ უნებლიეთ შედგა კარიბჭეში, სადაც ეპისკოპოსის შემოძახებამ მოასწრო, და ცხადის უკმაყოფილებით მოისმინა ეპისკოპოსის სიტყვა... ეს ქვეყანა უძვირფასესი მარგალიტია შენს გვირგვინში... სხვა ზრუნვის ღირსია, სხვა მოპყრობას მოითხოვსო...

ეროვნული უკმაყოფილება და ჩივილი იმდენად ნათლად იყო გამოთქმული ეპისკოპოსის სიტყვაში, რომ იმთავითვე გუნებაგაფუჭებული იმპერატორი სულ მოიღრუბლა. ის ღრუბელი ვერც იმ საღამოს თავადაზნაურობის მიერ გამართულმა ნადიმმა გადაუყარა სახიდან“ (ი. ზურაბიშვილი, კარგ ქართველთა ხსოვნისათვის, 1962, გვ. 70).

გაბრიელი თავის ქადაგებებით დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებდა. ეპისკოპოსის ქადაგებანი ბევრად არის განპირობებული მისი სულიერი ძალმოსილებით, ხასიათით, მიდრეკილებებით, ცხოვრების ნირით. გაბრიელის პირად ცხოვრებასა და პრაქტიკულ მოღვაწეობას შორის მჭიდრო კავშირია „მსგავსი ყოველი მსგავსსა შობს“. ჩვენ რომ არც მოგვეპოვებოდეს საკმაოდ სრული ცნობები გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრების, მისი პიროვნული ღირსებების, ადამიანური ბუნების შესახებ, ყოველივე ამის დადგენა, მისივე ქადაგებებიდანაც შეიძლება.

ქადაგებანში გამოკვეთილია გაბრიელ ქიქოძის პოლიტიკურ-სოციალური, ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური შეხედულებანი, როგორც თავისი ეპოქის დაკვირვებულ შვილს, გარკვეული პოზიცია გააჩნდა იმ სოციალურ სინამდვილეზე, რომელსაც ბატონყმობა ერქვა და, მისივე სიტყვებით ასე ზღუდავდა და აფერხებდა ცხოვრების წინსვლას.

ერთხელ გაბრიელი ქუთაისის მთავარანგელოზის ტაძარში ქადაგებდა ბატონყმობის წინააღმდეგ, სადაც მქადაგებელი ამტკიცებდა, რომ ბატონყმობა არის უსამართლობა, წინააღმდეგი ქრისტეს მცნებისა:

„თავადაზნაურობამ ეს იწყინა. დაიწყეს დრტვინვა ეკლესიაშივე, ნელ-ნელა გამოვიდნენ კარში, დარჩნენ მხოლოდ მარშლები და რამდენიმე გლეხი, რომელიც მუხლმოდრეკილნი ისმენდნენ მქადაგებლის მოძღვრებას. ვინც დაესწრო ამ ამბავს, იმას არ დაავიწყდება არასოდეს დიდებული სახე მღვდელმთავრისა. პირველმავე ხმამ დრტვინვისა და ჩივილისამ იმოქმედა მქადაგებელზედ. ეს წუთი დიდებული და ამასთანავე საშიში წუთი იყო: უხასიათობას, გაუბედაობას შეეძლო სამუდამოდ დაემცირებინა ის ღვთიური მოვალეობა, რომელიც კისრად აწევს ქრისტეს ბრძანების მქადაგებელს, დაემცირებინა თვით მქადაგებელი სამწყსოს წინაშე. წაერთმია მისთვის სახელი ნიჭიერის მქადაგებლისა, რომელიც ჰქონდა დამსახურებული: ეს იყო წამი, როდესაც უმეცრება, უგუნურე-

„ეკეკალ ეკეკალჟან თვილი ტეკვირთი იტეკვირთო“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა პირისპირ შეება, შეეჯახა გონიერებას, უსამართლობა — სამართალს, ბნელი — სინათლეს. ყველამ, ვისაც კი ესმოდა ამისთანა დიდი მნიშვნელობა ამ წამისა, განაბა სული... გათავდა ქადაგებაც და წირვაც! გალავანი ქუჩიდან ეკლესიის კარებამდე ისე იყო გაჭედილი თავადაზნაურობით, რომ ნემსიც არ ჩავარდებოდა. ხმამაღალი დრტვინვა, მუქარა მღვდელმთავრის მიმართ ისმოდა გარედან თვით ეკლესიაში, რომლის გამოსავალ კარებთან, ადუზიელ აზნაურ კ. კანდელაკს ქარქაშიდან ამოწვდილ ხმალზედ ხელი დაედო. ისმოდა მოკვლის მუქარა. მღვდელმთავარმა წყნარად, დამშვიდებით გაიხადა სამოსელი და წამოვიდა კარებისაკენ. ეკლესიის შუაგულ ადგილას დაუხვდა დეკანოზი და მოახსენა. ნუ გაბრძანდებით, თავადაზნაურობა აღელვებულიაო. „ნუ სწუხარ, დეკანოზო“, ბრძანა მღვდელმთავარმა და თამამად გამოსწია კარებისაკენ. აი, წამი, რომლის კალმით აღწერა და ენით გამოთქმა შეუძლებელია, რომელიც შეიძლება მხოლოდ იგრძნოს კაცმა... მღვდელმთავარმა უშიშრად გამოადგა კარებში ფეხი, გადაიხედა მარჯვნივ, საცა კ. კანდელაკი ხმალზედ ხელდადებული იდგა. მღვდელმთავარმა წყნარად გასწია ქუჩისაკენ, სადაც უცდიდა ეტლი, მაგრამ შიგ არ ჩაბრძანდა და ფეხით წავიდა. გათავდა ყოველივე სასიქადულოდ მქადაგებლობა, სასარგებლოდ საქმისა და საბედნიეროდ ყოველთა. კ. კანდელაკი და სხვანი მეთაურნი გაშტერდნენ, ერთმანეთს შესცქეროდნენ და რაღაც გამოურკვეველ ბურანში იყვნენ: „მძლია მღვდელმთავარმა! ეს ოხერი ხელი ხმლის ვადაზედ შემაცივდაო, სთქვა ათრთოლებულ ხმით კ. კანდელაკმა!“ („კვალი“, 1983, № 42).

გაბრიელს ადამიანთა სულიერ სამყაროში წვდომის უნარიც შესწევდა. ის იყო ადამიანთა ფსიქიკის საუკეთესო მცოდნე, რომელსაც შეეძლო, ესა თუ ის მოვლენა ფსიქოლოგიურად გადაეაზრებინა და დიდაქტიკური შეგონებებით აემაღლებინა ზნეობრიობა. პოლიტიკური შეგნება, კაცთმოყვარეობა და სხვა კეთილშობილური გრძნობები. გაბრიელი ბრძენკაცია, საგანთა და მოვლენათა ღრმად მწვდომი.

ერთხელ რაჭაში ქადაგებისას გაბრიელს შეუმჩნევია მრევლში მტირალი დედა-შვილი. ქადაგების დამთავრებისთანავე ეპისკოპოსი მათთან მისულა და, როცა შეუტყვია, ეკლესიის ამშენებელ კომიტეტს მათი მარჩენალი ხარი შეწერილ გადასახადში წაურთმევია, ძალიან გაბრაზებულა, მტირალი დედა-შვილი დაუმშვიდებია, ხოლო კომიტეტისთვის წერილი გაუგზავნია: ცოდვით აშენებულ ეკლესიას მე აღარ ვაკურთხებ და ნუღარ მელითო.

გაბრიელ ეპისკოპოსი არსებითად ილია ჭავჭავაძის პოზიციაზე იდგა. მას ისევე, როგორც ილიას თაობას, პოლიტიკური სეპარატიზმი არასდროს უქადაგებია, არც ძველი ფეოდალური საქართველოს აღდგენის იდეა უდიდებია. იგი მონარქიასთან შედარებით რესპუბლიკურ წყობილებას აძლევდა უპირატესობას.

გაბრიელ ქიქოძე აღუშფოთებია „რენეგატი ქართველის თეორიულ ბოდვას“ — საქართველოს რუსეთთან ასიმილაციის თეორიას და უპასუხა:

„კურთხეულ არს დიდი და მოწყალე ღმერთი, რომელმა არ დაანება ჩვენი ტომი შთანთქმად თათრებთ და ყიზილბაშთა, წყეულთა და შეჩვენებულთა... ქართველის და სომხების ენანი, თუმცა მცირე ხალხის ენანი არიან, მაგრამ არა ღარიბნი. იმ ენებს აქვს მწიგნობრობა, ლიტერატურა, საღმრთო წერილი და მრავალნი წმინდა მამათა ნაწერები და ნათარგმნი. ამ ორ ენაზე ყოველი მეცნიერება და აზრი გამოითქმის, მათ აქვსთ ორი ათასი წლის მეტი ისტორია, ისინი იყვნენ ოდესმე თვით მდგომარენი სახელმწიფონი. ამისათვის მათი განკარგება ძნელად საფიქრებელია. შეუძლებელია და წარმოუდგენელია“ (სულ-მნათი გაბრიელის საუნჯე, ქუთაისი, 1897, გვ. 83).

ქუთაისში, გაბრიელ ეპისკოპოსი, ბაგრატის ტაძრის მეზობლად, არქიელის გორაზე ცხოვრობდა. ძნელად წარმოსადგენია უფრო თავისებური ბუნების ადამიანი, როგორც გაბრიელ ეპისკოპოსი იყო:

„სათნოება და მადლი მას არ აკლდა, ოღონდ მისის სახის ღრმა და რთული გამომეტყველება, რომელშიაც სიყვარული და სიკეთე სიმკაცრის რაღაც მსგავსს ეუღლებოდა და ყველა ამას მწუხარე, სევდიანი იერი ახლდა, რჩეულთა შორისაც განარჩევდა. გაბრიელის ხასიათის სიმარტივე მის ტანსაცმელშიაც სჩანდა. იგი არ დაგიდევდათ ფარჩეულობას, მისი შესამოსი იყო უბრალო შავი კაბა — ანაფორა, თავზე შინ უბრალო ხუცის გახუნებული შლაპა და შავი სკუფია. მოსულ უცხო მნახველს ხშირად სირცხვილიც დამართია, შეცდომაში შესულა, ეზოში ხშირად შეუმჩნევია მოსიარულე ბერი, ... მიუჩნევია მღვდელმთავრის შინაური კაცად და უთხოვია, ბატონთან შეგვეგზავნე, მოახსენე ჩემი მოსვლა და ნახვის სურვილი. — გაბრიელი სერიოზული სახით მოისმენდა თხოვნას, შევიდოდა ბინაში, გადაიცვამდა ანაფორას, გამოვიდოდა და ჰკითხავდა, რა გნებავთ, მითხარითო. მოტყუებული სტუმარი, ან მთხოვნელი ოფლში იწურებოდა და შიშით მიდიოდა ხელზე სამთხვევლად“ (იქვე, გვ. 136).

დრო გადიოდა... წლებს თავისი მიჰქონდა. მიჰქონდა ენერგია და ძალა. აღსასრულის მოახლოებას შინაგანად გრძნობდა. ანდერძიც კი დაწერა, სადაც ყველას ემუდარებოდა, მიეტევებინათ შეცოდებანი:

„კაცი ვარ და ყოველი კაცობრივი არა შორს არის ჩემგანო“. ყველას შესთხოვდა „აღევლინათ ლოცვა მიცვალებულის ცოდვილი სულისთვის“. საქველმოქმედო საზოგადოებებს პირად მემკვიდრეობას უტოვებდა, საქართველოს კიდევ ერთხელ ლოცავდა და სამარადჟამო დიდებას უსურვებდა.

1896 წლის 25 იანვარს დიდი ტაძრის სამგლოვიარო ზარებმა ქუთაისის მცხოვრებთ სასიქადულო მოძღვრის გარდაცვალება აუწყა. ივანე ზურაბიშვილი წიგნში „კარგ ქართველთა ხსოვნისათვის“ წერდა: „ჩვენ არ წარმოვადგენდით თავისუფალ საქართველოს, რომ მთავრობას ეროვნული გასვენება დაედგინა, მაგრამ უდეკრეტოდაც გაბრიელ ეპისკოპოზის გასვენება ნამდვილი ეროვნული გამოდგა და დეკრეტით დადგენილზე ბევრად უფრო დიდებული, მშვენიერი და გულწრფელი, რადგან ერმა თავისის თავისუფალის ნებით, სრულის შეგნებით, სიყვარულით და წრფელის გულით მოიხადა თავისი უკანასკნელი ვალი დიდებულ მამულიშვილობის წინაშე“.

ნათია გეგიაშვილი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო...

ქამშობლოსა და ხალხის სამსახურზე უფრო კეთილშობილური საქმე არ არსებობს! თითოეულმა ადამიანმა პირადი ბედნიერება უნდა ანაცვალოს ამ დიდ იდეალს! სამშობლოსათვის თავდადება, ფიქრი მის ბედსა და უბედობაზე პატარა მოქალაქის წმიდათაწმიდა მოვალეობაა! — ასწავლიდა „ჯეჯილი“ ნორჩ ქართველ მკითხველს.

იმხანად ჟურნალისა და კერძოდ, საბავშვო ჟურნალის გამოცემის ნებართვის მიღება არც ისე იოლი იყო. ანასტასია თუმანიშვილს დიდი ბრძოლითა და მტკიცე ხასიათის წყალობით მიუღწევია მიზნისათვის. ამ მნიშვნელოვან თაოსნობაში მას მხარს უჭერდნენ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და გახუყრელი მეგობრები ეკატერინე გაბაშვილი, კეკე შესხი, სოფიო ციციშვილი და სხვები.

მწერალმა ქალმა 1890 წლის 3 აგვისტოს მიიღო ჟურნალ „ჯეჯილის“ გამოცემის უფლება. ცნობას ჟურნალის დაარსების შესახებ ქართველი საზოგადოებრიობა აღფრთოვანებით შეხვდა.

ილიას „ივერიამ“ 1890 წლის 31 დეკემბერს ქართველ საზოგადოებრიობას აუწყა საბავშვო ჟურნალის დაბადება: „სასიამოვნო ამბავი უნდა ვახარო ჩვენს მკითხველს: დღეს დაურიგდა ხელმომწერთ პირველი ნომერი ახალი საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილისა“, რომელიც ამის შემდეგ ყოველ ორ თვეში გამოვა, ანასტასია თუმანიშვილის რედაქტორობით. მეტად კარგი რამ არის ეს პირველი წიგნი თვალსაჩინოებისათვის, არც გული და ჭკუაა დავიწყებული. ერთისა და მეორისათვის სამკალია საკმაოდ შიგ. ყდა წიგნისა, სურათები, ქაღალდი, ნაბეჭდები, შინაარსი — ყოველივე თითქოს ერთმანეთს ეჯიბრება, ერთმანეთს არას უთმობს. სიკეთითა და სილამაზით... „ჯეჯილის“ რედაქციას კარგი საჩუქარი დაუმზადებია ჩვენი მოზარდი თაობებისათვის... დიდი სიამოვნებით გადავიკითხე თითქმის მთელი წიგნი ამ ახალი დაბადებულისა და ნორჩი ჟურნალისა. და უნდა ვთქვა, რომ გულით და სულით ვისიამოვნეთ, დავტკბით, დავტკბებით და უფრო ტკბილად დავბერდებით. ეიდრე მამა-პაპის ნაანდერძევი „აბრამიანი“ და „გოზინაყი“ დაგვაბერებდა“.

ჟურნალის პირველი ხელისმომწერი ოლღა ჭავჭავაძე ყოფილა. მას იმთავითვე აღუთქვამს რედაქციისათვის, ილიას რაიმეს დავაწერინებო. მართლაც, „ჯეჯილის“ პირველი ნომრისთვის ო. ჭავჭავაძეს მოუტანია ლექსი „ბაზალეთის ტბა“.

ჟურნალს ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა ი. დავითაშვილის სტრიქონები:

„იზარდე, მწვანე ჯეჯილო,

„დაპურდი, გახდი ყანაო“.

„ჯეჯილი“ ამ სახელწოდებით ი. გოგებაშვილს მოუნათლავს: „ბავშვებს ის ახარებს, რაც დიდებსაც არ აწყენთ“, — უთქვამს დიდ პედაგოგს. ჟურნალს თავიდანვე მოუხვეჭია პოპულარობა. იგი ორი განყოფილებისაგან შედგებოდა. პირველ განყოფილებაში იბეჭდებოდა ნაწარმოებები მცირეწლოვანთათვის, მეორეში — მოზრდილთათვის. ჟურნალში იბეჭდებოდა წერილები მეცნიერების სხვადასხვა საკითხებზე, გამოჩენილ ადამიანთა შესახებ, თარგმანები უცხო და კლასიკური ლიტერატურიდან, ფართოდ შუქდებოდა ქართული ფოლკლორი, „ჯეჯილის“ სარედაქციო კოლეგია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართული ენის სიწმინდის დაცვას.

ჟურნალ „ჯეჯილის“ დაარსების ერთ წლის თავზე აკაკი წერეთელი წერდა: „ჯეჯილი“ შედარებით სხვებთან ნიჭიერად გამოდის, მაგრამ მკითხველი მაინც ცოტა ჰყავს და ამის მიზეზიც ადვილი მისახვედრია: ჩვენში ყოველივეს ჯერ კიდევ მებუკე და მეგანგაშე ეჭირვება, თავის თავად ავ-კარგის გარჩევას ვეღარ ახერხებს დღევანდელი ქართველობა“.

„ჯეჯილის“ ყოველ გამოსვლას მოუთმენლად ელოდა ქართველი საზოგადოება. ჟურნალმა დააახლოვა მწერლები ბავშვებთან.

აი, როგორ იგონებს ამ შესანიშნავ ურთიერთობას და სიყვარულს იაკობ გოგებაშვილი: „ჩვენი გამოჩენილი პოეტები თანაუგრძნობდნენ ამ ჟურნალს. აქ წაიკითხავდით აკაკის, ვაჟასა და ბევრ სხვათა ლექსებსაც. ჩვენი შიო მღვიმელი ნამდვილი შიოს მარანი იყო: უხვი, პურადი, გულადი. არ გამოსულა ნომერი „ჯეჯილისა“ შიოს თავისი ძღვენი, ნობათი არ მიერთმია პატარა მკითხველებისათვის...“

„ჯეჯილის“ ოცი წლისთავზე ივლიტა ნაკაშიძემ ასე შეაჯამა ჟურნალის რედაქტორის მოღვაწეობა: „იქნებ დედამიწის ზურგზე არ მოიპოვებოდეს მეორე იმისთანა ადგილი, სადაც წინმსვლელობის, პროგრესის გზა ისე იყოს სავსე ნარითა და ეკლით, როგორც ახლანდელ საქართველოში. ამ გზის გაკაფვა შეუძლია იკისროს ხალხის მხოლოდ იმისთანა რჩეულმა შვილმა, რომელსაც თავისი თავი დავიწყებული აქვს და სულდგმულობს ქვეყნის სიკეთით. საუბედუროდ, უკეღმართი აღზრდის გამო გუნდი ამისთანა მადლით მოსილი მოღვაწეებისა საქართველოში მეტად მცირეა და იმ მცირე გუნდში თქვენ ღირსეულად და სამართლიანად გიჭირავთ ფრიად საპატიო ადგილი.

თქვენი ღვაწლი ხალხის განათლების ასპარეზზე დაუფასებელია. „ჯეჯილის“ დაარსებით თქვენ შეჰქმენით ახალი ხანა ქართველთა განათლებაში, შეჰქმენით საკუთარი მხნეობით, დაუღალავი ენერგიით. მთელი ოცი წლის განმავლობაში თქვენ აჩუქეთ საყმაწვილო ლიტერატურას მრავალი წიგნი, სავსე მრავალფეროვანი შინაარსითა.

თქვენმა „ჯეჯილმა“ გააღვიძა და გამოიყვანა ამ მეტად საპატიო ასპარეზზე არა ერთი ქართველის ნიჭი, რომელიც უამისოდ უქმად და უნაყოფოდ დაჭკნებოდა. ამითაც არ დაკმაყოფილდით, თქვენ შეჰქმენით მეორე კერაც სწავლა-განათლებისა. დაარსეთ ახალი საზოგადოება „განათლება“, რომელმაც გახსნა ფრიად სასარგებლო სასწავლებელი ღარიბ ქართველთათვის...

თქვენ მიეცით და აძლევთ ქართველ ქალებს ბრწყინვალე მაგალითს თავმდაბლობისა, გარჯისა, დაუშეჯნარი მხნეობისა, ქვეყნის სიკეთის იშვიათი ერთგულებისა.

ამ მაგალითით უნდა მოიხიბლოს მრავალი ქართველი ქალი და გახდეს თქვენი მიმდევარი.

ქება და დიდება თქვენს მრავალმხრივ მოღვაწეობას, ლოცვა და კურთხევა მადლიერის მშობლების, მასწავლებლებისა და მათი ნორჩი მოწაფეებისაგან“.

მადლიერების ამ სიტყვებს ნორჩ მკითხველთა ამჟამინდელი თაობაც უერთდება.

თამარ გოგაართელი

ყვავილები. ფოტოეტიუდი იური რიდალოვისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახლ-მუზეუმის ინტერიერი



150

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახლ-მუზეუმის აივანი

ქოხი სოფელ სავანეში

სახლ-მუზეუმის ეზო

აკაკის სახლი სხვიტორში

ცოხე „ბოდნარეს"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკა და ნინო ულოცავენ ერთმანეთს ბავშვთა დაცვის დღეს

ანი

1 ივნისი ბავშვთა დაცვის

საერთაშორისო დღეა!

ნატო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სტუმარი

ონის საზოგადოება აკაკი წერეთელს რიონის ხიდთან უცდიდა.

ონი ხეობაშია ამოშენებული. მუხნარ-წაბლნარ-ფიჭვნარ ტყეებში სოკოებივით ამოსული სოფლები, ჩაქარგული ვენახები და ამოქარგული ბაღები, ვერცხლის ქამარივით თუ ცისარტყელასავით არტყია გარშემო ონს.

დიდი მგოსანი ქუთისიდან მოეშურებოდა რაჭას.

ლონიერი ცხენები ბრაგაბრუგით შემოიჭრნენ რიონის ხიდზე და მსუბუქი ეტლი ლაღად შემოაგორეს მუხის მორებისაგან შეკრულ იატაკზე. ეტლში საქართველოს ბულბული იჯდა. ერის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ფიქრით დატვირთული გონი და სული ზეიმობდა რაჭის ხილვას.

რიონის ხიდთან დააბრძანეს აკაკი ხავერდოვან სავარძელში და მაღლა ატოტინებული მიიყვანეს დათა გოცირიძის ოჯახში.

დათა გოცირიძის სახლი ონის განაპირას იდგა, ტყესთან ახლოს, ორსართულიანი, ქვიტკირით ნაშენი. სახურავს თუთიის არშია ჰქონდა ირგვლივ, შუაგული კრამიტისა იყო, გარედან ცისფრად შეღებილი, ფართე, გადახურული აივნით შემოვლებული, შიგნით კედლები და იატაკი, ზეთის საღებავით ნაირფრად მოხატული.

სადარბაზო ოთახის მაღალ კუთხეებში ანგელოსების ქანდაკებები. ზემო სართულში ექვსი ოთახი. პირველ სართულზე თაღებიანი მაღალი მარანი, უზარმაზარი, დიდი, საშუალო და პატარა ჭურებით.

სუფრა აივანზე გაიშალა. რაჭულმა ღვინომ და ქართულმა ხასიათმა ქეიფი და ლხინი გაამძაფრა.

გულიანად, მჭიდროდ ნაკეთები, ფოჩებიანი ქობათით შემოვლებული, წითელ-ხავერდოვანი სავარძლები პრიალებდნენ.

რაჭული შაშხისა და ლორის, ხაჭაპურების, ლობიანებისა და ფხალიანების ოზიანარი ბუბუნებდა. რიონის, ჭანჭახის, ღარულასი და ჯეჯორის სიპი ლოდების ქვეშ ხელაობითა და ანკესით დაჭერილი კალმახი ცალცალკე მოეხარშათ მარილწყალში. მინავლულ ნაღვერდალზე შედგმულ თიხის კეცებზე შეებრაწათ კალმახი და ერბოდაცხებული ნიყვის სოკო. თხილის შამფურებზე წამოგებული სამწვადეები შინდისფრად ელავდნენ.

სჯა-ბაასი, ბრძნული აზრები, ენამზიანობა, ენამოსწრებულობა ქვედრულასავით მოედინებოდა სუფრაზე და მასპინძელი და სტუმრები აკაკისთან ერთად გამოუცნობ, იდუმალ სიამოვნებას განიცდიდნენ. დიდი მგოსანი ისუნთქავდა რაჭას და რაჭა ეწაფებოდა „სულიკოსა“ და „ციცინათელას“ მელოდიებს.

გათენებამდე ივსებოდა და იცლებოდა მოვერცხლილი ყანწები და ვერცხლის თასები. გამთენიისას აკაკის დიდ ოთახში შეუძღვა დათა გოცირიძე.

კუთხეებიდან ანგელოსები იყურებოდნენ. დიდი პოეტი შევიდა დარბაზში, მივიდა კედელთან და ფანქრით მიაწერა:

სტუმართა მოყვარეობა,
რაჭველთა განთქმულია,
მაგრამ სტუმარის გულშიაც
მათი სიყვარულია.

ეს ერთი სტროფი ლექსი დათა გოცირიძემ — ბაბუაჩემმა, შუშის ჩარჩოში მოათავსა და ის კედელზე, ძვირფას სამახსოვრო ნივთთა შორის, დღესაც ელვარებს.

მეორე დღეს ოჯახის წევრებთან ერთად დიდ პოეტს სურათი გადაუღია. აკაკი შუაშია. მუხლებზე პატარა გიგა უზის. იქაა მამაჩემი, მამიდები, ბებია და ბაბუა.

მეორე ღამეც ბაბუაჩემის ჭერქვეშ გაუთენებია მგოსანს. მეორე დილითაც, ღაა აივანზე შილიფად გამოსულს, სიამით გადაუვლია თვალი გარემოსათვის. სადღაც, შორს, სხივებში ელვარებდა ბუბა. იქვე ახლოს მოჩქრიალებდა რიონი.

ზაფხულში რიონი რუხი ფერისაა, ფოლადისფერი. შემოდგომასა და ზამთარში ლურჯი, კამკამა-ცისთვალოვანი.

ტალღებით ნალოკ ლოდების ქვეშ კალმახი ბუდობს. შელოპრილ კანზე დამჩნეული წითელი წინწკლები ბზინავს და ანათებს წყალში. დაღმა და აღმაც მიცურავს კალმახი, რიონის სათავეებამდეც კი. და დევის ხახასავით დაღებულ კლდის ნაპრალში, საიდანაც დედამიწის კურცხალი სცვივა, ტანს ავლებს და ქვირითსა ჰყრის..

აივანზე გადმომდგარი აკაკი ბაბუაჩემის წინაპართა ვინაობით დაინტერესებულა.

რვა შვილი ჰყავდა ბაბუაჩემის მამას რამაზ გოცირიძეს, ხუთი ქალი და სამი ვაჟი. ვაჟებს ქუთაისის გიმნაზიაში ასწავლიდა, ქალები თავის დროზე დააბინავა და პატრონს ჩააბარა.

რამაზ გოცირიძის სამი ვაჟიშვილიდან სოფელში არც ერთი არ დარჩენილა. წინაპართაგან დაგვითა დ წვალებით შექმნილი მეურნეობა დაკნინდა. ფუძის მოშლამ ცხოვრების წესიც მოშალაო თითქოს და კაცის ზნეობა და ხასიათი გაამრუდა.

აკაკის სტუმრობის დროს ბაბუაჩემი ონის ნოტარიუსი იყო. სამი ვაჟი და ორი ქალიშვილი ჰყავდა. სამი სახლი ააშენა ონში. ფიქრობდა, აქვე დავასახლებ გვარის გამგრძელებელ ვაჟკაცებსო. მაგრამ არ გაუმართლა. ხუთივე შვილი თბილისში წავიდა. ასე რომ, რაჭველების გადასახლებას სოფლიდან ქალაქში იმდროიდან დაედო სათავე და მომავალში უფრო გაიშალა.

გულმა უგრძნო თუ რაა, არ ვიცი, იმ დილას მგოსანს რომ მოულოდნელად უკითხავს დათასათვის, მთის რაჭა რა დღეშიაო? —აქეთ უცხო ტომს არ აჭაჭანებენ და მამისონის იქით კი თვითონვე გადადიანო, — უპასუხნია, თურმე ბაბუაჩემს.

აკაკი ღრმად ჩაფიქრებულა და მანამდე გუნებაგახსნილ მგოსანს უეცრად მოუწყენია.

იქნებ დღევანდელი დღე თვალნათლივ დაინახა დიდმა მგოსანმა?..

რევაზ გოცირიძე

აკაკი და რუსულენოვანი პრესა

ალექსანდრე ბუაჩიძე

ბამოჩნენილი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე დიდად აფასებდა აკაკი წერეთლის მრავალმხრივ ნიჭიერებას და არაერთხელ სთავაზობდა მას რუსულ პერიოდულ პრესაში თანამშრომლობას. ამ მოღვაწეობის დაწყებისთანავე პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო თვალსაწიერი და რუსული მხატვრული სიტყვის ოსტატური ფლობა აკაკის გასული საუკუნის 70-80-იანი წლების რუსული პრესის თვალსაჩინო მოღვაწეთა შორის აყენებს.

აკაკი წერეთლის ზუსტმა და სახეობრივმა წერილებმა ხელი შეუწყო მებრძოლი დემოკრატიული პუბლიცისტიკის გენიოარებას კავკასიაში.

1873 წელს, თბილისში ქართველი, სომეხი და რუსი საზოგადო მოღვაწეების ჯგუფმა ნიკოლეი ჩაუყარა პირველ რუსულ არაოფიციალურ გაზეთს „ტიფლისკი ვედომოსტი“. თავისი არსებობის პირველ პერიოდში ეს გაზეთი, ქართულ „დროებასთან“ ერთად, 60-იანი წლების რუსული და ქართული საზოგადოებრივი პრესის დემოკრატიული ტრადიციების გზით მიდიოდა.

აკაკის წერილები რუსულ ენაზე პირველად სწორედ გაზეთ „ტიფლისკი ვედომოსტი“ გამოქვეყნდა. ამ დროიდან მოყოლებული აკაკი წერეთელი საქართველოს ფარგლებს გარეთაც ფართო პოპულარობას იძენს. მის მიერ ეროვნული ენით დაწერილ, მახვილგონიერულ წერილებს მოსკოვში, პეტერბურგში, ბაქოსა და უზარმაზარი იმპერიის სხვა ქალაქებში თვალყურს დევნებდნენ.

ეგრეთწოდებული „უდროობის ეპოქაში“ (70-80-იანი წლები) 60-იანი წლების ოდენის დასაცავად თანმიმდევრულ ბრძოლაში საქართველოში რუსული პრესის მოწინავე მოღვაწეებმა რუსული, ებრაული, პოლონური და სხვა ეროვნებათა დემოკრატიული საზოგადოების ფართო წრეების ყურადღება მიიპყრეს. „ტიფლისკი ვედომოსტიში“ გამოქვეყნებული, დიდი ოსტატობითა და გაბედულებით შექმნილი წერილები, სულ უფრო ზშირად მოსკოვისა და პეტერბურგის წამყვან სამეცნიერო ორგანოებში ქვეყნდება.

თბილისის ახალმა რუსულენოვანმა ჟურნალმა გამოსულისთანავე აქკარად მიაღწია მიზანს: რეაქციის აღნევების წლების მთავრობის წრეებთან ახლო მდგომი პერიოდიკული გამომცემლობები იძულებულნი გახდნენ, კავკასიის ხალხების ცხოვრების გაშუქების ტენდენციური, უზზმი პოზიციებსან უკან დაეხიან. მაგრამ დროდადრო გაჩაღდებოდა ხოლმე საგაზეთო ბრძოლა, რომელიც 1876-1877 წლებში უმძაფრეს პოლემიკაში გადაიზარდა. ამ პოლემიკის შედეგად „ტიფლისკი ვედომოსტის“ რედაქტორმა კუროს შეეცალა. ამის შედეგად მოწინავე ძალებმა გაზეთი მიატოვეს.

70-იანი წლების დამლევს, რუსეთ-თურქეთის ომის წინ და შემდეგაც, სულ უფრო და უფრო მზარდი სახალხო მოძრაობისა და რევოლუციური აღმავლობის პერიოდში ქართველი მოღვაწეთა ნაწილი (ნ. ნიკოლაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, დ. ერისთავი და სხვ.) რუსულ პრესაში სამუშაოდ გადაერთო. ეს ჯგუფი 1875 წლიდან იბრძოდა დაქირავებული პუბლიცისტების გაძლიერებული შემოტეხვის წინააღმდეგ. ეგრეთწოდებული „დიდი რეფორმების“ პერიოდში მთავრობა ყოველგვარ მოთმინებას კარგავდა, ხედავდა რა შედაპლოტიკური კრიზისის გამწვავებას, რომელიც ახალი მმართველების წარუმატებელი ექსპერიმენტებით იყო გამოწვეული. ყანონები სიტყვის თავისუფლების (1875 წლის რეფორმა პრესის შესახებ), სასამართლოს (1877 წ.) და სამოქალაქო მმართველობის შესახებ თავდაღნე მკდრადშობილი აღმოჩნდა. რეფორმატორულმა წამოწყებებმა კიდეკ უფრო გააცხოველა მრავალეროვნული იმპერიის მასების ინტერესი პოლიტიკური ცხოვრებისადმი. მონარქია მთელი ძალებით ცდილობდა ხალხის გაზრდილი ეროვნული თვითშეგნების შეზღუდვას.

70-იანი წლების დასასრული და 80-იანი წლების დასაწყისი ერთობლივ ბრძოლაში ახალი ძალების გამოსვლით აღინიშნა. ამ დროს ჩნდებიან პრესის ახალი ორგანოები (მათ შორის რუსულენოვანნი), რომლებიც სულ უფრო ხშამლად და თამამად უცხადებენ სოლიდარობას დაჯარობილი ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლას. არც რეაქცია აპირებდა პოზიციის დათმობას: 1876 წელს, ე. ი. მაშინ, როდესაც მხოლოდ ერთი წელი იყო გასული „პრესის თავისუფლების შესახებ“ რეფორმის შემოღებიდან, მთავრობა რეპრესიებს აძლიერებს. ამ საქმეში მმართველი წრეები დაჯარავებულ „მეცნიერებსა“ და „პუბლიცისტებს“ იყენებენ, რომლებიც ეგრეთ წოდებული „პროვინციული პრესის“ წინააღმდეგ გამოდიან, რათა მეთხეველის თვალში შიკ რეპუტაცია შელახონ. ამგვარმა წერილებმა მოწინავე საზოგადოება აღაშფოთა. მაგრამ გამოწვეული მიღებულ იქნა: პოლემიკაში ქართველმა პუბლიცისტებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს. მასში ჩაება ნიკო ნიკოლაძე, რომელიც რუსული პრესის საერთო აღიარებით სარგებლობდა.

ნიკო ნიკოლაძის ბრწყინვალე წერილების გამოჩენამ ალაფრთოვანა აკაკი წერეთელი და 1877 წლიდან იგი პოლემიკაში ჩაება.

დიდი ქართველი პოეტი მრისხანედ ამხელს რეაქციულ პრესის ორგანოებს (წერილები „სუვორინი ი ემე პოდობნეი“, „პეტერბურგსკეი ზამეტი“, „სუვოროვი ი სუვორინ“ და სხვ.). აკაკის კარგად ეცოდოდა, რომ რუს რეაქციონერთა ბხლეებს ღირებულება და შედეგი ისევ რუსულენოვანი პუბლიკაციებით ექნებოდა.

აკაკის წერილების გაბედული ტონი და დახასიათებათა სიზუსტე რუსული საზოგადოებრიობის ყურადღებას იქცევს. ცნობილი კატკოვის გაზეთი „მოსკოვსკეე ვედომოსტი“, რომელიც ამ დროისათვის, შეიძლება ითქვას, პოლიტიკური დაბეზღების ბაზა დაადგა, პირდაპირ მოუწოდებდა რეაქციულ ძალებს პერიფერიულ პრესაში მიმაღული, მოუხელთებელი ფელეტონისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ეზოპეს ენის ოსტატური ფლობის წყალობით ქართველმა მოღვაწეებმა „ოტეჩესტვენნე ზაპისკის“ პუბლიცისტებთან ერთად ორმაგ ცეზზურასთან და III განყოფილებასთან ურთულეს და უთანასწორო ბრძოლაში მხოლოდ ორი წელი გაძლეს.

„1878 წელს აკაკი წერეთელი ახალ გაზეთში ნ. ნიკოლაძის მიერ დაარსებულ „ობზორში“ გადადის. ამ გაზეთში, როგორც არალეგალური საზღვარგარეთელი რევოლუციური პრესის, სულ ლეგალური პრესის აღიარება ჰპოვა. მასში აქტიურად თანამშრომლობენენ არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ რუსი და საზღვარგარეთელი მოღვაწენიც (პოეტი-რევოლუციონერი სიმბირსკი, ცნობილი რუსი დრამატურგი და ბელეტრისტი პალმი, ისტორიკოსი მიხეილ ტერენტიევი, მწერალი ხალხოსანი გლებ უსპენსკი, ცნობილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე ანრი როშფორი, რუსი სამხედრო ისტორიკოსი რუტენკოვი, ფრანგი ჟურნალისტი ლეიფულ მეარე, პოლონელი ჟურნალისტი დარი ბანიკეი და სხვები).

აკაკი წერეთელი გაზეთ „ობზორში“ მისთვის ჩვეული პათოსით ალსავსე წერილებით გამოვიდა. ამ წერილებმა მყისვე საზოგადოების ფართო წრეების ყურადღება მიიპყრო.

ნიკო ნიკოლაძისა და აკაკი წერეთლის დიდი ავტორიტეტის წყალობით, თბილისს გაზეთების გავრცელება-გამოწერა რიგორც იმპერიის ცენტრში, ისევე მის ფარგლებს გარეთაც იწყება. მაგალითად, ცნობილი ვერშინინი მწერალი და ჟურნალისტი ირტერ ლაისტი, ჟურნალისტი გაცესკი და სხვანი არაერთგზის მიმართავდნენ ქართველ მოღვაწეებს თხოვნით, რომ მათთვის თბილისის რუსულენოვანი გაზეთების ერიწლიანი კომპლექტები გამოეგზავნათ.

პოლონური ჟურნალები და გაზეთები, აგრეთვე „პეტერბურგსკეე ვედომოსტი“ თბილისური გაზეთებიდან ამონაწერებსა და საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ მიმოხილვითი ხასიათის წერილებს ბეჭდავდნენ.

1875-77 წლებში რეაქციული და ლიბერალური პრესის ორგანოებთან გაჩაღებული პოლემიკა თანდათან გადადის ისეთ საკითხებზე, რომლებიც მოქალაქეობრივი თავისუფლების საერთო სფეროს ეხება, როგორიცაა, მაგალითად, პრესის თავისუფლება, დამოკიდებულება მმართველობის მოძველებული სამოქალაქო კანონების მიმართ და სხვ.

აკაკი წერეთლის პუბლიცისტიკაც, შესაბამისად, მრავალფეროვან ხასიათს იძენს. მისი წერილები სასამართლო და სამოქალაქო მმართველობის რეფორმებს და სხვა საკითხებს ეხება. განსაკუთრებულ ყურადღებას აკაკის „პეტერბურგსკეე ზამეტკის“ სერიაში შემავალი სტატიები იმსახურებენ.

აკაკი წერეთლის პიროვნებით სხვადასხვა ეროვნების ინტელიგენციის სულკეთილი წარმომადგენლები დაინტერესდნენ. აკაკის ნაწარმოებები ფრანგულად მერიე, ვერმანულად არტურ ლაისტმა, უკრაინულად ცნობილმა პოეტმა და რევოლუციონერმა პაველ გრაბოვსკიმ თარგმნეს.

უნდა ითქვას, რომ ნიკო ნიკოლაძეს და აკაკის თავისი მრწამსისთვის ბევრი უსიამოვნებანი გადატანა მოუწდათ. ნიკო ნიკოლაძესთან მიმოწერაში აკაკი ერთგან ამის გამო გულისტკივილსაც გამოთქვამს.

პროგრესული, მებრძოლი თბილისური პრესის არსებობა დიდხანს არ გაგრძელებულა. „ობზორი“ დახურეს, ხოლო რედაქტორ-გამომცემელი ნიკო ნიკოლაძე სამშობლოს ფარგლებს გარეთ გადაასახლეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ნიკო ნიკოლაძე ჟურნალ „ოტეჩესტვენნე ზაპისკის“ კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილების გამგედ მიიწვიეს, ხოლო აკაკი წერეთელი ახალ ადგილობრივ გამომცემლობებში, ჟურნალებში „ფალანგა“, ხოლო შემდეგ „გუსლიში“ გადავიდა (ეს ჟურნალები 1880-82 წლებში გამოდიოდნენ).

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა აკაკის თანამშრომლობა ამ დუნე და უპრინციპო ჟურნალებთან, რომლებიც (რაც სავრთოდ 80-იანი წლების ლიბერალური პრესისთვის დამახასიათებელია) ბოლოს რენეგატობის გზას დაადგნენ.

მალე მთელ რუსეთს მოედო ცნობა პოპულარული, პროგრესული ჟურნალის „ოტეჩესტვენნე ზაპისკის“ დახურვის შესახებ. ამ ჟურნალის ლიკვიდაცია მასში ნიკო ნიკოლაძის გამგედ სტატიების დაბეჭდვასთან დაკავშირებით მოხდა. ამის შემდეგ ნ. ნიკოლაძე საქართველოში ბრუნდება და ახალ რუსულენოვან გაზეთ „ნოვოე ობზორენიეს“ ჯიდეს ხელს.

ნიკო ნიკოლაძის ირგვლივ კვლავ შემოიკრიბა რუსულ პრესაში მოღვაწე მოწინავე ქართველ შემოქმედთა ჯგუფი. გაზეთში აკაკი წერეთლის წერილები, ფელეტონები, შემდეგ კი მხატვრული ნაწარმოებებიც იბეჭდება. ამ დროისთვის აკაკის პოეტური და პუბლიცისტური ტალანტი სრულ მოწიფულობას აღწევს.

თავისებურია აკაკის ინტერესთა დიაპაზონი ამ ახალ ასპარეზზე. გადაეჭარბებულად შეიძლება ითქვას, რომ თავის ნაწარმოებებში გამოჩენილმა მოაზროვნემ, შეეხო რა მოახლოებული ეპოქის ჯერ კიდევ ბოლომდე გაურკვეველ ტენდენციებს, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მეტკვნეული პრობლემების გამოქმეობა შეძლო.

აკაკის შესანიშნავ წერილებში რუსულ ენაზე მთელი სიცხადით გამოვლინდა მისი მრავალმხრივი ნიჭიერება და ფართო ერუდიციაც, რომლებიც რუსულენოვანი აუდიტორიის გაფაროთობასა და ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ ინტერესებს უკავშირდებოდა.

იმ დროის, როდესაც თითქმის ყოველი ალსაკერი ნაწარმოების გამოცემა სასტიკად მოწმდებოდა, როდესაც III განყოფილება და ცენზურა ყველაზე უწყინარ აზრებს აკრძალვის ბეჭედს ასვამდნენ, მეშჩაბური უნიჰო ცხოვრების აღწერილებანი, მხატვრულობის პრეტენზია რომ ჰქონდათ, მახვილგონიერული პაროდიაფელეტონების ერთ-ერთი საყვარელი თემა ვახდა.

მხატვრული პროზის ბრწყინვალე ოსტატმა აკაკი წერეთელმა ამ ჟანრშიაც უბადლო ოსტატობა გამოავლინა. 1880-92 წლებში მან მთელი რიგი მცირე მოთხრობები, ესკიზები და ფელეტონები დაბეჭდა. მათი რიცხვიდან შეიძლება მოვიხსენიოთ „ისპოვედ მოურავი“, „პროსვეტილიოს“, „პო ყელუზნი დოროგა“, „ოტრიგკი (იზ კუტაისი)“ და სხვ.

რუსულ პრესაში მოღვაწეობა, ახალ ნახევარდაუბლიკისტურ ლიტერატურაში გადასვლა აკაკის სეროიზული მხატვრული ჩანაფიქრებისაკენ უბიძგებს. ამ პერიოდში იგი ქმნის მშვენიერ ნოველას „ნეფტალი ხანი“. ესაა ხანგრძლივი შესვენების შემდეგ აკაკის პირველი სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოები რუსულ ენაზე. ეს პატარა მოთხრობა ორგვარ მიზნსს ისახავდა: ერთი მხრივ, იმ დროისათვის მოდადქცეული ნოველების პაროდირება და აგრეთვე ქრაგმეული ფორმით ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლთა მხილება.

ნოველა „ნეფტალი ხანმა“ დასახულ მიზნებს დადაამრბა. ავტორმა მას „აღმოსავლეთის თქმულება“ უწოდა. ასეთი სათაური განპირობებულია ცნობილი ტრადიციით, ჯერ კიდევ კრილოვიდან, პუშკინიდან და რუსული ლიტერატურის სხვა წარმომადგენლებიდან რომ მოდის, რომლებიც აღმოსავლეთის ტირანების სახით საკუთარ „სულთნებსა“ და „ხანებს“ ამხეოდნენ.

აკაკიმ გამოიყენა რა ეს ხერხი, სხვა ამოცანაც დასახა: ეჩვენებინა ევროპულ პროზაში ახალი ცივილიზაციისადმი დამოკიდებულების გამოხატვის არსი.

ევროპასა და რუსეთში ფართოდ აღიარებული, ფრანგული ნოველის ოსტატებს, ე. წ. „ეკზოტიკური კულტურის“ საკითხი აღელვებდათ.

თავის ნოველაში აკაკი ერთი მხრიდან პაროდიას ქმნის ევროპულ ნოველაში შემოსულ ახალ მოდაზე (პროსპერ მერიმე „კარმენი“, „მატეო ფალკონე“, „ტამანგო“), სადაც „ველური ეკზოტიკის“ ქვეყნებში განსწავლული ხალხების ცივილიზებული მისიის უარყოფითი მხარეების შერბილების ტენდენცია გამოჩნდა. ამ საკითხმა განსაკუთრებულად მწვავე ხასიათი რეაქციის პერიოდში მიიღო.

აკაკი წერეთლის ნოველის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ როგორიცაა განმანათლებლის მისიის დროშით ძალაცეს მორალური საფუძველი, ისეთივეა მისი გამხრწნელი მოქმედება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აკაკის ეს მხატვრული ქმნილება უკმილი რეზონირობას და ფუქ დეკლარირებას მთლიანად მოკლებულია.

ნეფტალი ხანისა და ჯადოსანი ქალის სახეში ავტორი შარავანდს ხდის უკიდურესი სულიერი თვისებების ქმნილ გმირებს, რომლებიც ახალ ყაიდაზე რესტავრირებული სპეკულაციური რომანტიზმის ნოველებისთვის იყო დამახასიათებელი. დიდი ოსტატობით გაშლილი კოლიზიები ძლიერ ხასიათებს, მართალ სახეებს საჭიროებდნენ. ამ მიზნით აკაკიმ ისარგებლა ცნობილი თბილისური ლეგენდის ისტორიული მასალით: ჯადოსანი ქალის ბედზე (იგივე შასალა თავის დროზე გამოიყენა დანიელ ჯონქაძემ „სურამის ციხეში“) ჯადოსანი ქალის სახე აკაკის ნაწარმოებში, მის წინამორბედთაგან განსხვავებით, უფრო აქტიურ იდეურ-პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება.

აკაკი წერეთელმა გვიჩვენა იმის შთამბეჭდავი მაგალითი, თუ როგორ და რა გზით შეიძლება რუსულენოვანი პრესის ეროვნული ინტერესების დაცვისა და ცარიზმის თვითმპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საპუბლიკა, საპუბლიკა, ჩემო ლაჟვაჭრ“...

ღვრება რადიოდან მელოდიური ჰანგები და გულს სითბოთი ავსებს. განსაკუთრებულია ეს სიმღერა. ჩემთვის ის არა მარტო სიმღერაა, არამედ...

●

ომისწინა წლებში ყველა სკოლა საზეიმო დემონსტრაციისათვის ემზადებოდა. რამდენიმე დღით ადრე იწყებოდა ფეხშეწყობილი რეპეტიცია.

„მუშტაიდის“ ბაღის გვერდით მდებარე სკოლა საკუთარი სასულე ორკესტრის აკომპანიმენტით მიემართებოდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ხოლო უორკესტრო სკოლები ფიზკულტურის მასწავლებელთა „ერთი, ორი, სამის“ ძახილზე სჰიმავდნენ ფეხს.

ერთ მშვენიერ დღეს შეკრების მოლოდინში მყოფი ბავშვები წრედ შემოერტყნენ სკოლის მუსიკოსებს. ორი მეათეკლასელი ერთმანეთს ეჯიბრებოდა საყვირებზე მელოდიის შესრულებაში.

პირველის „დაისის“ უვერტურას მეორემ „ქეთო და კოტეს“ „წავიდეთ ჩქარა, წავიდეთ ჩქარათი“ უპასუხა. „აიდას“ საზეიმო მარში ბიზეს „ყარაულთა ცვლის“ მელოდიამ შესცვალა „კარმენიდან“.

მასწავლებელთა მცირერიცხოვანი ჯგუფიც იქვე შორიახლოს იდგა და ხმადაბლა საუბრით გართული ცალი ყურით უსმენდა ახალგაზრდებს.

მაგრამ აი გაისმა ახალი, ბავშვებისათვის უცნობი, მაგრამ უცნაურად მშობლიური მელოდიის ფორტე და წამოჭარხლებული სასწავლო ნაწილის გამგე დამკვრელთან მიიჭრა:

— რას აპრუტუნებ, შე გამოთაყვანებულო?! ვინ მოგცანება, ან ვინ გასწავლა ეგ მელოდია?!

— ქართული ფანტაზიაა, მასწ!..

— გაგაფანტაზიებ მე შენ, თუ მშობლები გაგიციმბირეს და ზედ შენი აღმზრდელი მასწავლებლებიც მიგვაყოლეს.

●

— დედა, დედა, რატომ არის აკრძალული ეს სიმღერა?

— აბა რა გითხრა, შვილო?!.

— შენგან რომ არ გამიგია ეს სიმღერა?

— სამაგიეროდ იმ ვიღაც ვიღაცეებმა მამაშენისგან გაიგეს „ქართველო ხელი ხმალს იკარო“ და მონანიება მოსთხოვეს. ის კი შეეპასუხა: მაშ „ვაჰ ტიკო-ტიკო, ჯან ტიკو-ტიკოს“ ხომ არ მოვასმენინებდი სტუმრებსო. იქნებ გაიხსენო, სამი წლის ბიჭი როგორ დამყავდი გორის ციხეში მამის სანახავად. კიდევ კარგი, რომ ლენინგრადის სამხედრო სასწავლებელში გამოუძახეს, როგორც კარგ სპორტსმენს და ორ თვეზე მეტი არ მოუხდა საკანში ყურყუტი, მაგრამ ამ ორი წლის წინათ მაინც გაუხსენეს ძველი „ცოდვები“ და პარტიიდან გარიცხეს.

პარტიიდან გარიცხული კი სამამულო ომის დაწყებისთანავე წავიდა მოქმედ არმიაში.

გაუჭირდა ქვეყანას, ხალხს, უფროსკლასელებიც კი ჩაებნენ შრომაში. ქარხანა-ფაბრიკებს იმდენი ხალხი მიესია, რომ ღამის ცვლაშიაც აღარ დარჩა თავისუფალი ადგილი.

ამხანაგებთან ერთად ჩვენი ნაცნობი ბიჭიც მოეწყო მოზარდ მაყურებელთა თეატრში სცენის მუშად. თეატრი მათი სახლის გვერდით იყო. მუშაობა ძირითადად საღამოობით

აკაკის აფორიზმები

ამმაღლებელი ხალხისა
თვით ამაღლდება ცათამდე.

●

ან მოჰკლავს, ან შეაკვდება,
სირცხვილს კი არ სჭამს გმირიო!

●

არ ჰყოფნა სჯობს მაშინ ყოფნას,
როცა მეფობს მრუდე ძალა!

●

არა, არ ჰშვენის გმირს აჩქარება.

●

მარტო ცრემლები ქვეყნისთვის
საშველად არა კმარაო!

მტერი არ შეგვიშინდება
ვაგლახითა და ვიშითა.

●

პატარა ნაპერწკალი სჯობს
დიდს, მაგრამ ცივსა ნახშირსა!
რკინას ცეცხლი აფოლადებს,
ადამიანს — განსაცდელი.

●

სიმართლე მუდამ თავისას გასჭრის.

●

ფუ! შერცხვეს კაცი სხვის მონა
და დღიურ ლუკმის მდევარი!

●

ქვეყნის ორგული რომ არ დაზოგოს,
ყოველ კაცსა აქვს ამის უფლება.

ვაი თარგმნისაგან

ბუზაინი (აკაკის) :— რა შეგეშალა, პოეტო?
ილია:—შენი პოეტების პირიდან ეარგ ბაბს კოლოსალი და ენა მოიტეხ.

უწევდათ. სწავლაში ხელი არ ეშლებოდა.

და აი, ერთხელ მოხდა ისე, რომ თეატრი ზღვისპირა ჰოსპიტლებისათვის კონცერტების ჩასატარებლად გაემგზავრა, თავისი სცენა კი დიმიტროვის ხელმძღვანელობით საგასტროლოდ ჩამოსულ საესტრადო ორკესტრს დაუთმო.

დიმიტროვი ჩამოსვლის პირველივე დღეს ესტუმრა თეატრს და ვინაიდან დირექციიდან არავინ დაუხვდა, ტექნიკურ პერსონალთან ერთად დათვალიერა სცენა და სხვათა შორის იკითხა:

— როგორ ფიქრობთ, ბიჭებო, რომელი ქართული პოპულარული მუსიკა შეიძლება შევიტანოთ რეპერტუარში?

ძალიან ცდილობდნენ მასპინძლები სტუმრის წინაშე თავისი მუსიკალური ცოდნა გაემჟღავნებინათ. მაგრამ გამომცდელი უაღრესად მომთხოვნი გამოდგა.

თეატრში ერთი მოხუცი მუშაობდა, გვარად ზარდალიშვილი, ცნობილი მსახიობის იუზა ზარდალიშვილის ახლო ნათესავი. ახალგაზრდების წვალების შემხედვარე მოხუცი უცბათ წელში გაიმართა, თვალები ახალგაზრდულად აუელვარდა და თანამშრომლებს შეუტია:

— აი თქვე დაბნეულებო, თქვენა. ესტრადაზე „ახ მეზურნე დაჰკა, დაჰკა, შენი ჭირიმეს“ რომელი სიმღერა აჯობებს კარგი ორკესტრის შესრულებითო.

დიმიტროვმა ყურადღებით მოისმინა სიმღერის ფრაგმენტები და იკითხა, თუ სად შეიძლებოდა ნოტების სასწრაფოდ შოვნა.

ამის მოგვარება ისევ ბიჭებმა იკისრეს. თოჯინების თეატრში მათ ნაცნობი ახალგაზრდა მუსიკოსი ჰყავდათ, რომელიც ცოტ-ცოტას კომპოზიტორობდა კიდეც, ხოლო მისი სიმღერა „გეკითხები, რად მიყვარხარ“ პოპულარობითაც სარგებლობდა.

დიმიტროვმა მეორე დღესვე მიიღო ხელით დაწერილი „ქართული რაფსოდიის“ ნოტები, სამ დღეში მოასწრო მისი რეპეტიცია და გამოსვლის მეოთხე დღეს ანშლაგური კონცერტებიც ჩაატარა.

და აი შუა გასტროლების დროს დიმიტროვი თეატრის დირექტორთან გამოიძახეს, სადაც მას ორი უცნობი ელოდებოდა.

იქედან დაბრუნებულმა ბიჭები გვერდით გაიყვანა და ჩუმად დატუქსა:

— არ ვიცი, რად დაგჭირდათ ჩემთვის ასეთი ოინის მოწყობა. კიდევ კარგი, დროზე ვიგრძენი რაღაც კრიმინალის სუნი და მახეში არ გავები, თორემ მანდატთან ერთად ან თავს დავკარგავდი, ან თქვენ დაგღუპავდით.

პირდაღებული ბიჭები ბოთეებივით შეჰყურებდნენ.

ის სიმღერა იმ საღამოს ამოიღეს პროგრამიდან. ის კი არადა, იმ ორიდან ერთ-ერთი კონცერტსაც კი დაესწრო. გამხდარი და ოდნავ ფერმკრთალი ახალგაზრდა მირთმეულ სკამზე დაჯდა კულისებში, შინელი გაიხადა. მკერდზე მედალსა და მძიმე დაჭრილობის ნიშანს მოვკარი თვალი.

ყველა ნომერი ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ გვაუწყა თუ არა პროგრამის წამყვანმა კონცერტის დამთავრება, დარბაზში ვიღაცამ ხმამაღლა შეიძახა:

— ქართული რაფსოდია!.. ქარ-თუ-ლი რაფ-სო-დია!..

— ქარ-თუ-ლი რაფ-სო-დია. აქუხდა დარბაზი.

დიმიტროვმა თავი დაუკრა მაყურებლებს, კულისებში გავიდა, ცხვირსახოცით ოფლი მოიწმინდა და ნაფრონტალს შეხედა.

— მეგობარო, — მიმართა მას მედალოსანმა, — წითელი ბილეთი მეც მიდევს გულისჯიბეში და როგორც კოლეგას, ისე გთხოვ, შეასრულო ხალხის ნებასურვილი. გპირგვლიანებ, მეც ძალიან მინდა, რათა ეგ რაფსოდია. მისი მოსმენა, ჩემი ქართველობის მიუხედავად, პირველად მომიხდება დღეს.

მერე კი დიმიტროვმა „ბისზე“ გაიმეორა „რაფსოდია“ ბრძოლის პირველსავე დღეებში მძიმედ დაჭრილი და ლაზარეთიდან სულ ახლახან დაბრუნებული კოლეგის პატივსაცემად.

●

დილის ექვს საათზე საქართველოს რადიო მსოფლიოს უგზავნის თავის საფირმო მელოდიის მონო-სიგნალს.

— „სამშობლო, სამშობლო, ჩემო ლამაზო!“ — ხალისიანად ვაყოლებთ ხმას რადიოკომპანემენტს. ის ჩვენთვის არა მარტო სიმღერაა, არამედ ჩვენი ცხოვრების თანამოზიარე, მშობლებისა და წინაპრების, კეთილი ადამიანების გამხსენებელი, სხვა სიმღერებში გამორჩეული და განუმეორებელი, სასტიკად დევნილი, გასამართლებული, დასჯილი, დაფერფლილი, მაგრამ მშობლიური ხალხის სითბოთი ისევ გაცოცხლებული...

გოდერძი ტალახაძე

ნაკვესები

●

ერთი ახალგაზრდა ქართველი კოხტაობით სათვალეს ატარებდა და ხანდახან შუბლზე იდებდა ხოლმე.

— ბატონო აკაკი, რა მიზეზია, რომ ის ყმანვილი შუბლზე იდებს ხოლმე სათვალეს და არა თვალზეო? — შეეკითხა ერთი.

— იმიტომ, რომ ჭკუით არის ბეცი და არა თვალებითაო, — მიუგო აკაკიმ.

●

აკაკი ერთ ოჯახში სადილზე იყო მიწვეული. თეთრ ღვინოს სვამდა. ვიღაცამ იკითხა, თეთრი ღვინო სჯობს, თუ ნითელი.

პოეტმა ნითელი ღვინო დაისხა და რომ არ მოეწონა, თქვა:

— სადილობამდის ეს ღვინოც თეთრი ყოფილა, მაგრამ სირცხვილით განითლებულაო.

●

ერთმა ახალგაზრდამ მიახარა აკაკის, საყმანვილო წიგნი მინდა გამოვცეო.

— საყმანვილო წიგნი განა ბავშვმა უნდა გამოსცესო? — დაეკითხა პოეტი.

●

ერთი კბილის ექიმი ცუდად იხსენებდა აკაკის. გადასცეს მგოსანს. მან ღიმილით დაიწყო:

— ნეტა, რა დამიშავებია იმ ყმანვილისთვის? ალბათ იმაზე მემდურის, რომ საღი კბილები მაქვსო!

●

ერთი ნაცნობი შეეკითხა აკაკის, როგორ მოვიქცე, რომ არც მნვადი დავწვა და არც შამფურიო?

— ეგ ქუთაისის ბანკს უნდა ჰკითხოთ, რომელიც ამდენი ხანია კიდეც მაძლევს ვითომ პენსიას და არც მაძლევსო.

●

ქუთაისში ერთსა და იმავე დროს მსახურობდნენ პრინცი, ბეგი და კნიაზევი. იმ ხანებში გუბერნატორმა ჰკითხა აკაკის: რა აზრისა ხარ ჩემს გუბერნიაზეო?

— დიდი არისტოკრატიული გუბერნიაა, — მიუგო აკაკიმ. — აქ სამსახურში ამწესებენ პრინცებს, ბეგებს, კნიაზებს და სანყალი ქართველებისათვის კი ადგილი აღარ რჩებაო.

●

ერთი ახალგაზრდა ქალი, რომელიც ძალიან მოსწონდა აკაკის, გათხოვდა და გაიტაცა სიმდიდრემ. ერთხელ მას აკაკი შეხვდა და თავი აარიდა. ქალმა მოაგონა თავი.

— უკაცრავად, თუ ველარ გიცანით,— უთხრა პოეტმა. — ადრე თავში გქონდათ ოქრო და ახლა გარეთ გამოგსვლიათო.

ქალს თმაში ოქროს სავარცხელი ეკეთა.

●

აკაკი დალაქთან შევიდა თმის გასაკრეჭად. დალაქი ერთ მელოტს თავს დასტრიალებდა. მელოტს დალაქმა ორი აბაზი გამოართვა. აკაკიმ ქუდი დაიხურა და გარეთ გამოსვლა დააპირა.

— სად მიბრძანდებით, ბატონო?

— თუ მელოტს ორი აბაზი გადაახდევინე, მე მაშინ მთელი საცხოვრებელი უნდა მოგცე ჩემი თმის გაკრეჭვაშიო.

ამოკრიბა **დავით ბუზუკაშვილმა.**

19316
სსრ კ. მარქსის სახ. ხახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ჯერჯერობით ქალბატონებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ სოლოუხინი

ბაშინმა მიამბო, როგორ მივიდა ფადეევთან, რომ პრიშვინისათვის სტალინური პრემია მიენიჭებინათ. სხვათა შორის, პრიშვინი ერთ-ერთი საუკეთესო რუსი მწერალია.

— ნუთუ მას სურს? — გაიცინა ფადეევმა.

— სურს. ყველანი ადამიანები ვართ...

მაშინ უკვე სერიოზულად უთხრა ფადეევმა იაშინს:

— შენ არაფერი გესმის ლიტერატურული პოლიტიკისა.

მაშ ასე, ლიტერატურული პოლიტიკა! სტალინური პრემიის მეშვეობით ლიტერატურა კი სახელმწიფოსათვის სასურველ კალაპოტშია მომწყვდეული! გრიბაჩევის პრემირებული საკოლმეურნეო პოემები რომ არ ყოფილიყო, შეიძლება ბაბაევსკის არ დაეწერა „ოქროს ვარსკვლავის კავალერი“. „ოქროს ვარსკვლავის კავალერის“ გარეშე, შეიძლება ე. მალცევს არ დაეწერა თავისი რომანი (ან პირიქით), ასევე იაშინსაც თავისი „ალენ ფომინსი“...

თუ სახელმწიფო „საუკეთესო“ ლიტერატურაზე ზრუნავდა, რატომ არ მისცეს პრემია პრიშვინს, პაუსტოვსკის, მარტინოვს, ზოშჩენკოს, ახმატოვას, პასტერნაკს... იმიტომ, რომ საუკეთესოთა წახალისება, სახელმწიფოს აზრით, უაზრობაა. რაც შეუძლიათ, იმაზე უკეთ მწერალი ხომ მაინც ვერ დაწერს. წაახალისო თუნდაც საშუალო, უფერული ნაწარმოები, მაგრამ შენთვის სასურველი, ამაში დიდი აზრი დევს. ამგვარად, ლიტერატურა ჩაჭედილია სახელმწიფოსათვის სასურველ კალაპოტში.

●

გერმანიაში გამგზავრების წინ (მე არ ვიცი გერმანული ენა) გადავწყვიტე რუსულ-გერმანული სასაუბროთი შევიარაღებულიყავი. ხომ უნდა არსებობდეს ასეთი სასაუბროები, ვფიქრობ ჩემთვის. გადაშლი საჭირო გვერდზე, იპოვი სასურველ ფრაზას. გვერდითაა იგივე ფრაზა გერმანულად. ძალიან მოსახერხებელია, არა? „როგორ მივიდეთ უახლოეს რესტორნამდე?“ „ტაქსის გაჩერებასთან?“ „უახლოეს ეკლესიამდე?“ „მე ბავარიულ ლუდს ვამჯობინებ“. „მადლობთ. თქვენ ძალიან თავაზიანი ხართ“... სასაუბროს შოვნა არ აღმოჩნდა ადვილი საქმე. ერთმა ჩემმა ნაცნობმა საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიბლიოთეკაში მიშოვა და გადმომცა მაშინ, როცა გზაზე ვადექი. და აი, კელნის ქუჩებში დიდი მონდომებით ვფურცლავ წიგნს: „რომელ პროფკავშირულ ორგანიზაციაში ირიცხებით თქვენ?“ „როგორ იბრძვით თქვენი უფლებებისათვის?“ „მონაწილეობთ თუ არა გაფიცვებში?“ „რომელ გადასახადებს იხდით“.

●

ლენინგრადელმა მწერალმა და ლიტერატურათმცოდნემ ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ორლოვმა მომითხრო, როგორ ჩაეწერა პირველად ლიტფონდის ექიმთან მიღებაზე. ექიმი დაწვრილებით ჩაეძია მომავალი პაციენტის ავადმყოფობის ისტორიას, უფრო სწორად, პირადი ბარათის ზედმიწევნითი სიზუსტით შევსებას. გვარი, სახელი, ასაკი, გადატანილი დაავადებები... და უცებ კითხულობს:

— როგორია თქვენი დამოკიდებულება ალკოჰოლთან?

— იცით რა, სადილის წინ მიყვარს ერთი-ორი სირჩის გადაკვრა. ბევრი, რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ერთი-ორი სირჩა მადისათვის. თვითონ საუზმე განგაწყობს ამისათვის... კომბოსტოს მწნილი, ქაშაყი...

— და ასე ხშირად?

— ხომ გეუბნებით, სადილის წინ ერთი-ორი სირჩა...

ერთხელ, ექიმთან მორიგი ვიზიტის დროს (შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ), მოხდა ისე, რომ ექიმი წუთით კაბინეტიდან გავიდა. ავადმყოფობის ისტორია კი მაგიდაზე იდო. ვლადიმერ ნიკოლოზის ძეს წასაძლია ცნობისმოყვარეობამ — რა ჩაწერა ექიმმა ავადმყოფობის ისტორიაში სადილის წინ ერთი-ორი სირჩის გადაკვრის თაობაზე. მან ქურდულად ჩაიხედა რვეულში და საჭირო გრაფაში დაინახა:

„საყოფაცხოვრებო ალკოჰოლიზმი“.

●

აი, თითქმის ოთხმოცი წელია ჩვენ გვასწავლიან, როგორ არ უნდა გვიყვარდეს საკუთარი ისტორია, კულტურა, ერი. თავიდან ეს შოვინიზმად ინათლებოდა. შემდეგ (რაკი რუსი ხალხი მცირერიცხოვანი გახდა, და სხვა მცირერიცხოვანი ერებიც უნდა გადაეჩვიონ საკუთარი ისტორიისა და კულტურის სიყვარულს) ის უკვე უბრალოდ ნაციონალიზმად მონათლეს. შოვინიზმად და ნაციონალიზმად დაყოფის გარეშე. საკუთარი ისტორიის, კულტურის, ერის, მიწის სიყვარული უპირისპირდებოდა ინტერნაციონალიზმს. როგორც კი ადამიანი ხმამაღლა განაცხადებს: „მე რუსი ვარ“, „მე უკრაინელი ვარ“, „მე სომეხი ვარ“ და ამით ვამაყობ, ის მაშინვე ნაციონალისტია, რომ განაცხადო, რუსი ვარო (ან ქართველი, ბელორუსი), ისიც კი არ შეიძლება. მითუმეტეს არ შეიძლება სიამაყე შენი ეროვნულობით. ეს უკვე სუფთა ნაციონალიზმია. არადა, ჩვენ ყველანი ვინა ვართ? არა ქართველები? არა რუსები? არა ბელორუსები? უბრალოდ — ინტერნაციონალისტები ვართ და მეტი არაფერი? ჩვენ უნდა გვიყვარდეს ეთიოპელები, კამპუჩიელები, კუბელები, რომელიც გნებავთ ხალხი, მხოლოდ არა საკუთარი ერი და საკუთარი თავი. შეიძლება მართლაც არასაკადრისი საქციელია საკუთარი თავის სიყვარული? და საერთოდ, რა გრძნობაა ეს სამშობლოს სიყვარული. პატრიოტიზმი? თანდაყოლილია ის თუ სასიკეთო შენაძენი. თუ სასიკეთო შენაძენია, მაშინ შეიძლება შეაგუო, გარდაქმნა ხალხი და ყველანი ინტერნაციონალისტები იქნებიან.

მაგრამ განა სხვა ხალხის სიყვარულმა უნდა გამორიცხოს შენი მშობლიური ხალხის სიყვარული? განა სინამდვილეში ეს ორი გრძნობა ერთმანეთს არ ავსებს?

ავიღოთ ორი მაგალითი. ქუჩაში მიდის მამაკაცი და უცებ დაინახა. წინ ხანძარია. ყვირიან. დარბიან. დაჰქრიან. სხვათა შორის, ყვირიან, რომ აღმოდებულ სახლში ბავშვი დარჩა. მამაკაცი (თუ ის მამაკაცია) და ზოგიერთი ქალი („გაჭენებულ ცხენს შეაჩერებს, აღმოდებულ ქოხში შევა“), შევარდება ცეცხლში და ბავშვს გადაარჩენს. განა ფიქრობს იმ მომენტში მშველელი, რომელი ეროვნებისაა ბავშვი? ნუთუ ის ასე იტყვის: „ოხ, პატარა თურქი იწვის? დაე დაიწვას. მეტი საქმე არა მაქვს. ვიღაც თურქი ბავშვისათვის ცეცხლში შევიდე...“ ადამიანის მიმართ ასეთი რამის ვარაუდი დაუშვებელია. ამის მთქმელი ნამდვილად ნაციონალისტი და შოვინისტი იქნებოდა. კიდევ უფრო უარესი იქნებოდა, ერთი-ორი თურქიც რომ გაემეტებინა ცეცხლში ჩასაგდებად.

არა, ადამიანი სულის სიღრმეში ინტერნაციონალისტია. მაგრამ ასეთივე სიძლიერითაა იგი გაჟღენთილი ნაციონალური ეგოიზმით.

ახლა გადავიდეთ მეორე მაგალითზე. მიდის კაცი ქუჩაში და უცებ ესმის ყვირილი:

— ბავშვი გაჭყლეტეს. ბავშვი!

კაცი გარბის შემთხვევის ადგილისაკენ და ხედავს. მართლაც ბავშვი გაუჭყლეტიათ. თავშეყრილმა ხალხმა ივიშვიშა. ზოგმა იტირა კიდევაც. შემდეგ ყველა თავ-თავის გზას გაუდგა. ჩვენი კაციც წავიდა. სახლში შინაურებს უამბობს ქუჩაში მომხდარი საშინელი შემთხვევის ამბავს. მაგრამ მან რომ მიირბინა იქ, და ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ იმ ბიჭის ნაცვლად თავისი შვილი ან შვილიშვილი დაენახა? რას იზამდა მაშინ? იგივე ზემოქმედებას მოახდენდა მასზე ეს საშინელი ამბავი? ამ ორ შემთხვევას შორის ნუთუ არავითარი სხვაობა არ იქნებოდა. და ამას ჩვენ არაბუნებრივად არ ჩავთვლიდით?..

„ღმერთებთან სიახლოვით ნეტარებს“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შვილებისათვის სიმდიდრის დაგროვების სიყვარული არის საბაბი საკუთარი სიხარბის დასამალავად“.
დემოკრიტე

ადამიანის ყოფნა-არყოფნის, სიკვდილის საიდუმლოების დაძლევით სუნთქავს შუამდინარული ეპოსი „გილგამეშიანი“. კაცობრიობის პირველი დიდი წიგნის გოდება სიცოცხლის ხანმოკლეობაზე დარდია. მითებიდან თავდაუღწეველი შუამდინარული ფანტაზია შეეცადა, მიეკვლია ღმერთებისაკენ მიმავალი გზა. გილგამეში ეძებს საიდუმლოებას, რომ ადამიანებს ბედნიერება მოუტანოს. მისი მიზანი მიუღწეველი დარჩა, მაგრამ გარჯა ამაოდ არ დაკარგულა.

ქვესკნელიდან დაბრუნებული ენქიდუს სული გილგამეშს გააცნობს იმქვეყნიურ სამყაროში მოხვედრილთა ცხოვრებას. ენქიდუს მონათხრობით, ქვესკნელი სულის საწამებელია, მაგრამ ყველას სული არ განიცდის წამებას. შუამდინარულმა სიბრძნემ დაუშვა გამონაკლისი. იგი ქადაგებს, რომ ადამიანში არის უკვდავების საიდუმლოება, თუმცა ეს უნარი მას გაცნობიერებული არა აქვს. ქვესკნელის მკვიდრთა ბედით დამწუხრებული გილგამეში სვამს კითხვებს, ენქიდუ უპასუხებს:

„ვინც ერთი ძე შვა, თუ ნახე?“ — ვნახე.
ქვესკნელში ხმელა პურს შეექცევა“.
ვინც სამი ძე შვა, თუ ნახე? ვნახე.
ქვესკნელში მხოლოდ წყალსა სვამს იგი“.
„ვინც ოთხი ძე შვა, თუ ნახე?“ ვნახე.
სასმელ-საჭმელით გულს იხარებს“.
„ვინც ხუთი ძე შვა, თუ ნახე?“ ვნახე.
კარგი მწერალივით შიშველი მკლავი აქვს,
დიდი პატივით შედის სასახლეში“.
„ვინც ექვსი ძე შვა, თუ ნახე? — ვნახე.
გუთნისდედასავით უხარის გული“.
ვინც შვიდი ძე შვა, თუ ნახე?“ — ვნახე.
ღმერთებთან სიახლოვით ნეტარებს“.

(ზ. კიკნაძის თარგმანი)

ქვესკნელის აღწერა მთავრდება იმ სულთა ხვედრის გადმოცემით, რომელთაც ამ ქვეყნად არავინ დაუტოვებიათ:

„ვის სულსაც მზრუნველი არა ჰყავს, თუ ნახე?“ — ვნახე.
ჭამს კერძის ნარჩენებს, ქუჩაში გადაყრილს“.

შუამდინარულმა ფანტაზიამ შვილთა სიმრავლე უკვდავებას გაუთანაბრა. ქვესკნელის ბინადრები შვებას მასში პოულობენ.

●

წერა შეიძლება სანთლების შუქზე, ნავთის ლამპის შუქზე, ელექტრონათურის შუქზე, მაგიდის ელექტროლამპის შუქზე, ჭრაქის შუქზე, უბრალოდ, დღის შუქზე (სჯობს შუქი მარცხნიდან ეცემოდეს). ოლეგ მიხაილოვმა კი თქვა ივან შმელიოვის შესახებ, რომ ის სახარების შუქზე წერდა.

●

არ ვიტყვი ბევრჯერ-მეთქი, მაგრამ საერთაშორისო ავიახაზით მაინც მიფრენია. უპირატესად, რა თქმა უნდა, აეროფლოტით. მგზავრები ძირითადად მიფრინავენ ეგრეთწოდებული „ეკონომიური“ კლასით, ესე იგი, ჩვეულებრივად. მაგრამ, თურმე, არსებობს კიდევ პირველი კლასიც — განსაკუთრებული ნაკვეთური თვითმფრინავის ფიუზელაჟში. აქ სავარძლები თავისუფლადაა განლაგებული, ერთიმეორისაგან საკმაოდ დაშორებული. საერთოდ მგზავრებს სპირტიანი სასმელები ეკრძალებათ (თუმცა შეიძლება მათარა ჩუმად დააძრო უკანა ჯიბიდან).

სამაგიეროდ, პირველი კლასის სალონში, სადაც ჩვეულებრივ სამი-ხუთი ადამიანია, სტიუარდესები ლანგრით გთავაზობენ: რას ინებებთ? კონიაკი, არაყი, ვისკი, შამპანური, უბრალო ღვინო, ლუდი? ერთ სირჩას შესვამ და გგონია, შენი დოზა მიიღე, რომ სტიუარდესა უმალ გაჩნდება ბოთლით ხელში და ჭიქას ისევ ბოლომდე შეგივსებს.

პირველი კლასით აეროფლოტის თვითმფრინავში ორჯერ ვიმგზავრე, ორჯერვე შემთხვევით. ერთხელ მიხალკოვმა წამომიყვანა, როცა სოფიიდან მოსკოვში მოვფრინავდით. მეორედ, სტოკჰოლმიდან გამომგზავრების წინა დღეს შეხვედრა მქონდა ჩვენს საელჩოში თანამშრომლებსა და სავაჭრო წარმომადგენლებთან. შეხვედრას დაესწრო აეროფლოტის წარმომადგენელიც.

მას მოეწონა ეს შეხვედრა. ერთ-ერთ დიპლომატთან ვახშამიც კი გამიმართეს — გაუმასპინძლდნენ მოსკოველ ლიტერატორს. აეროფლოტის წარმომადგენელიც ესწრებოდა ვახშამს. ყოველივე ამის შემდეგ მან ჩემს ბილეთს რაღაც ბეჭედი დაუსვა (თუ წითელი ქაღალდი მიამაგრა) და მე აღმოვჩნდი პირველი კლასის მგზავრი.

რამდენჯერმე მომიხდა მგზავრობა უცხოეთის ავიაკომპანიის თვითმფრინავით (მაგალითად, „ლიუფტგანზი“, თუნდაც „ეირფრანსი“). ახლა არ შემიძლია ვთქვა, არის თუ არა ამ თვითმფრინავებში პირველი კლასი. თუა, მაშინ ეს მხოლოდ ფულის საქმეა, გადაიხადე ორჯერ მეტი და ინებე პირველი კლასი. ჩვენთან კი ეს დიდგვაროვან-ჩინოვნიკური კიბის საკითხია, პრესტიჟის საქმეა. ყველაზე არ გაჰყიდიან პირველი კლასის ბილეთს. უფრო სწორად, არავისაც არ მიჰყიდიან. გარდა იმისა, ვისზეცაა დაკანონებული.

და აი, ვზივარ შემთხვევით მოხვედრილ პირველი კლასის სალონში და ვფიქრობ: როგორი უპირატესობაა! სილაღე, სტიუარდესას განსაკუთრებული ღიმილი, განსაკუთრებული სასმელ-საჭმელი, განსაკუთრებული ატმოსფერო. და იქვე გონებაში გაიელვებს აზრი: რაიმე რომ მოხდეს... ვთქვათ, თვითმფრინავს ფრთა ჩამოტყდეს?.. მაშინ? მაშინ ხომ აღარავითარი უპირატესობა აღარ შერჩება პირველ კლასს. თხლაშ! და ყველა თანაბარია.

ერთ ფიქრს მეორე მოჰყვება.

და შემდეგ უეჭველად გაიფიქრებ: ჩვენს გლობალურ-კოსმოსურ ხომალდზეც, სადაც ერთნი ასე ცხოვრობენ, მეორენი ისე (ეს ეხება როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე მთელ სახელმწიფოებსა და ერებს), მოახლოებული ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე ყველა თანაბარი აღმოვჩნდებით. ბოლოსდაბოლოს, ყველას შანსი ერთნაირი იქნება — პრეზიდენტისა თუ უკანასკნელი „მუუაითი კაცისა“, მილიარდელისა თუ მათხოვრის, ერისა, რომელიც თავს ყველაზე მაღლა აყენებს, თუ ერისა, რომელიც თავს მდაბლად ხრის.

ვფიქრობ ასე და ვმშვიდდები.

●

შემთხვევით ერთი თანამედროვე პოეტის სტრიქონებს წავაწყდი:

ახლა მთავარია დროულად წასვლა,
წასვლა სანამ ღრიალებენ ტრიბუნები,
და ახალგაზრდებისათვის გზის დათმობა,
თუმცა ნახევარი სიცოცხლე წინაა...

ეს პოეტის შემთხვევით წამოცდენილი სიტყვებია. მართლაცდა, რატომ, რისთვის ან ვისთვისაა ეს მთავარი? რა თქმა უნდა, თუ საქმე მხოლოდ პირად ამბიციებსა და თავმოყვარეობას ეხება, მაშინ ხომ შეიძლება ტრიბუნებმა ღრიალი შეწყვიტონ, ან საერთოდ თავი დაანებონ აპლოდისმენტებს, ან სხვას მეტი ტაში და აპლოდისმენტი ერგოს, ვიდრე მე. მაშინ, რა თქმა უნდა. მაგრამ როგორ შეიძლება წასვლა და გზიდან ჩამოცილება, როცა სამშობლო გადასარჩენია და წინ კი კიდევ ნახევარი ცხოვრებაა. როცა ადამიანებს სიმართლეზე თვალი უნდა აუხილო, როცა სული რეანიმაციას მოითხოვს და ტვინი გალხვობას? ახალგაზრდები? განა, ახალგაზრდებმა იციან ის, რაც მე ვიცი? განა, ისინი იტყვიან იმას, რაც მე უნდა ვთქვა? ტრიბუნების ღრიალი? სასაცილოა! სიმართლის მთქმელს, ნამდვილი სიმართლისა, უფრო ხშირად აფურთხებენ და ქვებით ქოლავენ, ვიდრე აღტაცებული შეძახილებით ხვდებიან.

თარგმნა **ქეთევან ჩხაიძემ.**

ბერძენი მოაზროვნეები ადამიანის უპირველეს მოვალეობად შვილებს მიიჩნევდნენ. მათი განმარტებით, ბედნიერების მწვერვალი შთამომავლობის ზეიმი იყო და არა სიმდიდრის დაგროვება.

ბედნიერების გაგების კლასიკურ ნიმუშად „ისტორიის მამამ“, ჰეროდოტემ, მიიჩნია სოლონის სიტყვები, წარმოთქმული ლიდიის მეფის კრეზის სასახლეში.

პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე სოლონი, ათენში რეფორმების გატარების შემდეგ მოგზაურობას შეუდგა. მრავალ ქვეყანას გაეცნო, ბოლოს ლიდიას ეწვია. სოლონს, როგორც ბრძენს, ბერძნული სამყაროს გარეთაც იცნობდნენ. მისი აზრის მოსმენა და მასთან საუბარი ყველას აინტერესებდა. აღმოსავლეთის მონარქები სიამოვნებით ღებულობდნენ თავიანთ კარზე. ლიდიაშიც ღირსეული შეხვედრა მოუწყვეს.

კრეზი დაინტერესდა, რა აზრისა იყო სოლონი მის სიმდიდრეზე. კრეზის ბრძანებით სოლონს დაათვალიერებინეს სამეფო საგანძურები. როდესაც ბრძანება შეასრულეს, მეფემ ჰკითხა: „ათენელო სტუმარო, ჩვენამდეც მოაღწია შენმა დიდმა სახელმა შენი სიბრძნისა და მოგზაურობების შესახებ, რომ შენი მეცნიერების სიყვარულით და დათვალიერების მიზნით დაიარე მრავალი ქვეყანა. ახლა უნდა შეგეკითხო, მათ შორის, ვინც შენ შეგხვედრია, ვინ ნახე უფრო ბედნიერი?“ სოლონმა უპასუხა: „ტელოს ათენელი“. კრეზის გაკვირვებაზე, რატომ მიიჩნია უცნობი ტელოს ათენელი ყველაზე ბედნიერად ადამიანთა შორის, სოლონმა მიუგო: „ტელოსს... ჰყავდა კარგი და კეთილი შვილები. და ის მოესწრო იმას, რომ ყველა მის შვილს გაუჩნდა შვილები და ეს შვილები ყველანი ცოცხლები იყვნენ... ცხოვრების აღსასრული ბრწყინვალე ჰქონდა: როდესაც ათენელები მეზობლებს ებრძოდნენ ელევსინში, იგი დაეხმარა მათ, მტერი გააქცია, და თვითონ ლამაზად მოკვდა“...

კრეზი: „ათენელო სტუმარო, ჩემს ბედნიერებას ისე არაფრად აგდებ, რომ ამ უბრალო ადამიანების დონეზეც კი არ მაყენებ?“

სოლონი: „კრეზ! მე, რომელმაც ვიცი, რომ ყოველივე ღვთაებრივი შურით სავსეა და ადამიანთა შიშს იწვევს, შენ მეკითხები ადამიანთა ცხოვრების შესახებ? ... მე ვხედავ, რომ შენ უდიდეს სიმდიდრეს ფლობ და მრავალ ხალხზედაც ბატონობ, მაგრამ კითხვაზე შენი ბედნიერების შესახებ მე არ შემიძლია პასუხი, ვიდრე არ გავიგებ, რომ შენი სიცოცხლე ბედნიერად დასრულდა“.

ჰეროდიტეს თანახმად, სოლონის შეგონებანი კრეზმა სიბრიყვედ ჩათვალა და ათენელმა ბრძენმაც, ყოველგვარ ყურადღებას მოკლებულმა, დატოვა ლიდია. სოლონის შეხედულება გამართლდა. ცოცხალი ადამიანისათვის ნაადრევია თავის ბედნიერად მიჩნევა. ლიდიას სპარსეთი დაესხა თავს და უმდიდრესი მეფე ტყვედ ჩავარდა.

სოლონმა ჩვეულებრივი ათენელი მოქალაქე, კარგი შვილების მამა, დააყენა ლიდიის მეფეზე მაღლა. მისი აზრით, ცოცხალი ადამიანი შემთხვევითობის სათამაშოა. სიმდიდრე არ ნიშნავს ბედნიერებას. კარგი შვილების აღმზრდელ ტელოს ათენელს, განგებამ სიკვდილიც ლამაზი არგუნა. ბრძენი სოლონის წყალობით, ჰეროდიტემაც საკადრისად უკვდავყო მისი სახელი.

კლასიკური პერიოდის ბერძნულმა ფილოსოფიამ გააფართოვა საისტორიო თხზულებებში ასახული მოვლენები. პიროვნებას კანონის წინაშე უნდა დაკისრებოდა ოჯახის შექმნა და შვილების გაზრდა. ამ მხრივ განსაკუთრებული სისრულით გამოირჩევა პლატონი. დიდ ფილოსოფოსს სახელმწიფოებრივი ინტერესების უმაღლეს რანგში აქვს აყვანილი დაოჯახება, რაც ადამიანთა მოდგმის გაგრძელების აუცილებელი პირობა უნდა გამხდარიყო. პლატონის მოძღვრების თანახმად, ყველა ვალდებულია, დაქორწინდეს ოცდაათიდან ოცდათხუთმეტ წლამდე. ვინც კანონს არ დაემორჩილება, უნდა დაჯარიმდეს და ჩამოერთვას მოქალაქის უფლებები ამა თუ იმ ხარისხით. ამით შეიგნოს, რომ ადამიანის მოდგმა თავისი ბუნებით უკვდავების თანაზიარია, რომლისკენაც სწრაფვა თანდაყოლილი აქვს თითოეულს. ვინც არ იზრუნებს იმაზე, რომ ჰყავდეს მეუღლე და შვილები, იგი განზრახ იყრის უფლებებს. ურჩი ვალდებულია, ყოველწლიურად, როგორც სასჯელი, გადაიხადოს გარკვეული თანხა, რომ არ ეგონოს, უცოლშვილო ცხოვრებას მისთვის შემსუბუქება მოაქვს. უშვილო პიროვნებას არ უნდა ჰქონდეს წილი იმ პატივში, რომელსაც ახალგაზრდები მიაგებენ უფროსებს.

პლატონის თეორიული მსჯელობა, პლუტარქესთან დაცული ცნობებით, პრაქტიკულად განხორციელებული ყოფილა. ლიკურგეს ბიოგრაფიაში იგი წერს: სახელოვან სტრატეგოსს დერკილიდეს, როდესაც შენობაში შევიდა, ერთმა ახალგაზრდამ ადგილი არ დაუთმო. მან თავისი საქციელი იმით გაამართლა, რომ „შენ ჯერ არავინ გაგიჩენია ქვეყანაზე, რომ შემდეგში მე დამითმოს ადგილი“. პლუტარქე იქვე აგრძელებს: „ლიკურგემ გარკვეული სასჯელი დაადო უცოლოებს. მათ აკრძალული ჰქონდათ გიმნოპედიებზე დასწრება. ზამთარში კი, არქონტთა ბრძანებების მიხედვით, უცოლოებს ტანზე უნდა გაეხადათ და დედიშობილა მოედნის გარშემო ევლოთ, თან ემღერათ მათსავე წინააღმდეგ შეთხზული სიმღერა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ისინი სამართლიანად ისჯებიან, ვინაიდან არსებულ კანონებს არღვევენ“.

ბერძნული ოჯახის ყველაზე დიდი ზეიმი შვილის დაბადება იყო (განსაკუთრებით ვაჟის, როგორც სამშობლოს მომავალი დამცველის). ვაჟის დაბადების დღეს სახლის ფასადს ზეთისხილის რტოებით ამკობდნენ, რომ უცხოებსაც გაეგოთ ოჯახის ბედნიერების ამბავი.

ელინისტური ეპოქის ბერძნებში კვლავ სუნთქავდა კლასიკური პერიოდის მოაზროვნეთა იდეა: „ელინები აღემატებიან ყველა დანარჩენ ხალხებს“. მაგრამ, სიამაყე ფრთებშეკვეცილი იყო. დიადოხოსებმა და ეპიგონებმა საბერძნეთი არესის საასპარეზოდ გადააქციეს. ქვეყანა სისხლისაგან დაიცალა. დაიწყო რომაული ბატონობის ხანა. თუმცა ბერძენთა ამაღლებული სული მსოფლიოს კულტურის სათავეებს კვლავ ამაყად მეთაურობდა.

ბერძენი მოღვაწეები მტკივნეულად განიცდიდნენ პოლიტიკური სცენის დათმობას. საერთო ელინური სატკივარი, მისი ტრაგიკული სახე დახატა დიდმა ისტორიკოსმა პოლიბიოსმა. ერთ დროს დამოუკიდებლობისათვის აქტიური მებრძოლი. ძვ. წ. აღ. II საუკუნის შუა ხანებისათვის შეგუებული იყო თავისი სამშობლოს ბედს. მისი ვარაუდით, მართალია, თავისუფლება დაიკარგა. მაგრამ ბოლო მოეღო გაუთავებელ შინაომს და მშვიდობიანობა დამყარდა. ისტორიკოსს ასე სურდა, ... გამოსავალს ვერ ხედავდა. რომაული შეჭრა ... დობას ელადა წელში უნდა გაემართა. ... ნამდვილეში პირიქით მოხდა. ბერძნებმა უარყვეს წინაპართა ტრადიციები. მათ სულში სულ სხვა ბუნების ადამიანი ჩასახლდა. დროებითმა ინსტინქტებმა შეისრუტეს მარადიული და ამაღლებული გრძნობები. ყოველდღიურ სიამოვნებაზე ფიქრმა აღარ დატოვა ადგილი სიმაღლის შესანარჩუნებლად. ელადამ დაიწყო საფეხურებიდან დაშვება და საბედისწერო ზღვარს მიადგა. პოლიბიოსს ყოველივეს სათავედ მოსახლეობის შემცირება და ადამიანთა გაფუჭებულობა მიაჩნდა. მისი სიტყვებით, ელადის უდიდესი უბედურებაა ქალთა უშვილობა. ქალაქები გაუკაცრიელდნენ, თუმცა არც ხანგრძლივ ომებს და არც მოარულ სენს ადგილი არ ჰქონია. ვინმეს რომ ერჩია, მიგვემართა ღმერთებისათვის, თუ როგორ აგვეღორძინებინა ქალაქები და გაგვხადა ხალხმრავალი, ასეთ მრჩეველს სულელად მივიჩნევდით, ვინაიდან უბედურების მიზეზი ჩვენ ვართ და მისი აღმოფხვრაც ჩვენ შეგვიძლია. უბედურება იმაშია, რომ ადამიანები გაირყვნენ, გახდნენ პატივმოყვარენი, მხოლოდ ანგარებაზე ფიქრობენ. განებივრდნენ და არ სურთ დაქორწინება, ხოლო თუ დაქორწინდნენ, თავს არიდებენ საკუთარი შვილების გამოკვებას. მრავალიდან მხოლოდ ერთს ან ორს იტოვებენ, რომ გაზარდონ ისინი ფუფუნებაში და დაუტოვონ სიმდიდრე. აქედან მოკლე დროში მივიღეთ ბოროტება. ცხადი და გარდაუვალია, რომ ორი შვილიდანაც კი, თუ ერთს ომი ან ავადმყოფობა მოიტაცებს, სახლი ცარიელდება. ასეთ შემთხვევაში ღმერთი ვერ დაგვეხმარება. ხსნა ჩვენს ხელთ არის. თვითონვე უნდა გამოვასწოროთ საკუთარი დანაშაული. ყველაზე უკეთესია, კანონით დავავალოთ მშობლებს შვილების გაზრდა.

პოლიბიოსის შეგონებამ ვერ გამოასწორა ელადის დემოგრაფიული კრიზისი.

ანტიკური სამყაროს რომაული პერიოდი აგრძელებს ელინური კულტურის ამაღლებულ იდეებს. რომაელები ელინთა ღირსეული მოწაფეები გახდნენ.

რომაული ოჯახის მთავარ ამოცანას სამშობლოს დამცველი მოქალაქის აღზრდა შეადგენდა. დაპყრობითი ომების გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა მოთხოვნილება სრულუფლებიან მოქალაქეზე, ოკუპირებული მიწების შესანარჩუნებლად. ძვ. წ. აღ. IV-III სს. რომის არმია ახერხებდა იტალიაზე მტკიცე ბატონობას. უფრო მეტიც, ამ არმიამ დაამარცხა მრისხანე მოწინააღმდეგე კართაგენი და ხმელთაშუა ზღვის მპყრობელი გახდა.

ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების დაპყრობის შემდეგ იგივე არმია ვეღარ უზრუნველყოფდა უზარმაზარ სივრცეზე ბატონობას. რომის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდა მოსახლეობის უფლებების გაფართოებას და მისი რიცხვის გაზრდას.

ანტიკურმა ისტორიოგრაფიამ რომის არმიის ძლიერების აღდგენის იდეა გრაკხუსების სახელს დაუკავშირა. რესპუბლიკის უკანასკნელი საუკუნის პოლიტიკური მოღვაწენი ბრძოლისუნარიანი მეომრის შემცირებაზე გოდებდნენ. გრაკხუსების აგრარულ რეფორმას რომის ლეგიონების ბრძოლისუნარიანობის შესუსტება ასაზრდოებდა. მათ მოძრაობას ქვეყანაში შექმნილმა კრიზისმა მისცა ძირითადი ბიძგი.

გრაკხუსების რეფორმები მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებდა მრავალშვილიანი ოჯახის მამას. მომდევნო პერიოდში გრაკხუსების იდეას სერიოზული გამგრძელებლები გამოუჩნდნენ.

რომის მსოფლიო ბატონობის გაფართოებამ კიდევ უფრო მკვეთრად დასვა თავისუფალი მოსახლეობის გამრავლების საკითხი.

რომის თავისუფალი მოსახლეობის ინტერესებს ემსახურებოდა იულიუს ცეზარის მოქმედება. მან ჩვ. წ. აღ. 59 წელს სამ და მეტ შვილიან 20 ათას რომაელ მოქალაქეს სახელმწიფო მიწები დაუნაწილა.

რომის მოსახლეობის გამრავლებაზე განსაკუთრებული ზრუნვით გამოირჩეოდა იმპერატორი ოქტავიანე ავგუსტუსი. მისი სახელით გამოცემულ კანონებში განსაზღვრული იყო: რომის მოქალაქე, რომელსაც ჰყავდა სამი შვილი, იტალიელს ოთხი, ხოლო პროვინციაში მცხოვრებს ხუთი, თავისუფლდებოდა გადასახადებისაგან და თანამდებობის მიღებისას სარგებლობდა უპირატესობით.

ავგუსტუსის როლი სპეციალური კანონების გარდა კარგადაა ასახული ანტიკურ მწერლობაში. პერიკლეს ბიოგრაფიაში პლუტარქე წერს: „ამბობენ, რომ ერთხელ ცეზარმა (იგულისხმება ავგუსტუსი — გ. ქ.) რომში დაინახა ვიღაც მდიდარი უცხოელები, რომლებიც უბეში ჩასმულ ლეკვებსა და პატარა მაიმუნებს ეფერებოდნენ. მან ჰკითხა, ნუთუ თქვენთან ქალები ბავშვებს არ შობენ? გამგებელის სავსებით ღირსეული ამ სიტყვებით, მან რჩევა-დარიგება მისცა მათ, რომლებიც ცხოველებზე ხარჯავენ ბუნებისაგან მონიჭებულ სიყვარულისა და ალერსის მოთხოვნილებას, მაშინ როცა ის უნდა ეკუთვნოდეს ადამიანებს. მართლაც, რაკი ჩვენს სულსა და გულს შემეცნებისა და ჭვრეტის უნარი ბუნებით შეუძენია, განა გონივრული არაა, გავკიცხოთ ის, ვინც ამ უნარს უღირს საგანთა ყურადღებისა და ჭვრეტისათვის იყენებს და უგულებელყოფს მშვენიერსა და სასარგებლოს? ჩვენი შეგრძნება გარეგანი ბიძგის მიზეზით იძულებულია, უჭვრიტოს ყოველ მოვლენას, სასარგებლოსაც და უსარგებლოსაც... საჭიროა უკეთესისაკენ მივისწრაფოდეთ, რათა არა მხოლოდ ვჭვრეტდეთ მას, არამედ მისი ჭვრეტითა და აღქმით საზრდოსაც ვღებულობდეთ“. დიდი მორალისტი პლუტარქე ძერწავს არა მარტო რომის იმპერატორის სრულყოფილ სახეს, არამედ გვიხატავს ადამიანის ბუნებრივი მოვალეობის იდეალურ სურათსაც. ბუნებისაგან ბოძებული მადლი მასვე უნდა დაუბრუნდეს.

იმპერიის ხანაში შეიცვალა დამოკიდებულება მონებისადმი, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. დაპყრობითი ომების შემცირებამ, დააშრო მონობის მთავარი წყარო. იტალიის მეურნეობა მუშახელით შევსებას მოითხოვდა. ხელისუფლებამ მდგომარეობიდან გამოსავალი მონების ბუნებრივ გამრავლებაში იპოვა. თუ ადრე ამ საკითხს უმნიშვნელო ყურადღება ექცეოდა, აღნიშნულ ეპოქაში გადამწყვეტი როლი დაეკისრა. ეს კარგად ასახა რომაულმა მწერლობამ და კანონმდებლობამ, სადაც ხაზგასმულია მზრუნველობა მრავალშვილიან მონა ქალებზე. I საუკუნეში მცხოვრები მწერალი და აგრონომი კოლუმელა წერდა: მონა ქალი, რომელსაც ჰყავს სამი შვილი, ღირსია გათავისუფლდეს სამუშაოდან, ხოლო ვინც მეტი შობა, თავისუფლებას იმსახურებსო. II საუკუნის რომაელი იურისტი გაიუსი „ინსტიტუციებში“ წერდა: ოთხი შვილის დედა მონა ქალი თავისუფლად უნდა გამოცხადდესო.

დემოგრაფიული საკითხის გამოსწორებას ემსახურებოდა I-II საუკუნეთა მიჯნაზე იმპერატორის ინიციატივით შექმნილი ალიმენტარიის სისტემა. სახელმწიფოს მიერ გაცემული სესხის ხუთი პროცენტი მის ამღებს უნდა შეეტანა ადგილობრივი ხელისუფლების სალაროში. ხელისუფლება ამ თანხას ანაწილებდა ობლებზე. სახელმწიფო ორგანოები ითვალისწინებდნენ როგორც კანონიერად, ისე უკანონოდ დაბადებულ ბავშვებს. ტრაიანეს დროს დახმარება მიიღო ხუთი ათასმა ბავშვმა.

რომაული ოჯახის სიწმინდისა და დიდების სამსახურში ქალები იდგნენ. რესპუბლიკის ეპოქაში უცხო იყო იმპერიისათვის ჩვეულებად ქცეული ოჯახური სიწმინდის დარღვევა. რომაული მწერლობა შარავანდედით ამკობდა ღირსეულ შვილთა აღმზრდელ ქალებს. იმპერატორების რომი ქედის მოხრით იხსენიებდა: გრაკხუსების დედას კორნელიას, ცეზარისას ავრელიას და ავგუსტუსის დედას ატიას.

იმპერიის პერიოდიდან დაიწყო რომაული ოჯახის დეგრადაცია. თუმცა პირველ ხანებში, მორალური და ეთიკური ნორმების მოშლის გვერდით, იყვნენ წმინდა და ამაღლებული სულის ქალები, რომელთაც ამაყად შეეძლოთ გაემეორებინათ: სადაც შენ გაიუსი, იქაც მე გაია. მაგრამ ასეთი ქალების რიცხვი თანდათანობით კლებულობდა. დაეცა ოჯახის ბურჯის დედის მორალური სახე. ოჯახმა დაკარგა მასზე დაკისრებული ფუნქცია. კატასტროფულად შემცირდა ძველ რომაულ პატრიციულ გვართა რიცხვი. მათი ადგილი ლიბერტინებმა და სხვა გაურკვეველი წარმომავლობის მედროვეებმა დაიკავეს. გაბატონდა სიხარბისა და ძალის კულტი.

რომაული ოჯახის გადაგვარება ძველ ტრადიციებთან კავშირის გაწყვეტით დაიწყო. იმპერიის უკანასკნელ საუკუნეებში დატრიალებული ტრაგედია საგარეო და შინაურ უთანხმოებათა გაერთიანებამ განაპირობა. რომის იმპერიის დაცემაში გადამწყვეტი როლი შეასრულა იტალიის ბარბარიზაციამ. უცხო ელემენტის დამკვიდრებამ ბოლო მოუღო რომაულ ტრადიციებს, რასაც საბედისწერო დასასრული მოჰყვა. ბარბაროსებში არეული იმპერია ვერ იხსნა ახალი რელიგიის, ქრისტიანობის კანონიზაციამ.

ძველი სამყაროს ხალხებმა თავიანთი კულტურის აყვავების გამრავლების აღმავლობის სტადიაზე მიაღწიეს. ყველა ეპოქაში სერიოზული ყურადღებით ეკიდებოდნენ მოსახლეობის გაზრდის საკითხს. როდესაც გამრავლებისადმი ინტერესი ქვეითდებოდა, კრიზისიც გარდაუვალი ხდებოდა. ასეთი ბედი ეწია ძველი კულტურის შემქმნელი ხალხების უმრავლესობას.

ადამიანები კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟიდანვე უდიდეს მოთხოვნილებას უყენებდნენ იმ მოვალეობათა მტკიცედ შესრულებას, რომლის გადაწყვეტაც მათ ხელში იყო. ამქვეყნიური ცხოვრების ეს მხარე ძველმა სიბრძნემ ღმერთებთან სიახლოვით შეამკო და უკვდავების თანაზიარად გამოაცხადა.

P. S. ისტორია ცხოვრების მასწავლებელიაო, თქვა დიდმა ციცერონმა. ეს სიტყვები ოც საუკუნეზე მეტია ემსახურება ადამიანებს და შთაგონებს მათ, რომ სულს გულისყურით მოეკიდონ. როგორი დამოკიდებულება გვაქვს ამ ბრძნულ შეგონებასთან? სიტყვები გვახსოვდა, მაგრამ მისი შინაარსი დაგვავიწყდა. წარსულთან კავშირის გაწყვეტამ, ნახტომმა უცნობ სივრცეში ადამიანები დააშორა ეროვნულ ტრადიციებს. საზოგადოების განათლებულმა ნაწილმა მრავალშვილიანობა ზედმეტ ბარგად და ხშირად ჩამორჩენილობადაც კი ჩათვალა. იგი შეუერთდა საერთო მდინარეს, რომლის მიმართულებაც უცნობი იყო. შეუდგა ახლის შენებას, მაგრამ გაუფასურდა აშენებული. ჩვენი კრიზისის ძირითადი ნიშანი სიმრავლისადმი გულგრილობაა. დამოუკიდებლობა, რომელსაც მოვითხოვთ, მხოლოდ დაუსახლებელ პლანეტაზე თუ იქნება შესაძლებელი. ჩვენ გარშემო ყველანი ჩვენზე მეტნი არიან.

გავრცელებული აზრი ქართველთა რჩეულობის შესახებ, სუფრაზე შემუშავებული შეხედულებაა. შვილი: ერთი და კარგი. ვერც ერთი ეროვნების ადამიანს ვერ დავასახელებთ, ცუდი შვილი რომ სიამოვნებდეს. რა გარანტია გვაქვს, რომ ჩვენი თითო-ოროლა ნაშიერი განსაკუთრებული ნიჭითა და ღირსებებით შემკული იქნება? დიდ ადამიანთა უმრავლესობა მესამე და მომდევნო შვილები იყვნენ თავიანთი მშობლებისა. ბუნების კანონები ადამიანთა ნებასურვილს არ ემორჩილება. მაღალფარდოვან სიტყვათა და ბრძნულ შეგონებათა მოჭარბება, უკეთესის მიღწევის მარტოოდენ სურვილად რჩება. ბოლო ათწლეულებმა ისტორიის საკუთრებად დატოვა საუკუნეთა განმავლობაში გამოკვეთილი გადარჩენისა და უკვდავების ხატი. ყალბი კერპის გადაულახავად შეუძლებელია სიწმინდისა და ამაღლებულის სამსახური. საუკუნეთა სიღრმეებიდან მოგვაგონებენ ბრძენი მოაზროვნეები, რომ სიმდიდრე არ არის ბედნიერების საზომი. ადამიანმა უნდა დაიბრუნოს სრულყოფა, უკუაგდოს გაჩირაღდნებულ, მაგრამ უბავშვო ციხე-დარბაზთა კულტი. უარყოს გარეგნული ბრწყინვა და თავისი ოფლით მონაპოვარს ისეთი გზა მისცეს, რომ მისი მოქმედება შთამომავლობას საამაყოდ დარჩეს.

ძველი სამყაროს მიერ შემუშავებულ მოდელს ადამიანის დანიშნულების შესახებ დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. პლუტარქეს სიტყვები ძალაში რჩება: ბუნებისაგან მონიჭებული სიყვარულისა და ალერსის ღვთაებრივი უნარი ადამიანებს უნდა მოხმარდეს.

წარსულის ნაგზრევთა მოხმობა იმიტომ განვიზრახეთ, რომ გაგვიადვილდეს ჩვენში გაბატონებული თვითკმაყოფილების გრძნობის შეკრთობა. ხსნისა და უკვდავების იდეა სიმრავლეშია. უნდა აღორძინდეს წინაპართა ტრადიციები, რომლის დავიწყების უფლება არც ერთ ეპოქაში მცხოვრებ ქართველს არ აქვს. უკვდავების სული ცოცხლობდა და იბრძოდა მარადის. იგი ოდნავ რომ წაფორხილებულიყო, ალბათ საქართველოც ვერ გამოაღწევდა ისტორიის ჯოჯოხეთურ ლაბირინთებს.

ბ. ქ.

რაფიელ ერისთავის საფლავთან

აკაკი წერეთელი კახეთს 1911 წლის ივლისში ეს-ტუმრა, ეს იყო რიგით მესამე და უკანასკნელი მგზავ-რობა პოეტისა საქართველოს ამ მშვენიერ კუთხეში.

თელავში ყოფნის დროს აკაკიმ გადაწყვიტა, სწვე-ოდა ქისტაურს და ენახა გამოჩენილი ქართველი პო-ეტის რაფიელ ერისთავის საფლავი. მასპინძლებმა აკაკის წადილი მაშინვე აცნობეს ქისტაურში მიხეილ ერისთავს.

რადგან იმ დღეებში მეტისმეტად ცხელოდა, მგზავრები ათი კაცის შემადგენლობით, რომელთაც სამი ეტლი ეკავათ, დი-ლაადრიანად გაუდგნენ გზას ქისტაურისაკენ.

ქისტაურში აკაკის გამორჩეული გულთბილობით შეხვდნენ. რაკი დაღლილობა შეატყვეს, მიიწვიეს ცალკე ოთახში დასასვე-ნებლად. მისი თანმხლები პირები მასპინძლებმა ფართო აივან-ზე გაიყვანეს. აივანი ჩრდილოეთის მხრივ გადაჰყურებდა კავკა-სიონის მთებს. აქედან კარგად მოჩანდა კახეთის თვალწარმტაცი მინდორ-ველები და სულ რაღაც ხუთი თუ ექვსი კილომეტრის მანძილზე ამაყად იმზირებოდა ალავერდის ტაძარი. მის გასწვ-რივ კი ფართო ვერცხლის ქამარივით გაწოლილიყო მდინარე ალაზანი.

საუზმის შემდეგ სტუმარ-მასპინძლები ეტლებით გაემგზავრნენ ერისთავების საგვარეულო აკლდამისაკენ. მალე საურმე გზა ჩა-თავდა და აღმართის ბილიკს ფეხით აუყვნენ.

გამოჩნდა ატეხილი ტყის შუაგულ ვაკეზე მდებარე სასაფ-ლაო. იქვე, პატარა ეკლესიასთან ახლოს, განისვენებდა რაფიე-ლის ნეშტი.

აკაკიმ ქუდი მოიხადა, დაიჩოქა რაფიელის საფლავთან და თითქოს ლოცულობსო, მძიმედ, მაგრამ გარკვევით წარმოთქვა:

— განისვენე, დიდო მგოსანო, განისვენე...

და მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა:

— განისვენე იქ, სადაც შობილხარ, გაზრდილხარ და გის-როლია ისარი, სად მამა-პაპა გეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი...

ამ სიტყვებთან ერთად პოეტს თვალებიდან ცრემლები გად-მოსცვივდა. მერე ფეხზე წამოდგა და თავი დახარა. პოეტთან მი-ვიდა თელაველი კორესპონდენტი ვ. პაატაშვილი და მოკრძალე-ბით მოახსენა:

— ბატონო აკაკი, 1901 წელს, რაფიელი რომ გარდაიცვალა, დიდი მიწერ-მოწერა იყო თბილისში, ქართველთა შორის წე-რა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ გამგეო-ბასთან, რომლის თავმჯდომარედაც მუშაობდა ილია ჭავჭავაძე და ველოდით დასტურს, რომ რაფიელის ნეშტი გადაგვესვენები-ნა თბილისში, დაგვეკრძალა დიდუბის პანთეონში. მართალია, იქიდან თანხმობა მივიღეთ, მაგრამ აქ პოეტის ახლობლები ვერ დავითანხმეთ და დავასაფლავეთ იქ, სადაც „მამა-პაპათა კუბოს ფიცარი ეგულებოდა“.

აკაკიმ თავი გადააქნია და კორესპონდენტს უპასუხა:

— ძალიან დაგიშავებიათ!... რაფიელის საფლავი საქართვე-ლოს გულში, თბილისში უნდა ყოფილიყო და არა აქ, მიყრუებ-ულ ტყეშიო!

რაფიელის საფლავზე გადახდილ იქნა პანაშვიდი.

სასაფლაოდან სოფელში დაბრუნება უფრო იოლი იყო. აკაკიმ კეთილი მასპინძლის ოჯახში ცოტა ხანს დაისვენა.

მალე მოიყვანეს ოთხი თუ ხუთი ქისტაურელი, რომლებიც თავაზიანად, ქუდების მოხდით მიესალმნენ აკაკის და მოკლედ უამბეს, რომ ცხონებული ბატონი რაფიელი კეთილი კაცი იყო, ხშირად გვეხმარებოდა, ახლობლურად გვეჭცეოდა, უყვარდა ოხუნჯობა, და, როცა კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა, შაირობაშიც გვიწვევდა ხოლმეო.

სადილი დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან სტუმრებს თელავში მიეჩქარებოდათ.

აკაკი და მისი თანმხლები პირები მასპინძლებს გამოეთხოვ-ნენ და ეტლებში ჩასხდნენ. გზის გასწვრივ გამოსული ქისტაუ-რელები ხელის ქნევით ეთხოვებოდნენ პოეტს, პატარები კი ვარდ-ყვავილებს აყრიდნენ ეტლს, რომელშიც აკაკი იჯდა.

შალვა მარკოზაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოში ულამაზესი

ფრანგი კინომსახიობის კა-როლ ბუკეს შემოქმედე-ბითი წარმატების გზა ლუის ბუნიუელის სა-ხელს უკავშირდება. 1977 წელს კინოეკრანებზე გამოდის დიდი ესპანელი რეჟისორის უკანასკნელი ფილმი — „სურვილის ეს ბუნდოვანი ობიექტი“, რომლითაც ორი მანამდე სრულიად უცნობი ქალიშვილი ფრანგი კაროლ ბუკე და ესპანელი ანხელა მო-ლინა საკმაოდ სწრაფად იხვეჭენ სა-ხელს.

ანხელა მოლინასაგან განსხვავებით, კაროლ ბუკეს კარიერა ბევრად უფრო იღბლიანი გამოდგა, რაშიც სხვადასხვა სუბიექტურ თუ ობიექტურ ფაქტორს შორის უმთავრესი როლი მისმა სილა-მაზემ ითამაშა. აგერ უკვე თერთმეტი წელია, მისი ფოტოები სისტემატურად ამშვენებენ ილუსტრირებულ გამო-ცემებს.

კაროლ ბუკე საფრანგეთის ულამა-ზეს ქალად არის აღიარებული. ვისაც ჰქონდა შესაძლებლობა, ენახა ჩვენი ქვეყნის კინოეკრანებზე ფრანგული ფილმი „ნაპირი მარცხენა, ნაპირი მარჯვენა“, საკუთარი თვალით დარწ-მუნდებოდა მის მომხიბლაობაში. რო-გორც აღვნიშნეთ, კაროლ ბუკე ულა-მაზეს ქალად არის მიჩნეული თავის სამშობლოში. მხოლოდ იმასაც დავ-ძენთ, რომ იგი ულამაზესად ითვლება, მაგრამ არა ქვეყნის სიმბოლოდ. საფ-რანგეთის სიმბოლოდ აღიარებისათვის მხოლოდ გარეგნული მშვენიერება საკმარისი არ არის. საჭიროა ბევრი სხვა მონაცემიც. თავის დროზე საფ-რანგეთის სიმბოლოებად ითვლებოდ-ნენ ბრიჟიტ ბარდო, მირეი მატიე... 80-იანი წლებიდან კი ეს საპატიო ტი-ტული მიაკუთვნეს კატრინ დენევს. საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ სუვენირებსაც ფრიგიული ჩაჩით დამშვენებული კატრინ დენევის გამოსახულება დაამშვენებს.

80-იანი წლებიდან კაროლ ბუკეს

ხშირად იწვევენ იტალიურ ფილმებშიც. იგი ფართოდ მონაწილეობს სხვადასხვა კომერციულ რეკლამებში. განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა აქვს პარფიუმერიის მწარმოებელ ფირმებთან. „მსოფლიოში ულამაზესი ქალის“ ტიტულიც კაროლ ბუკეს სწორედ პარფიუმერიის მწარმოებლებმა მიანიჭეს.

პარფიუმერიის მაგნატები არ შემცდარან თავიანთ არჩევანში. უამრავი მანდილოსანი ცდილობს, შეიძინოს სწორედ ის ნაწარმი, რომელზეც აღბეჭდილია კაროლ ბუკეს ფოტო.

მიმდინარე წელს საფრანგეთის კინემატოგრაფისტთა უმთავრესი ჯილდოს „სეზარის“ გადაცემისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტელერეპორტაჟის მსვლელობის დროს ეკრანზე გამოჩნდა სიმპათიური გარეგნობის ხნიერი ქალი. ადვილი წარმოსადგენია ფრანგი ტელემაყურებლების განცვიფრება, როდესაც მათ შეიტყვეს, რომ ეს ხნიერი ქალი კაროლ ბუკეა. ამ მეტამორფოზაში კაროლ ბუკეს „დახმარება“ გაუწიეს ცნობილმა ფირმამ „პლასტიკ სტუდიმ“ და გრიმიორმა დიდიე ლევერანმა. რომელმაც მთელი თავისი ოსტატობა და ფანტაზია ჩააქსოვა. რათა ფრანგებისათვის წარმოედგინა, თუ როგორი იქნებოდა მათი კერპი 70 წლის ასაკში.

„პლასტიკ სტუდისა“ და დიდიე ლევერანის მონდომებისა და ერთი თვის შრომის შედეგად კაროლ ბუკე რამდენიმე წუთით „ხანდაზმული“ შეიქმნა (თუმცა ამით მას სრულიად არ მოჰკლებია მიმზიდველობა), ხოლო შემდეგ სულ რაღაც 10 წამის განმავლობაში ტელემაყურებელთა თვალწინ დაიბრუნა თავისი ასაკი. „პლასტიკ სტუდის“ მესვეურთა დაბეჯითებითი მტკიცებით, კაროლ ბუკე ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორიც იგი უნდა იყოს 70 წლისა, ასევე ყველა მსურველს ფირმა სთავაზობს ნებისმიერი წლოვანებით „დაბერებას“. თავიანთ ფინანსურ წარმატებაში „პლასტიკ სტუდის“ ხელმძღვანელობას ეჭვი არ ეპარება, რადგან ამგვარი ეფექტური რეკლამა, რომლის საერთო ფონს „სეზარით“ დაჯილდოების რეპორტაჟი წარმოადგენს, ხოლო მოდელიორად ულამაზესი ვარსკვლავი გვევლინება, უსათუოდ შეასრულებს თავის საქმეს.

ნუგზარ ბარდაველიძე

მუხლჩაუხრელი მოგზაური

მისი ცხოვრების თითქმის ნახევარ საუკუნეს მოიცავს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასწავლებლობა ოჩამჩირის რაიონის მერკულის № 1 საშუალო სკოლაში. დაბადებულია გალის რაიონის სოფელ პირველ გალში 1914 წლის 5 მაისს. ამჟამად ცხოვრობს ქალაქ ტყვარჩელში. ჰყავს ოთხი შვილი და 9 შვილიშვილი. არის დიდი სამამულო ომის მონაწილე, მეორე ჯგუფის ინვალიდი, საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფრიადოსანი, სპორტის ოსტატი, წარჩინებული მასწავლებელი, მიღებული აქვს ჯილდოები.

სახელმოხვეჭილი პიროვნება გახლავთ. მას იცნობენ როგორც ქვეითად მოსიარულე მუხლჩაუხრელ მოგზაურს.

1980 წლის 22 მაისს ტყვარჩელიდან გავიდა და 4 ივლისს მოსკოვში ჩავიდა 66 წლის სპორტსმენი-მოგზაური რაუდენ ჭანტურია და 2350 კილომეტრის ქვეითად გავლას 43 დღე მოანდომა. ეს ტურნე მან მსოფლიოს XXII ოლიმპიური თამაშების გახსნას მიუძღვნა და დიდი პატივისცემაც დაიმსახურა. სწორედ ამ დროს იყო „ოლიმპიადის პაპა“ რომ შეარქვეს.

ასევე სხვადასხვა მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით უკვე ხანდაზმულმა სპორტსმენმა დალაშქრა 6.500 კილომეტრი ოთხ თვეში (გმირი ქალაქების გავლით), 600 კილომეტრი — მთების გადავლით 9 დღეში, 3500 კილომეტრი — 58 დღეში და ა. შ.

დღეისათვის მას ქვეითად გავლილი აქვს 18 ათასი კილომეტრი.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ბატონი რაუდენი მხნედ გამოიყურება და უნდა ვივარაუდოთ, რომ კვლავაც გაგვაოცებს ახალ-ახალი მიღწევებით როგორც ქვეითად მოგზაური სპორტსმენი.

... კანონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრმა მოთმინებით მოისმინა. მერე ფიქრიანად ჩაილაპარაკა.

— ზრდილობის კანონი? განა ასეთი კანონი ჯერ არ არსებობს? კარგად მახსოვს..

— მოთმინეთ, ბატონო მინისტრო, — სიტყვა შევაწყვეტინე.

უმაყოფილოდ შემომხედა.

— მომიტევეთ, ლაპარაკში რომ ჩაგერიეთ, — განვაგრძე მე, — სწორედ ამით დავარღვიე აღნიშნული კანონი, ასე არ არის?

— ცხადია, — მომიგო მინისტრმა.

— და თქვენ შეგიძლიათ ამის გამო პასუხისგებაში მიმცეთ?

— რა თქმა უნდა, არა.

— აი სწორედ ეს ამტკიცებს, — წამოვიძახე საზეიმო ტონით, — რომ ზრდილობის კანონი მხოლოდ სიტყვიერად არსებობს! და რამდენადაც იგი იურიდიულად არსად არაა ფიქსირებული და მთავრობის მიერ არ არის დამტკიცებული, ამიტომ ყველა შესაბამისი დარღვევა დაუსჯელი რჩება. დროა, ბოლო მოეღოს დაუდევრობას. პირადად მე, ბატონო მინისტრო. ისეთი წარმოდგენა მაქვს, რომ ზრდილობის კანონის უქონლობით უფრო მეტად ვზარალობთ, ვიდრე თუნდა ჯიბის ქურდებისა და წვრილმანი თაღლითებისაგან... დაწვრილებითი პროექტი შევადგინე...

— ეს მოსაწონია, — შენიშნა მინისტრმა, — აბა მომეცით. ალბათ შესაძლებელია მისი ცხოვრებაში განხორციელება და სამშობლოც მადლობას გადაგიხდით...

ხულის სიღრმემდე გულაჩუყებული გამოვედი სამინისტროდან და შინისაკენ გავეშურე. გზაში ვიღაცა ხუმარამ პალტოზე ქაღალდი მომაკრა წარწერით: „პირუტყვი ვარ“. თავი ისე დავიჭირე, თითქოს არა მომხდარიყოს რა.

ავტომძღოლები და ფეხით მოსიარულეები ერთიმეორეს „თქვენობით“ დაუწყებენ მიმართვას. ზოგიერთი მობინადრე იძულებული შეიქნება, გაკვირვებით დაადასტუროს, რომ თურმე მეზობლებიც ადამიანები ყოფილან. უფროსები მარტო პირად მდივნებს კი არა, ცოლებსაც ალერსიანად მოექცევიან. თეატრები მხოლოდ კარგი პიესების დადგმას დაიწყებენ.

ყველა დაადრუნებს ნათხოვარ წიგნებს. გამყიდველები ღიმილს მიეჩვევიან, ორატორები — გაჩუმებას. ფეხბურთელები აღარ შეურაცხყოფენ მსაჯებს და მათი მინდვრიდან გაძევება აღარ მოუწევთ. ახალგაზრდები მიეჩვევიან, პორტატული რადიომიმღებები ისეთ ხმაზე დააყენონ, რომ საკუთარი ბინის იქით ხმა არ გადიოდეს...

როგორც ყოველი ახალი წესის შემოღების დროს, ბუნებრივია აქაც ზოგიერთ სიძნელეს წავაწყდებით. ამიტომ მთელი რიგი პროფესიისა და კატეგორიის ადამიანებისათვის (ოფიციანტები, ხელმძღვანელი თანამდებობის პირები, ქმრები, ჭოლერიკები და ასე შემდეგ) თავიდან აღზრდის მიზნით საჭირო გახდება მოკლევადიანი კურსების ჩამოყალიბება, რომ სახამრთლო ორგანოებს რამდენადმე შეუმსუბუქდეთ მუშაობა. გამოჩენილ ფილოლოგთა ჯგუფი თავიანთ გამოსვლებში მიუთითებენ ენის გაღატაკების მოსალოდნელ საშიშროებაზე, რადგან კანონით აიკრძალება ამჟამად ფართოდ გავრცელებული უჩვეულო ცნებები და გამოთქმები. მხოლოდ გამოთქმა „მოკეტეს“ ირგვლივ გაჩაღდება ცხარე დისკუსია... ბევრი ჟურნალისტი ღრმა დეპრესიაში აღმოჩნდება: აღარ ეცოდინება რა და როგორ დაწეროს. სიძეები მეტყველების დაკარგვის სტიმულირებას გავატარებთ.

შევედი სამინისტროში, ვახტიორს ჩავუარე და თავაზიანად მივესალმე.

— ეი! — მომძახა მან. — სალამ?

— მინისტრთან, ჩემო ბატონო.

— თქვენ რა, გამოგიძახეს? — უწდობლად მკითხა მან.

— არა, არ გამოვუძახებივარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ ჩემი წინადადება დაინტერესებს მინისტრს.

— ასე ყველამ შეიძლება გაიაროს, — აბუჩად ამიგდო ვახტიორმა, რომელსაც ბგონია, სამსახურებრივი მდგომარეობა უფლებას აძლევს, ყოველ მიმსვლელს ასეთი ტონით ელაპარაკოს.

— ნუთუ! — მოვუბერი მოკლედ.

ვახტიორმა ისეთი მზერა მტყორცნა, ცხადია, ჩემს გონებრივ უნარში შეეეჭვდა. მე ვიღიმებოდი. ვახტიორმა უხეშად მომახალა:

— მე მგონი, ან ჭკუიდან შეიშალეთ, ანდა ნაყლაპი ხართ.

— არც ერთი და არც მეორე, — მივუგე მშვიდად, — მინდოდა მხოლოდ, მინისტრისათვის ზრდილობის კანონის პროექტი გამეცნო. დარწმუნებული ვარ, მოეწონება.

— მე კი სულაც არა ვარ დარწმუნებული! — დამიღრიალა ვახტიორმა. — შენ რა, ჩემი მახსრად აგდება მოინდომე? აბა გაეთრიე აქედან, სანამ ძალა არ მიხმარია. ვიღაც უბედი და მახხარა ხარ, შე ბრიყვო!

ალბათ თქვენთვის გასაგებია, რომ წამოსვლა მომიხდა. მაგრამ მთელი არსებით მჯერა: მინისტრი ჩემს პროექტს რომ გასცნობოდა, ყველაფერი სხვაგვარად მოეწყობოდა. სულ სხვანაირად...

გერმანულიდან თარგმნა ზოთა ამირანაშვილმა.

კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თარაზულად: 1. რეკლამის სახელწოდება აშშ-ში; 8. მაღალი ბოჭკოვანი მცენარე; 9. ავკაცი; 10. უწყება, რომლითაც ატყობინებენ მიმღებს მისთვის ფულის, თამასუქის ან საქონლის გაგზავნას; 11. საქონლის საერთო წონა; 12. თბილისის ერთ-ერთი უბანი; 14. მოწყობილობა მზა ნაწარმის ფორმის შესამოწმებლად; 17. უიარაღოს ერთ-ერთი ნაწარმოების პერსონაჟი; 19. სახმარად გამოუსადეგარი, მაგრამ ნედლეულად ვარგისი ნივთები; 21. ამერიკელი რეჟისორი, პროდიუსერი და მსახიობი; 22. ადამიანების, ხალხთა გადასახლება ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ; 23. ძველ საბერძნეთსა და რომში: ღვინისა და მხიარულების ღმერთის დღესასწაული; 26. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; 28. სახელმწიფო აფრიკის კონტინენტზე; 29. გარეული ცხოველი; 31. შთამომავლობა, რომელიც წარმოიშვა ვეგეტატიური (უსქესო) გამრავლების გზით; 32. გზის საზომი ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 34. ამერიკელი კინოვარსკვლავი; 35. მდინარე ბულგარეთში; 36. უფერო ხაწვავი, შხამიანი გაზი;

შვეულად: 1. ხმადაბლა (მუს. ნაწარმოების შესრულების დროს); 2. ბალახი, რომელსაც აქვს ყვითელი პრიალა ყვავილი; 3. საერთო სახელწოდება ამერიკის. ძველი მკვიდრი მოსახლეობისა; 4. დაკოდილი ცხენი; 5. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული; 6. სასამართლო პრაქტიკაში რთული დახლართული საქმე; 7. აბრეშუმის ერთგვარი პრიალა ქსოვილი; 11. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოები; 13. მსახიობი, რომელიც დახელოვნებულია იმიტაციაში; 15. ნივთიერება, რომელსაც იყენებენ ფოტოგრაფიაში; 16. ბურჟუაზიული მიმართულება, რომელიც ქადაგებს შიშველი სხეულის კულტს; 18. თხლად დაკრილი, შემწვარი კარტოფილი; 20. კიბე (გემის, თვითმფრინავის); 24. მრავალწლოვანი სარეველა ბალახი, მრავაწლოვანთა ოჯახისა; 25. უურე ინდოეთის ოკეანეში; 27. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; 30. ბერძნულ მითოლოგიაში: ცისარტყელას ქალღმერთი, ღმერთების მაცნე; 31. ხილი; 32. სვანური ხალხური სიმღერა; 33. ავადმყოფობის განვითარების უმაღლესი წერტილი.

შეადგინა თინა გეჟანიშვილმა

მე-5 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 2. ტვენტე; 4. აცტეკი; 7. „ბორუსია"; 8. ბადმინტონი; 10. ქიში; 12. ინგლისი; 15. ტრეკი; 17. „ანდერლეჰტი"; 19. გო; 21. ფინალი; 22. ეისებიო; 24. დურუჯი; 25. კორიფე; 27. „ნანტი"; 28. მარაკანა; 30. „რომა"; 31. იპოდრომი; 32. ისლანდია; 35. „არისი"; 37. კომლი; 42. ანძიულისი; 44. ინდექსი; 46. თარგი; 47. „ლივერპული"; 48. „არსენალი".

შვეულად: 1. ჯეკსონი; 2. ტატამი; 3. პერუ; 5. კანოე, 6. შაში; 7. ბოსტონი; 8. „პასტია"; 9. იოტი; 11. „ბენფიკა"; 12. „ინტერნაციონალი"; 13. გერსონი, 14. სერია; 16. სინდრომი; 18. პასი; 19. „გურია"; 20. ჩუი; 23. ბლიცი; 26. ფიდე; 28. მილი; 29. რინგი; 33. არბიტრი; 34. პიუკე; 36. სიდნეი; 38. ლიტვა; 39. აია; 40. აქთაუ; 41. სირია; 43. ლირა; 45. კი.

გარეკანის პირველ გვერდზე: აკაკი წერეთელი. მხატვარი კორნელი სანაძე.
გარეკანის მეოთხე გვერდზე: მხატვრობა ლადო გრიგოლიასი.

გადაეცა წარმოებას 27.04.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.05.90. უე 07990. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 54.500. შეკვეთა 1031. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებათა გამგეების—93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეხედეთ მთასა ბუმბერაზს,
ცას მიბჯენია ლაჟვარდსა,
ბაღლა მზეს ესაუბრებაო,
დაბლა...ასა და ვარდსა.

ძის ფერდობებზე ათასი
ეკლის გზა, ვიწრო ხევია...
მიდიან, მაგრამ ზვერვილთან
ჯერ არავის მიუხწევია.

საღვეგრძელო სახელმძღვანელოების
უფროსენელებისა

ნახ. დონისა

— ეს გაუმარჯოს „უკვდავ აკაკის, რომელიც საფლავ-დანაც
გვეხმარება და კაი-კაი შემოსავალს არ გვაკლებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

b 79/73

1840
1990